მშობლთა ჩართულობა სკოლაში

მშობელთა ჩართულობა სკოლაში

2024

მშობელთა ჩართულობა სკოლაში

სახელმძღვანელოზე მუშაობდნენ:
მეგი კავთუაშვილი
მანანა რატიანი
თათია ჯონსონი
თამარ ილურიძე
სალომე ხურციძე
ლიკა ზაალიშვილი

ილუსტრატორი: ნანა მელქაძე
დიზაინი: ინდიგო
რედაქტირება: რიტა ბაინდურაშვილი

სახელმძღვანელო მოამზადა არასამთავრობო ორგანიზაციამ „მშობლები განათლებისთვის“ – USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

სახელმძღვანელოს შინაარსზე პასუხისმგებელია არასამთავრობო ორგანიზაცია „მშობლები განათლებისთვის“. ის შესაძლოა, არ გამოხატავდეს EWMI-ს, USAID-ის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

ISBN: 978-9941-8-7003-3

სარჩევი

წინასიტყვაობა 7

შესავალი 9

თავი I. მშობელთა ჩართულობის სახეები 11

თავი II. სკოლასა და მშობლებს შორის კრიზისული ურთიერთობების გართვა 29

თავი III. მშობლებთან ურთიერთობის სტრატეგიული დაგეგმვა სკოლაში 60

თავი IV. სამეურვეო საბჭო და მშობლების მონაწილეობა სკოლის გართვაში 79

თავი V. ქურნალის „მასწავლებელი" სტატიები მშობელთა ჩართულობის შესახებ 86

თავი VI. სკოლებში მშობელთა ჩართულობის საერთაშორისო გამოცდილება 122

თავი VII. კითხვარები მშობელთა ჩართულობის გასაუმჯობესებლად 164

წინასიტყვაობა

წლების წინ, როცა თანამოაზრეებმა მშობელთა ასოციაციის დაფუძნება გადავწყვიტეთ, ზუსტად ვიცოდით, რომ მშობელთა აქტიური მონაწილეობა ბევრ სარგებელს მოუტანდა ჩვენს შვილებს, მათ სკოლას, მასწავლებლებს და მთლიანად განათლების სისტემას.

აქტიური მშობლები შვილების უკეთესი განათლებისთვის გავერთიანდით.

იდეა, რომელმაც გაგვაერთიანა, იყო, რომ განათლების სისტემაში დემოკრატიული გარემოს შექმნისთვის შეგვეწყო ხელი და ამ გზიდან არასოდეს გადაგვიხვევია.

ჩვენ, მშობლებს, გვინდა, რომ სკოლაში ბავშვები სიხარულით დადიოდნენ და სწავლობდნენ; გვინდა, რომ სკოლა ხელს უწყობდეს თავისუფალი, პასუხისმგებლიანი, კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქის აღზრდას.

სკოლას წამყვანი ძალა აქვს დემოკრატიული საზოგადოების შენებაში. ადამიანის პიროვნება სწორედ სასკოლო ასაკში ყალიბდება.



ბავშვები გვიყურებენ ჩვენ – მშობლებს და მასწავლებლებს. ისინი არ იქცევიან ისე, როგორც ჩვენ მივუთითებთ; ისინი იქცევიან ისე, როგორც ჩვენ ვიქცევით. სწორედ ამიტომ არის ძალიან მნიშვნელოვანი, შედგეს მშობლებისა და მასწავლებლების თანამშრომლობა, რათა მომავალი თაობა ბავშვობის ასაკიდან ეზიაროს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციებს.

სახელმძღვანელოს საშუალებით გვინდა, ავაშენოთ ოჯახებსა და სკოლებს შორის დიდი ხნის წინათ ჩატეხილი ხიდი; გავუადვილოთ თანამშრომლობის გზა მასწავლებლებს, სკოლის დირექტორებსა და არასრულწლოვანთა მშობლებს. ეს სახელმძღვანელო გვასწავლის, როგორ გადავლახოთ უამრავი წინაღობა, რომელიც 12 წლიან ურთიერთობას ახლავს და იმაში დაგვარწმუნებს, რომ როცა სკოლაც და ოჯახიც ბავშვების მხარეს დგანან, წარმატებული შედეგების მიღწევა გარდაუვალია.

ჩვენი გუნდი მადლობას უხდის USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამას ნდობისთვის, უხვად გაზიარებული ცოდნისა და მეგობრობისთვის.

მეგი კავთუაშვილი,
„მშობლები განათლებისთვის“
აღმასრულებელი დირექტორი

შესავალი

მოსწავლის ოჯახის წევრთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში მჭიდრო კავშირშია მოსწავლეთა უკეთეს ქცევასთან, გაუმჯობესებულ აკადემიურ მოსწრებასთან და სოციალური უნარების განვითარებასთან. მშობლების აქტიური მონაწილეობა შვილების განათლებაში არა მხოლოდ ხელს უწყობს მოსწავლის კოგნიტურ განვითარებას (რაც გონებრივ და შემეცნებით შესაძლებლობებს ითვალისწინებს), ასევე, ზრდის სწავლისადმი პოზიტიურ დამოკიდებულებას, მოტივაციას და სასწავლო პროცესისგან მიღებულ კმაყოფილებას.

კვლევების მეტა ანალიზმა აჩვენა,[1] რომ მშობელთა ეფექტურმა ჩართულობამ შეიძლება, გამოიწვიოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება აკადემიურ გზაზე. ნაკვლევია, რომ მოსწავლე საშუალოდ ოთხი თვით დაწინაურებულია წლიურ განვითარებაში, თუკი მისი მშობელი პოზიტიურად მონაწილეობს სასწავლო პროცესში და აქვს ხელშემწყობი როლი. ეს ეფექტი განსაკუთრებით მატულობს დაწყებით საფეხურზე და 5 თვიან სხვაობას აჩვენებს მაშინ, როცა საშუალო საფეხურზე ეს სხვაობა მხოლოდ 2 თვეა. რაც შეეხება საგნებს, პოზიტიური ეფექტი უფრო ენების სწავლებისას შეინიშნება[2].

ასევე აღსანიშნავია, რომ მშობელთა ჩართულობის პოზიტიური ეფექტი, მხოლოდ სწავლაში არ აისახება, ის ეხმარება ბავშვებს და მოზარდებს, თავიდან აირიდონ არაჯანსაღი ქცევები, როგორიცაა სხვადასხვა ფსიქოაქტიური ნივთიერების, ალკოჰოლის, თუ ნიკოტინის მოხმარება, ან სექსუალური რისკის შემცველი ქცევები.

მსგავსი კვლევებით ჩვენ განებივრებულები არ ვართ, თუმცა, საერთაშორისო კვლევები, როგორებიცაა TIMSS და PIRLS გვიჩვენებს, რომ მშობელთა მხრიდან მოსწავლის აკადემიური მიღწევებისადმი მაღალი მოლოდინი, სწავლისადმი დადებითი განწყობები, ოჯახში

1 Yang, Hongli, and Ying Chen. 2023. “The Impact of Parental Involvement on Student Writing Ability: A Meta-Analysis” Education Sciences 13, no. 7: 718. https://doi.org/10.3390/educsci13070718

2 Parental engagement | EEF (educationendowmentfoundation.org.uk)

წიგნების ქონა კვლევის მონაწილეთა უფრო მაღალ შედეგებს განაპირობებს.

ამიტომ, მშობლებსა და სკოლებს შორის ძლიერი პარტნიორობის ხელშეწყობა აუცილებელია მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარებისთვის.

თავი I. მშობელთა ჩართულობის სახეები

ჯოის ლ. ეპშტეინის „წარმატებული პარტნიორობის გასაღები"

ჯოის ლ. ეპშტეინი გამორჩეული პედაგოგი და მკვლევარია, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა განათლების სფეროში ოჯახის ჩართულობის გაზრდაში საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად. როგორც ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების პარტნიორობის ცენტრის თანადირექტორი, ის მხარს უჭერდა ეფექტურ ურთიერთობებს ამ სამ მხარეს შორის. დოქტორ ეპშტეინის ნაშრომები განათლებაზე 150-ზე მეტ პუბლიკაციას მოიცავს, მათ შორის გავლენიან სახელმძღვანელოს „სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების პარტნიორობა: შენი მოქმედების სახელმძღვანელო". მისი კვლევები ხაზს უსვამს მშობლების ჩართულობის მნიშვნელოვან როლს მოსწავლეთა წარმატებაში.

სკოლასა და მოსწავლის ოჯახს შორის წარმატებული პარტნიორობისთვის ჯოის ლ. ეპშტეინი შემდეგ ექვს გასაღებს ასახელებს:

გასაღები 1.
სკოლასა და მშობლებს შორის ორმხრივი ეფექტური კომუნიკაციის აწყობა

ეფექტური კომუნიკაციის დამყარების მიზნით, სკოლა მოსწავლეთა ოჯახებისადმი მეგობრულ გარემოს ქმნის. სკოლის პერსონალი გადის ტრენინგებს, რათა გაიუმჯობესოს მოსწავლეთა მშობლებთან ურთიერთობის უნარები. სკოლა ამცირებს ბარიერებს და ანგრევს იმ სტერეოტიპს, რომ სკოლაში მათ მხოლოდ იმ შემთხვევაში იბარებენ, როცა მათი შვილი რამეს აშავებს; საჭიროა, რომ კომუნიკაცია რეგულარული იყოს. მოსწავლის მიღწევებსა და პოზიტიურ ქცევებზე აქცენტები უფრო ხშირად უნდა კეთდებოდეს, რათა მშობელი მიხვდეს, რომ მის შვილს იცნობენ, აღიქვამენ ინდივიდად, პიროვნებად და სკოლაც მისი მიღწევებითა და პროგრესით ინტერესდება. ეს მშობელს აძლევს საშუალებას, იზეიმოს შვილის წარმატება, მისი სიხარული, მისი ნებისმიერი მიღწევა აკადემიურ თუ

სოციალურ ასპექტში, რაც, საბოლოო ჯამში, ზრდის სკოლისადმი ნდობას; ამკვიდრებს გაგებას, რომ სკოლაც და ოჯახიც ორივე ერთ მხარეს – მოსწავლის მხარესაა.

კომუნიკაცია უნდა იყოს რეგულარული. მშობელი უნდა იყოს ინ-ფორმირებული არა მხოლოდ შვილის მიღწევებსა თუ შეფასებებზე, არამედ უფრო ფართო სურათზე.

ეფექტური კომუნიკაციისთვის საჭიროა სასკოლო საკომუნიკაციო არხების განსაზღვრა და სკოლის რეალობაზე იმგვარად მორგება, რომ ოჯახებს დამატებითი ბარიერები არ შეექმნათ. თუმცა, სკოლა ამ ურთიერთობებში მხოლოდ საკუთარ ტექნოლოგიურად პროგრე-სულობის ჩვენებას კი არ უნდა ცდილობდეს, არამედ განსაზღვრუ-ლი ჰქონდეს, თუ რა კატეგორიის მშობლებთან უწევს ურთიერთო-ბა და როგორია მათი შესაძლებლობები. თუ მშობლების ნაწილს სმარტფონებიც კი არ აქვთ და ინტერნეტთან წვდომაც შეზღუდუ-ლია, გასაგებია, რომ კომუნიკაციის ფორმად ელექტრონული ფოს-ტა არ ივარგებს.

კომუნიკაციის მიზნით, სკოლა რეგულარულად უნდა ანახლებდეს ინფორმაციას ვებგვერდზე თუ სოციალურ ქსელებში არსებულ გვერდებზე. განსაკუთრებული შემთხვევებისას კი ინდივიდუალურად უგზავნიდეს მშობელს ან შეხვედრებზე იწვევდეს სიახლის გასაცნობად.

სკოლები ვალდებულნი არიან, ყოველწლიურად გააცნონ მშობლებს ანგარიში განვლილ აქტივობებსა და სამომავლო გეგმებზე. თუმცა, როგორც წესი, მსგავსი ღონისძიებები ნაკლებ სივრცეს ტოვებს სკოლასა და მშობლებს შორის იდეების გაცვლა-გამოცვლისთვის. მსგავსი, ნაკლებად სახალისო აქტივობის ნაცვლად უკეთესი იქნებოდა, დაგვენერგა უფრო ინკლუზიური და თანამშრომლობითი ფორმატი „განათლების გამოფენის“ სახით. გამოფენაზე სკოლები, ანგარიშის წარდგენის გარდა, მშობლებთან ერთად გააზიარებენ და ისაუბრებენ მშობლების წარმატებულ ინიციატივებზე სკოლებში. ასეთი ფორმატი შესაძლებლობას მისცემს მშობლებს, ღია დისკუსიის სახით იმსჯელონ მომავალი წლის საჭიროებებსა და გეგმებზე.

ქვეყნების დიდ ნაწილში, მათ შორის საქართველოშიც, უკვე გამოიყენება ონლაინ პლატფორმები, ელექტრონული ჟურნალები. ელექტრონული ფორმატით ურთიერთობების მიუხედავად, რაც ამარტივებს და აჩქარებს მშობლებთან კავშირს, რეგულარულ პირისპირ შეხვედრებს ვერაფერი ანაცვლებს.

კონკრეტულ მშობელს მისი შვილის შესახებ ინფორმაცია ინდივიდუალურ შეხვედრაზე უნდა ეცნობოს, ერთი-ერთზე ან მოსწავლის თანდასწრებით.

თითოეულმა სკოლამ დამოუკიდებლად უნდა იპოვოს ყველაზე ეფექტური საკომუნიკაციო საშუალებები. შესაძლებელია, გამოიყენონ SMS-ები, რათა მოსწავლეთა ოჯახებს ისეთ მნიშვნელოვან დღეებზე შეატყობინონ, როგორებიცაა გამოცდები, მშობელთა კრებები და სხვა.

კომუნიკაცია ორმხრივია, შესაბამისად, აუცილებელია მშობლებისგან უკუკავშირის მიღების მექანიზმების დანერგვა. სკოლაში რეგულარულად უნდა ტარდებოდეს ონლაინ გამოკითხვები, რომლის საშუალებითაც მშობლები სკოლისთვის დროული უკუკავშირის მიწოდებას შეძლებენ.

გასაღები 2.
მშობელთა ცნობიერების ამაღლება ბავშვთა კეთილდღეობისთვის

საჭიროა იმის გაცნობიერება, რომ მშობლებს მუდმივად სჭირდებათ ცოდნის განახლება აღზრდასა, თუ ბავშვთა განვითარების თავისებურებებზე. ამდენად, ოჯახების მხარდაჭერის მიზნით, სკოლა უნდა გეგმავდეს საგანმანათლებლო აქტივობებს მშობლებისთვის საინტერესო და აქტუალურ საკითხებზე. მაგალითისთვის, ეს შეიძლება, იყოს სემინარებისა და შეხვედრების ციკლი მშობლობის სტილის, ბავშვის ასაკობრივი განვითარების თავისებურებების, ჯანსაღი ცხოვრების წესის, სკოლაში მშობელთა ჩართულობის, ბავშვების ციფრული უსაფრთხოებისა თუ სხვა აქტუალური საკითხების შესახებ; ან შეიძლება, იყოს მოზარდის განვითარებასა და სასკოლო

ცხოვრებაზე სხვადასხვა ფილმის ჩვენება, რის შემდეგაც განხილვები მოეწყობა. ეს განხილვები მშობელს აჩვენებს, თუ რა ხედვებს იზიარებს სკოლა, როგორ არის ის მოწოდებული ბავშვებისა და მოზარდების განვითარებისკენ და როგორ შეიძლება, ასეთ სკოლას შვილის განათლება ანდო. ამავდროულად, მსგავსი დისკუსიები მშობლებს სხვადასხვა კრიტიკული სიტუაციისთვის ამზადებს, რომელიც შეიძლება, წარმოიშვას და მათ დასახვედრად ბევრად უფრო მომზადებულნი იყვნენ.

მსგავსი აქტივობების კალენდარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის და საშუალებას აძლევდეს მშობლებს, ის საკითხები აირჩიონ, რომლებიც აინტერესებთ. საგანმანათლებლო აქტივობებში მშობლებთან ერთად უნდა ჩაერთონ მასწავლებლები და სკოლის სხვა თანამშრომლები, რომლებიც მშობლებთან ურთიერთობებზეა პასუხისმგებელი.

თუკი სკოლა მსხვილკონტინგენტიანია, ასეთ დროს, მშობლებისთვის განსაზღვრული აქტივობები შეიძლება, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დაიყოს, რადგან გარდატეხის ასაკი, მოზარდობისა და ბავშვობის პერიოდები სხვადასხვა სირთულეებით ხასიათდება, დაკავებულ მშობელს კი მეტი კონკრეტიკა აინტერესებს საკუთარ შვილზე.

ხშირად, სკოლებში მშობლებისთვის გამოყოფილ სივრცეებს ნახავთ – ეს შეიძლება, იყოს კუთხე ბიბლიოთეკაში, სადაც მშობლებისთვის საინტერესო საკითხავი წიგნებია განთავსებული. მშობლებს შეუძლათ, ადგილზე წაიკითხონ წიგნი, ან დროებით გაიტანონ. მათთვის ხშირად ეწყობა წიგნების განხილვა, ფილმების ერთობლივი ჩვენება და თანმდევი დისკუსია.

(თუ სკოლას არ შეუძლია, მოიწვიოს სპეციალისტები, რომლებიც მშობელთა ცნობიერების ამაღლებაზე იზრუნებენ, შესაძლებელია არსებული დისტანციური რესურსების გამოყენებაც, როგორიცაა, მაგალითად: www.mshobeltaskola.ge)

გასაღები 3.
მშობელთა მოხალისეობის ხელშეწყობა

მშობელთა მოხალისეობის სისტემის ასაწყობად სკოლები სტრატეგიებს ქმნიან. გაწერილი სტრატეგიის ფარგლებში ყოველწლიურად ატარებენ გამოკითხვებს, რათა ინფორმაცია მოიძიონ მოხალისე მშობლების შესახებ; ასევე, გაარკვიონ მათი ინტერესები, ნიჭი და მოცალეობა. გამოკითხვის შედეგად შეგროვებული ინფორმაცია მონაცემთა ბაზაში აკუმულირდება და ამის მიხედვით იგეგმება მოხალისეთა აქტივობები; იქმნება არაფორმალური ხასიათის მხარდაჭერის ქსელი.

სკოლის შენობაში გამოყოფილია მშობლების ოთახი, ან საოჯახო სივრცე მოხალისეობრივი მუშაობისთვის, შეხვედრებისთვის. დაინტერესებული მშობლები უზრუნველყოფილნი არიან მოკლე ტრენინგსესიებით, ან საორიენტაციო შეხვედრებით, რათა უკეთ გაიგონ თავიანთი როლებისა და პასუხისმგებლობების შესახებ. შესაძლებელია, მოხალისეობრივი დღე კვირაში ან თვეში ერთხელ დაიგეგმოს, რაც მასწავლებლებსა და მთლიანად სასკოლო საზოგადოებას განტვირთვის საშუალებას მისცემს, მშობლებს კი ნათლად დაანახებს, თუ რა შრომას დებენ სკოლებში მასწავლებლები, ადმინისტრაცია, ტექნიკური პერსონალი იმისათვის, რომ ყველაფერმა შეუფერხებლად იმუშაოს, დაცული იყოს უსაფრთხოება, სისუფთავე და უზრუნველყოფილი იყოს მრავალფეროვანი სწავლება.

მნიშვნელოვანია, არსებობდეს მოხალისეთა აღიარების მექანიზმებიც – ეს შეიძლება, იყოს მადლობის წერილები მოხალისეობრივი საქმიანობისთვის, ბარათები, თუ სერტიფიკატები, მათი გათვალისწინება ღონისძიებებში.

მაგალითები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან:

სამხრეთ კორეის სკოლების სასადილოში, რესურსოთახში, ბიბლიოთეკაში ხშირად ნახავთ მშობელ მოხალისეებს, რომლებიც მთელი დღით რჩებიან სკოლაში და პასუხისმგებლობით ირგებენ

ჩვენს სკოლას სჭიდება
მოხალისე მშობლების
მხარდაჭერა

თავიანთ როლს, ხშირად სკოლის სისუფთავის შენარჩუნებაშიც შეაქვთ წვლილი. ამ დროს მათ სკოლისადმი კუთვნილება ეზრდებათ და მოსწავლეებიც უფრო მეტად უფრთხილდებიან სასკოლო რესურსებს, ინფრასტრუქტურაზე ზრუნავენ. სამსახურები მშობელთა ამ ვალდებულებებს იზიარებენ და ამ მიზნით არასამუშაო, მოქნილ გრაფიკს უწესებენ მათ. გრაფიკს ქმნის სკოლაც, რომელშიც მშობლები აქტიურად ეწერებიან და შესაბამის დღეებში მოხალისეობენ.

აშშ-ში მშობლები ხშირად ითავსებენ საკლასო დამხმარეებისა და ღონისძიებების ორგანიზატორების ფუნქციებს. ისინი ეხმარებიან მასწავლებლებს გაკვეთილებისთვის მასალების მომზადებაში, კლასის მართვაში და, დამატებით, იმ მოსწავლეებსაც ეხმარებიან, რომლებსაც ეს სჭირდებათ. კიდევ უფრო ხშირად ნახავთ მშობლებს, რომლებიც ორგანიზებას უწევენ სასკოლო ღონისძიებებს, მაგალითად, გამოფენა-გაყიდვებს, საიდანაც შემოსული თანხა სასკოლო მიზნებს ან საქველმოქმედო ღონისძიებებს ხმარდება.

იაპონიაში მშობლებს ხშირად აქვთ სკოლის უსაფრთხოების პატრულის როლი. ისინი ქალაქებში, სკოლის მისადგომებთან, დილით და დღის ბოლოს მოსწავლეთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ, რათა გადასასვლელებზე, შენობაში შესვლისას და გამოსვლისას რაიმე საფრთხე არ შეიქმნას. მშობლები, ასევე, ორგანიზებას უწევენ სასწავლო სემინარებსაც, რომელზეც მოსწავლეებს გზაზე მოძრაობის უსაფრთხოებასა და უცნობებისგან თავის დაცვას ასწავლიან. უსაფრთხოების გაკვეთილებში ხშირად ერთვებიან ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლებიც.

ფინეთში, გარდა ბიბლიოთეკებში დახმარებისა, ლიტერატურული ღონისძიებების გამართვისა და რესურსების მოძიებისა, მშობლები მოხალისეობრივად საშინაო დავალებების შესრულებაშიც ეხმარებიან. ამ დახმარებას ისინი იმ მოსწავლეებს სთავაზობენ, რომლებსაც ეს სჭირდებათ.

ავსტრალიაში კი ხშირად ნახავთ სპორტსა და ექსტრაკურიკულარულ საქმიანობებში დამხმარეებად ჩართულ მოხალისე მშობლებს. ისინი მწვრთნელების როლებსაც ირგებენ და სკოლის სპორტულ

გუნდებს ავარჯიშებენ შეჯიბრებებში, პირველობებში მონაწილეობისთვის. მშობლები ხშირად ეხმარებიან ისეთი კლუბების მართვაშიც, როგორებიცაა: დრამა, ჭადრაკი ან რობოტიკა.

როგორ წამოიწყოს მშობელმა სკოლაში მოხალისეობა?

- შევთავაზოთ ჩვენი მხარდაჭერა სკოლას – დავაკონკრეტოთ, რისი გაკეთება შეგვიძლია კლასისთვის, სკოლისთვის და რა მიზანს მივაღწევთ ამით;
- დავაკვირდეთ, რა არის ჩვენი კლასისა თუ სკოლის მშობლების ძლიერი მხარე და ისეთი აქტივობა დავგეგმოთ, რაშიც ბევრი მათგანი შემოგვიერთდება.
- წავახალისოთ ის მასწავლებლები, ვინც ხელს უწყობს მოხალისეობის პროგრამებს.

იდეები მოხალისეობისთვის

- შიდა სასკოლო ღონისძიებების ორგანიზება – კონცერტი, სპექტაკლი, ვიქტორინა, სპორტული ესტაფეტა;
- ცნობიერების ამაღლების კამპანია საჭირბოროტო საკითხზე – მაგალითად, მშობელთა აქტივობები, რათა ბავშვებმა უკეთ დაიცვან ჰიგიენა სკოლაში;
- კლუბის დაფუძნება – მშობელთა კლუბი, მკითხველთა კლუბი, სპორტული კლუბი, კინოკლუბი, ფიტნესკლუბი და ა.შ.;
- მასწავლებლის დახმარება – მაგალითად, საგნობრივი პრეზენტაციების აწყობა;
- რეპეტიტორი მშობელი – შვილის თანაკლასელების დახმარება სწავლაში;
- მოსწავლეებისა და მშობლების ერთობლივი საოჯახო აქტივობა – მაგალითად, ცხობის დღე;
- კლასის ვიზიტი სამსახურში – ყველა მშობელს განსხვავებული სოციალური კავშირები აქვს. შესაძლოა, რომელიმე მათგანს საინტერესო სამსახური ჰქონდეს. კარგი იქნებოდა, შვილის კლასელების დაპატიჟება და მისი სამუშაოს სპეციფიკის გაცნობა მათთვის;

- ექსკურსიის ორგანიზება – მაგალითად, შოკოლადის, ლიმონათის, ტკბილეულის საწარმოში;
- კულტურული გასვლის ორგანიზება – მაგ. თეატრში/ოპერაში/მუზეუმში/კონცერტზე/ ბიბლიოთეკაში ერთობლივი გასვლა, რის შემდეგაც ნანახის განხილვა გაიმართება;
- საინტერესო ადამიანებთან ბავშვების შეხვედრების ორგანიზება:
  - სახალხო დამცველთან ან მისი აპარატის წარმომადგენელთან;
  - დიპლომატებთან, რომლებიც მოლაპარაკების ხელოვნებაზე და დიალოგით კონფლიქტების გადაჭრის შესახებ ისაუბრებენ;
  - სპორტსმენებთან, მაგალითად, რაგბის კავშირის წევრთან, რომელიც ისაუბრებს, თუ რატომ გამოდის ეროვნული გუნდი ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ;
  - მედიაწიგნიერების ექსპერტთან;
  - ციფრული უსაფრთხოების სპეციალისტთან, რომელიც ასწავლის, თუ როგორ დაიცვან თავი online საფრთხეებისგან;
  - პერსონალურ მონაცემთა დაცვის სპეციალისტთან;
  - მეცნიერთან;
  - ცნობილ ფიზიკოსთან ან ქიმიკოსთან;
  - მწერალთან;
  - მხატვართან, მსახიობთან, მომღერალთან;
  - ან, უბრალოდ, თემში მცხოვრებ საინტერესო ადამიანთან.

მოხალისეობის პროგრამა სკოლასთან თანამშრომლობით იგეგმება.

თუ სკოლას არ აქვს მაღალი ინტერესი, გაზარდოს მშობელთა მოხალისეობა, ამ შემთხვევაში მშობლებს დამოუკიდებლად მოქმედების ორი გზა აქვთ:

1. მოხალისეობის აქტივობები სკოლისგან თავისუფალ დროს დაგეგმონ: მოაწყონ კლასის ერთობლივი ოჯახური პიკნიკები, გასვლითი ღონისძიებები, კულტურული საღამოები, დისკუსიები; შეეცადონ, შვილის კლასის მხარდამჭერები და მეგობრები იყვნენ.
2. დაარწმუნონ მასწავლებლები და დირექცია, თუ რამდენი სიკეთის მოტანა შეუძლიათ მათ ბავშვებისა და მთლიანად სკოლისათვის.

გასაღები 4.
სახლში მეცადინეობისას დახმარება

მშობლებს ხშირად აქვთ განსხვავებული შეხედულებები საშინაო დავალების შესახებ. ბევრი მათგანი თვლის, რომ საშინაო დავალება აუმჯობესებს კლასში ნასწავლს დამატებითი გავარჯიშებით; ავითარებს პასუხისმგებლობისა და დროის მართვის უნარს. ისინი საშინაო დავალებას განიხილავენ, როგორც ბავშვის განათლებაში ჩართულობის საშუალებას, რომლითაც ერთგვარად შეუძლიათ, თვალი ადევნონ სკოლის მუშაობას, შვილის პროგრესს. ამავდროულად, დავალებები მათთვის საშუალებაა, შვილები, მათი აზრით, ისეთ საზიანო ქმედებებს ჩამოაცილონ, როგორიცაა კომპიუტერული თამაშები.

თუმცა, ზოგიერთი მშობელი მიიჩნევს, რომ დავალებები სახლში იშვიათად უნდა ეძლეოდეთ, რადგან მათ შესასრულებლად მასწავლებლების ზედამხედველობაა მნიშვნელოვანი; აწუხებთ დავალებების სიხშირე და სირთულე, რადგან ბავშვებისთვის ეს პოტენციურად სტრესის საბაბია, განსაკუთრებით მცირე ასაკში. დავალებები ოჯახისთვის არ ტოვებს ერთად გასატარებელ დროს, ზღუდავს კლასგარეშე აქტივობების შესაძლებლობებს და ბავშვის იმედგაცრუებას იწვევს. გარდა ამისა, მშობლებმა შეიძლება, დამნაშავედაც კი იგრძნონ თავი, თუკი დროის უქონლობის, ან დავალების სირთულის გამო ვერ ეხმარებიან შვილებს. ეს ართულებს მასწავლებლებთან კომუნიკაციას. შეუსრულებელი, ან დაუძლეველი დავალება ურთიერთობებს ძაბავს შვილებთანაც.

სწორედ ამ არაერთგვაროვანი შეხედულებების გამო, სკოლის თანამშრომლები დავალებების არსსა და მნიშვნელობაზე მშობლებს აუცილებლად უნდა აწვდიდნენ ინფორმაციას; ასევე, ასწავლიდნენ, თუ როგორ დაეხმარნონ მოსწავლეს საშინაო დავალების მომზადების პროცესში და როგორ გახადონ ეფექტიანი სახლში სწავლა – მაგალითად, როგორ მოაწყონ სამეცადინო სივრცე; ინფორმაციას აწვდიან თითოეულ საგანში საჭირო უნარების შესახებ, თუ როგორ დაეხმაროს ოჯახი მოსწავლეს იმ უნარ-ჩვევების განვითარებაში, რომელთა გაუმჯობესებაც სჭირდება მას; ასევე, როგორ დააკვირ-

დნენ შესრულების პროგრესს და განიხილონ შვილთან საშინაო დავალება. სკოლაში ბავშვებს ეძლევათ ინტერაქციული საშინაო დავალება, რომელიც საშუალებას აძლევს ბავშვს, წარმოაჩინოს, რა ისწავლა სკოლაში ყოფნის დროს და განიმტკიცოს ეს ცოდნა. ქვეყნებს არ ავიწყდებათ მოსწავლეთა ინდივიდუალურ მსწავლელებად ჩამოყალიბების მნიშვნელობა, რისთვისაც დავალებებსაც ნაკლებად აძლევენ სახლში და თუ აძლევენ, რჩევებსაც აყოლებენ დახმარებაზე. მაგალითად, სასკოლო დღიურებში არის სპეციალური ველი, სადაც მშობლებისთვის მსგავსი მითითებები იწერება. მაგ., მშობლებს იმ შემთხვევებს ატყობინებენ, როცა დავალებისთვის მათ წინასწარ უნდა მოძებნონ სათანადო რესურსი, ვთქვათ: ფერადი მუყაოს ქაღალდები, ან ესა თუ ის ინგრედიენტები ექსპერიმენტისთვის. რჩევები, ასევე, შეეხება მოსწავლეთა გონივრულ ზედამხედველობას, სადაც დამოუკიდებელი მუშაობის მნიშვნელობაა აღწერილი.

ხშირად, შემაჯამებელ დავალებებზე შეხსენებები მშობლებსაც ეგზავნებათ, რათა არ გამორჩეთ მნიშვნელოვანი თარიღები, დავალების ჩაბარების დედლაინი, გამოცდის, ტესტის დღე და ა.შ.

პედაგოგები ხშირად წერენ ბლოგებსაც, სადაც დამოუკიდებელი მუშაობის მნიშვნელობასა და წარმატების ისტორიებს განიხილავენ.

იაპონიაში სკოლების დიდი ნაწილი წლის დასაწყისში მშობლებს აწვდის სახელმძღვანელოებს, სადაც აღწერილია მათი როლი საშინაო დავალებაში.

ფინეთში დიდი აქცენტი კეთდება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე, რომლებსაც მასწავლებლები და მშობლები ერთად ადგენენ. მათში აღწერილია მშობლების როლი და მოსწავლის დამოუკიდებლად სწავლის მნიშვნელობა.

გასაღები 5.
მშობლების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

სკოლა მშობლებს თანაბარუფლებიან პარტნიორებად მოიაზრებს და ცდილობს, ისინი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართოს. სასკოლო პოლიტიკის ცვლილებების მიღებამდე საკონსულტაციო შეხვედრებს აწყობს მოსწავლეთა ოჯახებთან და თემთან. სკოლა ახალისებს მშობელთა გააზრებულ ჩართულობას მშობელთა ოფიციალურ ორგანიზაციებში, სკოლის სამეურვეო საბჭოში, მრჩეველთა საბჭოში ან მშობელთა ლიდერობისა და მონაწილეობის კომიტეტებში. სკოლა ეხმარება მშობლებს, რომ სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა მშობლები ერთმანეთს იცნობდნენ და თანამშრომლობდნენ.

გადაწყვეტილების მიღებაში მშობელთა მონაწილეობა ზრდის ნდობას და უზრუნველყოფს, რომ სკოლის პოლიტიკა საზოგადოების საჭიროებებს ასახავდეს.

აშშ: მშობელ-პედაგოგთა ასოციაციები (PTA) ბევრ ამერიკულ სკოლაშია. ეს ორგანო მნიშვნელოვანი ნაწილია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მშობლები მონაწილეობენ შეხვედრებში, რომლებზეც სკოლის პოლიტიკას, ბიუჯეტის განაწილებას და ფინანსურ აქტივობებს განიხილავენ. ეს ჩართულობა სკოლების მართვაში მშობელთა ხმების გათვალისწინებას უზრუნველყოფს.

ფინეთი: ფინურ სკოლებში მმართველ საბჭოებში მშობელთა წარმომადგენლები შედიან. ეს საბჭოები პასუხისმგებელნი არიან საკვანძო გადაწყვეტილებების მიღებაზე, სკოლების ოპერირებაზე, სასწავლო გეგმის ცვლილებებსა და რესურსების განაწილებაზე. ეს სტრუქტურა ხელს უწყობს თანამშრომლობით გარემოს, სადაც მშობლებს პირდაპირი გავლენა აქვთ საგანმანათლებლო პოლიტიკაზე.

ავსტრალია: სკოლის საბჭოები მშობლების, მასწავლებლებისა და თემის წევრებისგან შედგება. ეს საბჭოები სტრატეგიულ დაგეგმვაში, პოლიტიკის განვითარებასა და ფინანსურ მართვაში მონაწილე-

ობენ. მშობლები ამ საბჭოებში ხელს უწყობენ დამხმარე და ინკლუზიური სასკოლო გარემოს შექმნას.

იაპონია: მშობელთა და პედაგოგთა ასოციაცია და მოხალისეთა კომიტეტები საშუალებას აძლევს მშობლებს, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და მონაწილეობა მიიღონ სკოლის აქტივობებში. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ღონისძიებების ორგანიზებაში, თანხების შეგროვებაში და სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში, რაც შვილების განათლებაში მშობელთა აქტიურად ჩართვის საშუალებაა.

საქართველოს ზოგადი განათლების შესახებ კანონი უფლებას ანიჭებს მშობელს, მონაწილეობა მიიღოს სკოლის მართვაში და მისი შვილის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, რაზეც დეტალურად ვისაუბრებთ მომდევნო თავებში.

მასალები 6.
სკოლისა და საზოგადოების/თემის თანამშრომლობა

მოსწავლეთა სწავლისა და განვითარების ხარისხის გაუმჯობესებისთვის სკოლა თემთან თანამშრომლობის სტრატეგიას ქმნის. სკოლა, ოჯახი და თემის წარმომადგენელი აწყობენ დისკუსიებს, კავშირებს ამყარებენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ადგილობრივი ჯანდაცვის ცენტრებთან, რათა მათი სერვისები ადვილად ხელმისაწვდომი იყოს სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლა თანამშრომლობს, ასევე, სამთავრობო და არასამთავრობო უწყებებთან, კულტურულ ჯგუფებთან, ახალისებს თემში სკოლის რესურსების გამოყენებას, როგორიცაა ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი და სხვა.

ამისთვის სკოლა რეგულარულ შეხვედრებს აწყობს თემის წევრებთან, რათა ისინი სასკოლო აქტივობებში ჩართონ. სკოლის ღონისძიებები ხშირად მოიცავს თემის წევრების მონაწილეობას და აქტიურ ჩართულობას. ეს თანამშრომლობა ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და სკოლის სოციალური როლის ამაღლებას თემში.

ფინეთი: სათემო პროექტები ფინურ სკოლებში ხშირად მშობლების ძალისხმევით ხორციელდება. მაგალითად, სკოლებმა და მშობლებმა შეიძლება, ითანამშრომლონ ადგილობრივ ბიბლიოთეკებთან, რათა გააძლიერონ საკითხავი პროგრამები, რომლებშიც მშობლები მოხალისედ ასრულებენ კითხვის მენტორების როლს. სკოლებთან ხშირად თანამშრომლობენ გარემოს დაცვის ორგანიზაციები, რომლებსაც მშობლები მდგრადობის პროექტებში ეხმარებიან და აქტივობებში მონაწილეობენ. ეს ჩართულობა უზრუნველყოფს მშობლების აქტიურ მონაწილეობას შვილების განათლებაში და სკოლა-თემის კავშირებს აძლიერებს.

გერმანია: ორმაგი განათლების სისტემა მჭიდრო თანამშრომლობას მოიცავს სკოლებსა და ადგილობრივ ბიზნესებს შორის. მშობლებს ურჩევენ, თავიანთი პროფესიული გამოცდილების გაზიარებით მონაწილეობა მიიღონ ამ სისტემაში და სტაჟირებების ორ-

განიზებაში. ეს ჩართულობა არა მხოლოდ აუმჯობესებს მოსწავლეთა პრაქტიკულ სასწავლო გამოცდილებას, არამედ პარტნიორობას აძლიერებს სკოლასა და თემს შორის, რაც მნიშვნელოვან როლს ანიჭებს მშობლებს საგანმანათლებლო პროცესში.

გაერთიანებული სამეფო: სკოლის-სათემო ცენტრები ისეთ მომსახურებებს სთავაზობენ, რაც ფორმალური განათლების მიღმა რჩება. ხშირად მშობლები მოხალისეობრივად ატარებენ ზრდასრულთა განათლების კლასებს, პირველადი დახმარების მასტერკლასებს, ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელ ღონისძიებებსა და სოციალურ ღონისძიებებს. ეს მოდელი ხელს უწყობს თემის ჩართულობასა და მეტ პასუხისმგებლობას სკოლაზე, მშობლები კი აქტიურად მონაწილეობენ ამ კავშირის დამყარებაში.

შვედეთი: მშობლებისა და თემის ჩართულობა ხაზგასმულია შვედურ სკოლებში. სკოლები ხშირად აორგანიზებენ სემინარებსა და დისკუსიის ჯგუფებს, რომლებშიც მშობლები და თემის წევრები იდეებს აზიარებენ განათლების პოლიტიკასა და პრაქტიკაზე. ამ შეხვედრებში მშობელთა ჩართულობა მათი მოსაზრებების გათვალისწინებას უზრუნველყოფს სკოლების გადაწყვეტილებებში, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობით მიდგომებს განათლებაში და სარგებელი მოაქვს მოსწავლეებისთვის, მშობლებისა და თემისათვის.

შეჯამება

მშობლებთან ეფექტური კომუნიკაცია აუცილებელია მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარებისა და წარმატებისთვის. მასწავლებლებმა, სხვადასხვა ტექნიკისა და ინსტრუმენტის გამოყენებით, უნდა შეძლონ მშობელთა ჩართულობა მათი განსხვავებული მზაობის მიუხედავად – მშობლების ცნობიერების ამაღლებიდან და ორმხრივი კომუნიკაციის დამყარებიდან დაწყებული, მოხალისეობის წახალისებითა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართულობით დამთავრებული.

მშობლებისთვის, რომლებიც მზად არ არიან ჩართულობისთვის, სკოლა კამპანიებს ატარებს ამ კავშირების წასახალისებლად. სხვა ქვეყნებში მცხოვრები მშობლების ჩართულობა შეიძლება, დისტანციურ ხასიათს ატარებდეს. ასეთი მოსწავლეებისთვის სკოლას მეტი მხარდამჭერი ინსტრუმენტი უნდა გააჩნდეს ნათესავების მონაწილეობისა და მათი კონსულტირებისთვის.

თავი II. სკოლასა და მშობლებს შორის კრიზისული ურთიერთობების მართვა

სკოლასა და მშობელს შორის ეფექტური კომუნიკაცია

სკოლისა და მშობლების კომუნიკაციის საკითხები

სკოლასა და მშობლებს შორის ეფექტური კომუნიკაცია ორმხრივ, გააზრებულ ურთიერთობას გულისხმობს. კომუნიკაცია თავაზიანი და საქმიანი უნდა იყოს.

განვიხილოთ კომუნიკაციის ყველაზე ელემენტარული საკითხები, რომლებიც სკოლისა და მშობლების ურთიერთობაში უნდა დაიცვას პედაგოგმაც, დირექციამაც და მშობელმაც.

მშობელთა შეკითხვები მასწავლებელს

განმსაზღვრელი შეფასებით (ქულებით) დაინტერესების გარდა, მშობლებს შეუძლიათ, მასწავლებლისგან სრულყოფილი ინფორმაცია მიიღონ მათი შვილის შესახებ. სასწავლო წლის განმავლობაში მათ საშუალება აქვთ, არაერთი შეკითხვა დაუსვან პედაგოგს, მაგალითად:

- რომელ საგნებს და კვირაში რამდენ საათიანი დატვირთვით ისწავლის ბავშვი?
- რამდენად რთულ, საინტერესო ან მრავალფეროვან სასწავლო პროგრამებს გაივლიან ბავშვები ამა თუ იმ საგანში?
- სწავლება აზროვნებაზეა ორიენტირებული, თუ ფაქტობრივი მასალის დამახსოვრებაზე?
- ექნებათ თუ არა ბავშვებს საშინაო დავალებები?
- დაეხმარონ თუ არა შვილებს საშინაო დავალების მომზადებაში და როგორ დაეხმარონ?
- უთანხმებენ თუ არა მასწავლებლები ერთმანეთს, ვინ რამდენი დავალება მისცეს მოსწავლეს შინ შესასრულებლად?

- რა სისტემით წერს მასწავლებელი შეფასებას – რა კომპონენტები ფასდება და რა კრიტერიუმებით?
- იყენებს თუ არა მასწავლებელი, ტრადიციულთან ერთად, სწავლების თანამედროვე, ორიგინალურ მეთოდებსაც?
- რა პერიოდულობითა და მეთოდებით ამოწმებს სკოლა მოსწავლის განათლების დონეს, ტესტირება ჩატარდება თუ ზეპირი გამოცდა?
- ექნებათ თუ არა ბავშვებს გასვლითი გაკვეთილები?
- რა იგეგმება სასწავლო წლის განმავლობაში არაფორმალური განათლების მიმართულებით?
- როგორ წარმოუდგენია მასწავლებელს მშობლის ჩართულობა?
- კომუნიკაციის რა ფორმაა უფრო მოხერხებული პედაგოგისთვის – ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი, ტელეფონი თუ პირისპირ შეხვედრა?
- რა მეთოდებს იყენებს მასწავლებელი რთული ყოფაქცევის მოსწავლეებთან?
- როგორი ურთიერთობა აქვს ბავშვს თანაკლასელებთან?
- როგორ რეაგირებს ბავშვი მარცხსა და წარმატებაზე?
- რამდენად შეუძლია მას გუნდური მუშაობა?
- რამდენად უმკლავდება დამოუკიდებელ სამუშაოს და/ან სირთულეებს?
- ახერხებს თუ არა აზრის გამოთქმას და ჩამოყალიბებას?
- რაიმე ტიპის მხარდაჭერა ხომ არ სჭირდება მოსწავლეს? აქვს მასწავლებელს რაიმე რჩევა, როგორ დავეხმაროთ მას?

ზემოთ ჩამოთვლილ კითხვებზე მიღებული პასუხები მოსწავლეთა მშობლებს ადეკვატური მოლოდინის შექმნაში დაეხმარება და თავიდან ააცილებს გაურკვევლობით გამოწვეულ უსიამოვნებებს.

მშობლისა და მასწავლებლის სატელეფონო საუბარი

მნიშვნელოვანია, რომ მშობელსა და მასწავლებელს ერთმანეთის ტელეფონის ნომრები ჰქონდეთ და იცოდნენ საუბრისთვის შესაფერისი დრო, როდესაც ერთმანეთს ხელს არც მუშაობაში შეუშლიან და არც დასვენებაში. სრულიად შესაძლებელია, მასწავლებელი და მშობელი სასწავლო წლის დასაწყისშივე შეთანხმდნენ, რა დროს არის ხელსაყრელი ერთმანეთთან დარეკვა და ეს წესი დაიცვან. ცხადია, შეიძლება, გამონაკლისებიც დაუშვან, თუ ამის აუცილებელი საჭიროება დადგება.

გასათვალისწინებელი ასპექტები

- ტელეფონი შეხვედრის დასაგეგმად გამოვიყენოთ;
- საქმეზე სასაუბროდ პირადად შევხვდეთ;
- თუ ვერ ვახერხებთ დროულად შეხვედრას, დავუშვათ გამონაკლისი;
- ტელეფონზე საუბრის დროს არ ვიჩქაროთ;
- ყურადღება გავამახვილოთ ხმის ტემბრზე;
- ვისაუბროთ თავაზიანად.

თანამოსაუბრე უნდა გრძნობდეს, რომ ჩვენ ვზრუნავთ ბავშვზე და არ ვცდილობთ, ჩვენი კონტროლის ქვეშ მოვაქციოთ სიტუაცია. ზოგჯერ, როცა ამის საფუძველი რეალურად გვაქვს, მადლობის სათქმელადაც დავურეკოთ ერთმანეთს. სასიამოვნოდ გაოცება მასწავლებელსა და მშობელს ერთნაირად გაახარებს და უფრო კეთილგანწყობილი ურთიერთობა ჩამოუყალიბდებათ.

მშობლისა და მასწავლებლის პირისპირ შეხვედრა

მშობლისა და მასწავლებლის პირისპირ შეხვედრას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მათ წელიწადში რამდენჯერმე მაინც უნდა შეეძლოთ მშვიდად საუბარი ბავშვის საჭიროებების შესახებ.

სასურველია, მოსწავლის მშობელმა კონკრეტული დღეების, საათებისა და ფორმატის მითითებით იცოდეს, როდის და რა პირობებშია შესაძლებელი შვილის სკოლაში მისვლა. ამისთვის აუცილებელია, სკოლას ჰქონდეს მშობლებთან კომუნუკაციის კალენდარი. მაგრამ თუ ასეთი გეგმა-გრაფიკი არ არსებობს, ეს არ ნიშნავს, რომ მშობელს სკოლაში მისვლა ან შენობაში შესვლა აკრძალული აქვს. მშობლებმა უნდა იცოდნენ, რომ ეს აკრძალვა არაკანონიერია და ეწინააღმდეგება ზოგადი განათლების შესახებ კანონს, რომლის II თავის, მე-8 მუხლის მე-5 პუნქტით დაუშვებელია მშობლის უფლებების იმგვარი შეზღუდვა, რომ არსებითად გაუქმების ტოლფასი იყოს. ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს გონივრული, მინიმალური და მხოლოდ დადგენილი წესის საფუძველზე უნდა მოხდეს და არა რომელიმე ადამიანის ერთპიროვნული ზეპირი გადაწყვეტილებით, თუნდაც ამ აკრძალვის ინიციატორი დირექტორი იყოს. ასეთ დროს,

აკრძალვაზე დამორჩილების ნაცვლად, მშობლებმა უნდა მოითხოვონ განრიგი, თუ როდის, რა ფორმატში და რა პირობებში შეუძლიათ სკოლაში მისვლა, შენობის დათვალიერება, მასწავლებლებთან შეხვედრა, გაკვეთილებზე დასწრება და ა.შ.

რა არის ის ზოგადი წესები, რომელიც პირისპირ შეხვედრისას უნდა გაითვალისწინონ მშობელმა და პედაგოგმა?

გასათვალისწინებელი ასპექტები

- შეხვედრა უნდა იყოს საქმიანი;
- გაღიმება და ხელის ჩამორთმევა წარმატებული დიალოგის წინაპირობაა;
- თავდაჯერებულობა და გულისყურით მოსმენა, სიმშვიდისა და წონასწორობის შენარჩუნება მნიშვნელოვანი დეტალებია;
- გულწრფელი ემოციების გაზიარება სასიამოვნო ელფერს შესძენს შეხვედრას;
- ერთმანეთისთვის რჩევის კითხვა და მოსაზრებების გაზიარება მისაღები ფორმატია;
- სიტყვებში ან ქცევაში ცინიზმის გამოჩენა ხელს შეუშლის დიალოგს.

საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება, ერთმანეთს უკან დახევის საშუალებაც მივცეთ, თან ისე, რომ ამის გამო თავი „დამარცხებულად“ არ იგრძნოს. ეს მეტად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მაშინ, თუ ხანგრძლივად გვიწევს ურთიერთობის გაგრძელება.

მშობელთა კრება

მშობელთა კრება არ არის სკოლასთან კომუნიკაციის ერთადერთი გზა, მეტიც, ბევრ სკოლაში ასეთი შეკრებები აღარ ტარდება და ის ჩანაცვლებულია ინდივიდუალური ან წარმომადგენლობითი შეხვედრებით. თუმცა, თუ მაინც აპირებთ, ჩაატაროთ კრება ან მონაწილეობთ მასში, მნიშვნელოვანია, რამდენიმე მარტივი წესის დაცვა.

მშობელთა კრების დაგეგმვა რეკომენდებულია საერთო საკითხების გასაცნობად, მაგალითად:

- არაფორმალური აქტივობების დაგეგმვა;
- სასწავლო პროგრამების გაცნობა;
- საგნის მასწავლებლებისა და მათი მეთოდოლოგიის გაცნობა;
- სკოლის წესდების, შინაგანაწესის, ხელშეკრულების გაცნობა;
- დღის რეჟიმის ან სასწავლო პროგრამების პრეზენტაცია და სხვა.

მშობელთა კრების დაგეგმვა არ არის რეკომენდებული:

- თუ ადგილი აქვს ჯგუფის მიერ ინდივიდთან დაპირისპირებას;
- თუ განსახილველი თემატიკის მიმართ საზოგადოება განსაკუთრებით მგრძნობიარეა;
- თუ უნდა ვისაუბროთ:
  - მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ,
  - მოსწავლის ქცევათა სისტემის შესახებ,
  - ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

მშობელთა კრებას უნდა ჰყავდეს ფასილიტატორი, რომელიც უზრუნველყოფს რეგლამენტის დაცვას და იმას, რომ მონაწილეებმა თემას არ გადაუხვიონ. თუ კრებაზე მისვლას რეგულარულად ვერ ახერხებს ბევრი მშობელი, სკოლამ ცვლილებებზე უნდა იფიქროს: შეიძლება, შეცვალოს დრო, ან ფორმატი; ან სულ მცირე – კრების ოქმი გაუგზავნოს ყველა მშობელს, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი, თუ რა საკითხები და როგორ განიხილა კრებაზე შეკრებილმა საზოგადოებამ.

მშობლებსა და მასწავლებლებს შორის წერითი კომუნიკაცია

ბოლო დროს მშობლები და მასწავლებლები ურთიერთობის საშუალებად რეგულარულად იყენებენ წერით ფორმებს. იქნება ეს სოციალური ქსელი, მესენჯერი, ვაიბერი თუ სხვა პლატფორმები. მიიჩნევა, რომ ურთიერთობის ეს ფორმა უფრო მარტივია. ძალიან ხშირად, თითოეულ კლასს ორი ჩათიც კი აქვს – ერთი, რომელშიც

მასწავლებელიც არის და მეორე – რომელშიც მხოლოდ მშობლები არიან. რა თქმა უნდა, უმჯობესია, თუ სასკოლო საკითხების, მათ შორის პრობლემების განხილვა იმ სივრცეში მოხდება, სადაც სკოლის წარმომადგენლებიც არიან, რადგან ამ პრობლემების მოგვარება მათ შეუძლიათ. ცალკე მშობლების ჩათი ნაკლებად ასრულებს სასარგებლო როლს და საჭირო უმეტესად მაშინ ხდება, როცა მშობლებს ინფორმაციის დეფიციტი აქვთ.

გასათვალისწინებელი ასპექტები

- ნებისმიერი ფორმით გაგზავნილი წერილი ფიქსირებული დოკუმენტია;
- მოვერიდოთ წერილობით კომუნიკაციას საკამათო საკითხებზე;
- წერისას სიტყვებს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ;
- არ გამოვიყენოთ ბუნდოვანი გამოთქმები და ორაზროვანი სიტყვები.

რადგან ჩვენს თანამოსაუბრეს – მშობელი იქნება ის, თუ მასწავლებელი – დრო სჭირდება იმის დასაზუსტებლად, ჩვენ რას ვგულისხმობთ. ხშირად ადამიანები მხოლოდ იმიტომ იწყებენ კამათს, რომ სხვადასხვანაირად ესმით წაკითხულის შინაარსი. ამიტომ ვიყოთ ფრთხილად და დავიცვათ ზომიერება.

კომუნიკაცია FACEBOOK-ის დახურულ ჯგუფში

Facebook-ის დახურული ჯგუფი მშობლებსა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ინსტრუმენტია. ის ინფორმაციის სწრაფად გასავრცელებლად გამოიყენება და ერთგვარი სადისკუსიო სივრცეც არის.

თუმცა, კარგი იქნებოდა, facebook-ის ჯგუფს ჰქონდეს წესები, რომელსაც ჯგუფის შემქმნელი წარადგენს და გაწევრიანებამდე ყველას მოუწევს მასზე დათანხმება.

გასათვალისწინებელი ასპექტები

- დახურულ ჯგუფს უნდა ჰქონდეს წესები;
- დაუშვებელია ჯგუფში პერსონალური მონაცემების შემცველი პოსტების გამოქვეყნება;
- დაუშვებელია სიძულვილის ენის გამოყენება და არათემატური საუბრები;
- დაუშვებელია ჯგუფში დელიკატური საკითხების განხილვა, თუ იქ ბავშვებიც არიან.

ეს დაგვიცავს, რომ დროთა განმავლობაში დახურული ჯგუფი არ გადაიქცეს ერთგვარ „ბრძოლის ველად“, ემოციებისგან დაცლის ან დაპირისპირების ადგილად. რადგან, წერილობითი კომუნიკაცია ურთიერთობის არასრულყოფილი ფორმაა და რისკებიც ახლავს.

აქტიური მშობლის გაგება უწინ და ახლა

მშობლებისათვის კონფლიქტს ხშირად წარმოქმნის შვილზე, სწავლების სტილზე არასაკმარისი ინფორმაცია, ან ჩართულობის შესაძლებლობის ნაკლებობა, სკოლის გაუმჭვირვალობა, თუ უსამართლობის განცდა, რომელიც სასკოლო ცხოვრების ნაწილი გახდა.

ამავდროულად, არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ როგორი ტრანსფორმაცია გამოიარეს სკოლებმა, როგორ შეიცვალა თაობები და რო-

გორ შეიცვალა მშობელთა ჩართულობისადმი დამოკიდებულებები – რა იგულისხმებოდა ადრე და ახლა აქტიურ მშობლობაში:

ადრე მშობელთა ჩართულობა მათგან მოითხოვდა, დაინტერესებულიყვნენ შვილების მიღწევებით და დამრიგებელთან მოეკითხათ მიმდინარე ნიშნები. ამის გარდა, აქტიური მშობლის კიდევ ერთი ფუნქცია იყო თანხის შეგროვება, თუმცა, ეს თანხა იშვიათად ხმარდებოდა ბავშვების საჭიროებებს და, უმეტესად, სკოლის თანამშრომელთა მომადლიერებაზე იყო მიმართული. აღზრდის ქვაკუთხედი კი ამ დროს იყო დირექტივების მიცემა შვილებისთვის, რომელთაც მშობლები იშვიათად აძლევდნენ აზრის გამოთქმის შესაძლებლობას, არ უსმენდნენ მათ, პირდაპირ ასრულებდნენ სკოლის თანამშრომელთა მითითებებს და ცდილობდნენ, გაემართლებინათ სკოლის, მასწავლებლის მოლოდინები მაშინაც კი, თუ ის პოზიტიური მშობლობის პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა.

წარსულისგან განსხვავებით, დღეს მშობლებს უამრავ ინფორმაციაზე მიუწვდებათ ხელი. ბევრი მშობელი სწავლობს პოზიტიურ მშობლობას, შვილთან კომუნიკაციას, ბავშვის განვითარების ასაკობრივ თავისებურებებს, ქცევის მართვას; ისმენს ფსიქოლოგებისა და ცნობილი პედაგოგების ლექციებს აღზრდისა და პედაგოგიური მიდგომების შესახებ; კითხულობს, უყურებს და აკვირდება განვი-

თარებული ქვეყნების გამოცდილებას. დაინტერესებული მშობელი გარკვეულია საგანმანათლებლო მიდგომებში და მაღალი მოლოდინებით მიდის სკოლაში, რადგან იცის, რომ შვილის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია. დღესდღეობით ფრაზა „მშობელთა ჩართულობა“ გულისხმობს დედის/მამის/კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობის უფრო ფართო გაგებას, ვიდრე ეს იყო წარსულში. სასკოლო ცხოვრებაში მონაწილე მშობელი ნიშნავს ბავშვზე მზრუნველ, საიმედო, კარგ მოქალაქეს, თავისუფალ ადამიანს, რომელმაც კარგად იცის თავისი და სხვისი

უფლებები და მოვალეობები. რამდენად მზრუნველი და აქტიურია მშობელი, განისაზღვრება იმით, თუ რას აკეთებს იგი ბავშვთა განვითარებისთვის სკოლაში და სკოლის მიღმა; რას აკეთებს იმისათვის, რომ მისმა შვილმა და სხვა ბავშვებმა მაქსიმალურად მიიღონ სკოლიდან ის, რაც მათ სჭირდებათ და ეკუთვნით.

კულტურული ცვლილებები სკოლებში

მოსწავლეთა მშობლები უზარმაზარი და, ამავე დროს, მრავალფეროვანი ჯგუფია. საქართველოში დაახლოებით 1 მილიონი ადამიანი ატარებს მოსწავლის მშობლის სტატუსს. იმისათვის, რომ „მშობელთა ჩართულობის“ ტრადიციული გაგება თანამედროვე მნიშვნელობამ ჩაანაცვლოს, აუცილებელია, საქართველოს სკოლებმა:

- დაამსხვრიონ ძველი სტერეოტიპი და ოჯახი სკოლის საიმედო პარტნიორად მოიაზრონ;
- ხელი შეუწყონ აქტიურ მშობლებს, სკოლასა და სკოლის მიღმა იმუშაონ ბავშვების პრობლემების მოგვარებაზე;
- წაახალისონ მშობელთა დამოუკიდებელი კლუბების, საინიციატივო ჯგუფების დაფუძნება და/ან მშობელთა ასოციაციებში გაერთიანება;
- შეიმუშაონ მშობელთა ჩართულობის სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტი, სამოქმედო გეგმა და მშობლებთან თანაშრომლობის კალენდარი;
- თანაშექმნის პრინციპით განსაზღვრონ მშობლებთან თანამშრომლობის წესები და მშობელთა პედაგოგიზაციის პროგრამები შექმნან;
- ჩაატარონ სასკოლო ღონისძიებები, დისკუსიები, კონფერენციები, რომლებზეც სხვადასხვა კლასის, სკოლის მშობლები ერთმანეთს გაიცნობენ, გაუზიარებენ გამოცდილებას, ცალკეულ საკითხებზე იმსჯელებენ, პრობლემას განიხილავენ, აქტივობას დაგეგმავენ, შექმნიან თანამოაზრეთა ფორმალურ თუ არაფორმალურ ჯგუფებს და მასწავლებლებთან ორგანიზებულად ითანაშრომლებენ.

მშობელთა უფლებები

დღეს მშობლების მონაწილეობა ბავშვის განათლებაში უფლებაცაა და მოვალეობაც და წახალისებულია საქართველოს კანონმდებლობით. სასკოლო საზოგადოებას კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, რომ საქართველოს კონსტიტუციით და ზოგადი განათლების შესახებ კანონით, მშობლებს აქვთ:

- სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება;
- გამოხატვის თავისუფლება;
- შეკრების თავისუფლება;
- გაერთიანების თავისუფლება;
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება;
- გასაჩივრების უფლება;
- სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლება;
- დისკრიმინაციისგან დაცვის უფლება.

სკოლის მოსწავლის მშობელს უფლება აქვს:

- მოისმინოს ინფორმაცია ბავშვის შესახებ და თავადაც დაუბრუნოს უკუკავშირი პედაგოგს. პირადად ჩაერთოს სხვადასხვა სასკოლო გამოწვევის გადაჭრის პროცესში;
- პირადად ჩაერთოს მისი შვილის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში; გახდეს ან აირჩიოს სამეურვეო საბჭოს წევრი და ამ გზით მიიღოს მონაწილეობა სკოლის მართვაში;
- ჩაერთოს სასკოლო აქტივობებში, ან დაგეგმოს და განახორციელოს განმავითარებელი აქტივობები სკოლის ტერიტორიაზე ან მის მიღმა;
- გახდეს მოხალისე მშობელი და დანერგოს არაფორმალური განათლების კომპონენტი სკოლაში; თავად შექმნას ან შეურთდეს მშობელთა ასოციაციებს;
- საჭიროების შემთხვევაში სკოლის თანამშრომლებს დაუსვას შეკითხვები სახელმძღვანელოს, სასწავლო მეთოდოლოგიისა თუ პედაგოგიური მიდგომების შესახებ;
- მონაწილეობა მიიღოს კვლევებში და, ასევე, საჯაროდ გამოხატოს მოსაზრებები მიმდინარე რეფორმის, განათლების სისტემისა თუ სხვა აქტუალური საკითხების შესახებ;
- თავად დაიცვას და სკოლის თანამშრომლებისგანაც მოითხოვოს თავაზიანი მოპყრობა, ნეიტრალურობის დაცვა და არადისკრიმინაციულობა;
- საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის დახმარებისთვის მიმართოს სკოლის მიღმა არსებულ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, შეხვდეს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და უშუალო მონაწილეობა მიიღოს სკოლის უკეთესობისკენ შეცვლის პროცესში.

მშობელთა მოვალეობები

უფლებებთან ერთად მშობლებს მთელი რიგი ვალდებულებებიც აქვთ. საქართველოს კანონმდებლობით, მშობელი ვალდებულია:

- პატივი სცეს ბავშვის პიროვნებას;
- სათანადო ყურადღება დაუთმოს ბავშვის მოსაზრებებსა და საჭიროებებს;
- ბავშვს შეუქმნას ჰარმონილი აღზრდის, განვითარებისა და კეთილდღეობისთვის აუცილებელი ოჯახური გარემო პირობები;
- მშობელი ისევე, როგორც ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებელი სხვა პირი, ვალდებულია, ბავშვი მშვიდობის, ადამიანის უფლებების პატივისცემის, შემწყნარებლობის, თანასწორობისა და სოლიდარობის პრინციპებით, საზოგადოების ღირსეულ წევრად და მაღალი ზნეობრივი ღირებულებების მქონე პიროვნებად აღზარდოს, ასევე, იზრუნოს მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისთვის;
- მოამზადოს ბავშვი საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის;
- დაუშვებელია მშობლის მიერ აღზრდის ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც ითვალისწინებს ბავშვის ფიზიკურ დასჯას ან მისდამი სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან/და სასჯელის გამოყენებას;
- მშობლებს აქვთ ბავშვის რჩენის ვალდებულება;
- მშობლებს ევალებათ, დაიცვან თავიანთი არასრულწლოვანი შვილების უფლებები და ინტერესები;
- მშობელი ვალდებულია, მოახდინოს რეაგირება, თუ მისთვის ცნობილი გახდა მესამე პირის მიერ მისი შვილის უფლებების დარღვევის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ის უგულებელყოფს ბავშვის უფლებებს, მისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება;
- მშობელი ვალდებულია, ბავშვს, მისი განვითარების შესაძლებლობის გათვალისწინებით, მიაწოდოს ინფორმაცია და რჩევა-დარიგებები ბავშვის უფლებების, ამ უფლებების დარღვევის შემთხვევაში დაცვის საშუალებებისა და სხვათა უფლებების პატივისცემის შესახებ;

- მშობელი ვალდებულია, საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ბავშვის ინტერესებზე მორგებულ მხარდაჭერის ღონისძიებებში;
- მშობელი ვალდებულია, დაიცვას სკოლასთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;
- მშობელი ვალდებულია, ისე აღზარდოს შვილი, რომ ბავშვი თავისი ასაკისა და შესაძლებლობების შესაბამისად:
  - აცნობიერებდეს საკუთარ უფლებებს და შეეძლოს მათი დაცვა;
  - პატივისცემით ეპყრობოდეს ოჯახის წევრებსა და სხვა პირებს;
  - პატივს სცემდეს სახელმწიფოს და იცავდეს კანონს;
  - აცნობიერებდეს საკუთარ მოვალეობას და პატივს სცემდეს სხვათა უფლებებს;
  - განათლება მიიღოს თავისი შესაძლებლობების შესაბამისად;
  - გაუფრთხილდეს ბუნებრივ გარემოს და დაიცვას ის.

იმ შემთხვევაში, თუ სკოლის თანამშრომლებისთვის ცნობილი გახდა, რომ მშობელი არღვევს ბავშვის უფლებებს, სკოლა ვალდებულია, დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება, შეისწავლოს საკითხი მისი უფლებამოსილების ფარგლებში და საჭიროების შემთხვევაში, საქმე ოფიციალურად გადასცეს მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრს ან ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს.

ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში ირღვევა ბავშვის უფლებები, მშობელს შეუძლია, მიმართოს ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრს, განათლების სამინისტროს, სახალხო დაცველს, სასამართლოს და/ან უფლებადამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

წყაროები:

საქართველოს კონსტიტუცია, ზოგადი განათლების შესახებ კანონი, ბავშვთა უფლებების კოდექსი, სამოქალაქო კოდექსი

საქართველოს სკოლების სპეციფიკური და ზოგადი სასკოლო პროგლემები

სკოლებში ხშირად აღინიშნება პრობლემები, რომლებიც შემდეგ განაპირობებს გაუგებრობებს სკოლის თანამშრომლებსა და ოჯახებს შორის.

ეს გამოწვევები ხშირად ადვილი მოსაგვარებელი არ არის და ზოგჯერ სცდება კიდეც სკოლის შესაძლებლობებს, მოკლე ვადებში მოახდინონ რეაგირება. თუმცა, მშობელთა ჩართულობა, პრობლემებზე ღიად საუბარი, მათი აღჭურვა ადვოკატირების უნარით, ამ პრობლემების დაჩქარებულად გადაჭრას უწყობს ხელს.

პრობლემების გადაჭრის პროცესში მშობელთა ჩართულობა სკოლისადმი ნდობას ბადებს. როდესაც მოსწავლის ოჯახი ხედავს, რომ შიდა სასკოლო საზოგადოებაც მათ მხარესაა და ძალისხმევას არ იშურებს ხარვეზების აღმოსაფხვრელად, ის უფრო გაგებით ეკიდება გამოწვევების არსებობას.

სკოლების ყველაზე დიდი მხარდამჭერები შეიძლება, მშობლები გახდნენ. ისინი ყველაზე მეტად არიან დაინტერესებულნი ბავშვთა უფლებების კანონიერი გზებით დაცვით და სკოლასთან თანამშრომლობით. როდესაც მათი აქტივობა პერსონების წინააღმდეგ არ არის მიმართული და მშობლები მათი შვილების გარემოს გაუმჯობესებას ცდილობენ – ეს ჯანსაღი ჩართულობაა. თანამშრომლობის შემთხვევაში, ისინი დამსახურებულად დააფასებენ სკოლების ღვაწლს, რაც მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოებისათვის.

განვიხილოთ სკოლაში წამოჭრილი ტიპური პრობლემები და გამოსავალი მშობლებთან ერთად ვიპოვოთ:

ბულინგი და თანატოლების კონფლიქტები

ძალადობის მასშტაბები სკოლებში დიდია. მოსწავლეთა 28 % აღნიშნავს, რომ ეს საკუთარ თავზე გამოუცდია, ხოლო მეგობარზე საუბრის შემთხვევაში – 48%-ს აღწევს. ყველაზე გავრცელებული ფორმებია მუშტით ჩხუბი, დაბულინგება, დაჩაგვრა და ამის რისკ ფაქტორი შეიძლება, აღმოჩნდეს წონა, სიმაღლე, ეთნიკური, ან რასობრივი ნიშანი. მშობელთა ჩართულობით ბულინგისა და კონფლიქტების დაძლევის შესაძლო სტრატეგიებია:

- **განახორციელეთ ბულინგის წინააღმდეგ მიმართული კამპანიები, შესთავაზეთ დახმარების სერვისები.** შექმენით მშობელთა მხარდამჭერი ჯგუფები, სადაც ისინი შეძლებენ ერთმანეთისთვის გამოცდილების გაზიარებასა და მხარდაჭერას; ჩაატარეთ ერთობლივი სემინარები და „ვორქშოპები“, სადაც მათ შეეძლებათ, გაეცნონ ბულინგის ნიშნებს და რეაგირების მექანიზმებს.
- **ხელი შეუწყეთ პოზიტიურ სასკოლო კულტურას.** მოიწვიეთ მშობლები ინკლუზიური და კეთილგანწყობილი გარემოს შესაქმნელად; ჩაატარეთ რეგულარული ღონისძიებები, კვირეულები, რომლებზეც გაიმართება დისკუსიები, ფილმების ჩვენებები, თუ განხილვები; მათ ორგანიზებაში ჩართეთ მშობლები.

მაგალითები:

- ნორვეგიაში Olweus Bullying Prevention Program-ში მშობლების ჩართვა სავალდებულოა, რათა მათ უკეთ გაიგონ ბულინგის პრევენციისა და გამოსწორების პროცესები.
- კანადაში მედიაციის პროგრამები მოიცავს მშობელთა ტრენინგებს, რათა მათ შეძლონ ბავშვების მხარდაჭერა კონფლიქტის დროს.

დამატებითი რესურსი მშობლების როლზე ბულინგის პრევენციაში იხილეთ V თავში

აკადემიური უთანასწორობის აღმოფხვრა

უთანასწორობის აღმოფხვრა მწვავედ დგას სკოლების წინაშე. ეს განსაკუთრებით ეხება სწრაფად მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, რომლებშიც ეკონომიკური სხვაობა თვალში საცემია. ასევე, ხშირია, როცა სხვადასხვა უმცირესობებს განსხვავებული აქვთ უფლებები და ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა. საქართველოში უთანასწორობების გამომწვევ მთავარ მიზეზად ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მიიჩნევა. მწვავედ დგას სხვაობების საკითხი სოფელსა და ქალაქებს შორისაც, ასევე, არაქართულენოვან და ქართულენოვან სკოლებს შორის.

შესაძლო სტრატეგიები მშობელთა ჩართულობით:

- **განახორციელეთ მიზანმიმართული ჩარევის პროგრამები.** მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართვა დამატებით გაკვეთილებსა და რემედიაციის პროგრამებში, რადგან სკოლას უზოგავს რესურსებს და მშობლებსაც საშუალებას აძლევს, გახდნენ პოზიტიური ცვლილებების თანამონაწილენი;
- **მნიშვნელოვანია მასწავლებელთა ხარისხიანი პროფესიული განვითარება.** მათ უნდა ისწავლონ, თუ როგორ მართონ გაკვეთილი დიფერენცირებულად, თითოეული მოსწავლის საჭიროების გათვალისწინებით. ტრენინგები ჩაუტარდეთ

მასწავლებლებს, რათა ისინი გაეცნონ მშობლებთან თანამშრომლობის სტრატეგიებს და დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს, რაც აკადემიური უთანასწორობის აღმოფხვრას უზრუნველყოფს;

- **ჩართეთ ოჯახები სასწავლო პროცესში.** დაეხმარეთ მშობლებს ისწავლონ, როგორ დაეხმარონ შვილებს სწავლაში და როგორ შექმნან სწავლისთვის ხელსაყრელი გარემო.

მაგალითები:

- **ფინეთში** ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენის პროცესში მშობლები აქტიურად მონაწილეობენ, რაც აკადემიური დახმარების უკეთ ორგანიზებას უწყობს ხელს.
- **სინგაპურში** „Learning Support Programme"-ში მშობლების ჩართვა მნიშვნელოვანია, რათა მათ ბავშვის პროგრესის მონიტორინგი და მხარდაჭერა შეძლონ.

დამატებითი რესურსი მშობლების როლზე მოსწავლეთა შეფასების საკითხებზე იხილეთ V თავში

ინფრასტრუქტურული და უსაფრთხოების საკითხები

არსებული ცენტრალიზებული მართვისა და დაფინანსების სქემის გამო ჩვენს სკოლებს უჭირთ ინფრასტრუქტურული საკითხების გადაჭრა. აქ შეიძლება, განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდეს მშობლების ჩართვა, რადგან მათ შეუძლიათ ადვოკატირების კამპანიის წამოწყება. რაც შეეხება უსაფრთხოებას, ეს სკოლისა და ოჯახების ერთობლივი საზრუნავია.

შესაძლო სტრატეგია მშობელთა ჩართულობით:

- **სკოლის მოვლა-პატრონობასა და განახლებაში ჩართეთ** მშობლები, რათა მათ მეტი პასუხისმგებლობა იგრძნონ სკოლის ინფრასტრუქტურის მონიტორინგში და გაუჩნდეთ კუთვნილების განცდა. მშობელთა ჩართვა საგანგებო სიტუაციების გეგმის შე-

მუშავებასა და სწავლებებში, ასევე, მნიშვნელოვანია უსაფრთხოების ნორმების დამკვიდრებისთვის.

მაგალითი:

- **იაპონიაში** მიწისძვრისა და სხვა ბუნებრივი კატასტროფების მართვის სწავლებებში მშობლები აქტიურად მონაწილეობენ, რათა მათ ბავშვების მხარდაჭერა შეძლონ საგანგებო სიტუაციების დროს; უკეთ გაიგონ და ჩაერთონ ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

მოსწავლეთა ქცევითი პროგლემეგი

ასახელებენ მოსწავლეთა ქცევითი პრობლემების სხვადასხვა მიზეზს, კერძოდ: ბავშვის ფსიქიკური სამყაროს სენსიტიურობას, არაცნობიერ მოტივებს, მემკვიდრეობას, გარემოს, აღზრდის დეფიციტს და სხვა. თუმცა, ხშირია, როცა მასწავლებელს არ აქვს კლასის მართვის უნარი და არ ფლობს ქცევის მართვის სტრატეგიებს. ხშირ შემთხვევაში ქცევის მართვაში მნიშვნელოვანი როლი მშობელთა ჩართულობას უკავია.

შესაძლო სტრატეგია მშობელთა ჩართულობით:

- **განახორციელეთ ქცევის მართვის პროგრამები** მშობლებისათვის. ეს შეიძლება, ატარებდეს სემინარების ფორმას სხვადასხვა მართვის ტექნიკებზე, რათა მათ შვილების ქცევის სწორად წარმართვა და მხარდაჭერა შეძლონ. მშობელთა ჩართვა ქცევითი პრობლემების მოგვარებაში მათთან კონსულტაციებს საჭიროებს, რადგან მშობლებს შეიძლება, არ ჰქონდეთ სათანადო ცოდნა, სპეციალისტებთან ვიზიტებზე კი ვერ ატარებდნენ შვილებს. სწორედ სკოლაა ის ორგანიზაცია, რომელიც ოჯახთან თანამშრომლობით ძალისხმევას არ უნდა იშურებდეს ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად.

მაგალითი:

- **შვედეთში** მშობლები ჰყავთ ჩართული „სოციალური და ემოციური სწავლების“ პროგრამებში, რაც ბავშვების ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას ეხმარება.

- **საფრანგეთში** მშობელთა მონაწილეობა „კონფლიქტების მედიაციის“ პროგრამებში ბავშვებს კონფლიქტების მშვიდობიანად გადაჭრაში ეხმარება.

მშობლების არქეტიპები

სკოლების ერთგვაროვანი დამოკიდებულება მშობლებისადმი, მათი ფსიქოტიპების გაუთვალისწინებლობა და მიდგომათა მრავალფეროვნების არარსებობა შეიძლება, კონფლიქტის წყარო გახდეს. მათდამი სპეციფიკური მიდგომების ცოდნა კი განმუხტავს კრიზისულ სიტუაციას და თანამშრომლობით დონეზე გადაიყვანს. ქვემოთ მოცემულია მშობელთა ძირითადი ტიპები, რომლებთანაც უწევთ სკოლებს ურთიერთობა. რა თქმა უნდა, კატეგორიზაცია განსხვავებული შეიძლება იყოს, ასეთ შემთხვევაში პრობლემები და მათი მოგვარების სტრატეგიები შესაბამისად დაკორექტირდება.

1. აქტიური და მზრუნველი მშობლები

ზოგადი მახასიათებლები: აქტიური და მზრუნველი მშობლები ხშირად მონაწილეობენ სკოლის საქმიანობაში და მუდმივად ცდილობენ, რომ შვილები წარმატებულები და ბედნიერები იყვნენ. ისინი ორიენტირებულნი არიან შვილის კეთილდღეობასა და განათლების სისტემის განვითარებაზე, ბუნებრივად ერთვებიან სკოლის საგანმანათლებლო პროცესების გასაუმჯობესებელ აქტივობებში, მეტად იზიარებენ სკოლის განვითარების დემოკრატიულ ხედვებს, რაც აძლიერებს მათ სურვილს პოზიტიური ცვლილებების დანერგვისა. აქტიურმა და მზრუნველმა მშობლებმა იციან, რომ სკოლაში გატარებული 12 წელი იმდენად დიდ გავლენას ახდენს ბავშვის პი-



როვნების ფორმირებაზე, რომ ზრდასრულობაში კორექტირება შეუძლებელი ხდება. ამიტომ მოცდის დრო არ არის. ისინი მზად არიან არა მხოლოდ გააკრიტიკონ სკოლა, არამედ დაეხმარონ მას ცვლილებების დანერგვაში. ეს მშობლები მზად არიან, დრო გამოყონ აქტივობებში მონაწილეობისთვის, თუკი სკოლა წინასწარი ინფორმაციით უზრუნველყოფს მათ; ასევე, აქვთ იდეები და ინიციატივები განვითარებისთვის და სასკოლო ცხოვრების გაუმჯობესებისთვის.

აქტიური და მზრუნველი მშობლები შესაძლოა, უკმაყოფილონი იყვნენ მონაწილეობის გარეშე მიღებული სკოლის გადაწყვეტილებებით, ან ბავშვის აკადემიური პროგრესით; წუხდნენ, რომ ნაკლები გავლენა აქვთ გადაწყვეტილების მიღებისას და სკოლის მენეჯმენტთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სავარაუდო სტრატეგიები:

- ჩართეთ ისინი გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, დააწესეთ რეგულარული შეხვედრები, სადაც აქტიური მშობლები შეძლებენ, მონაწილეობა მიიღონ სკოლის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებების ფორმირებაში. ეს ჩართულობა მათ გადაწყვეტილებების თანაზიარს ხდის, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ მათი წუხილები და წინადადებები სერიოზულად მიიღება;
- შექმენით მშობელთა საკონსულტაციო საბჭოები, სხვადასხვა საფეხურის მშობლებისთვის – ცალ-ცალკე, თუკი სკოლა მცირეკონტინგენტიანი არაა. ეს საბჭოები სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად იმუშავებენ მიმდინარე პრობლემების გადაჭრაზე და ახალი ინიციატივების განვითარებაზე. ასეთი სტრუქტურირებული მიდგომა საშუალებას აძლევს მშობლებს, ეფექტურად შეიტანონ წვლილი და მათი ხმების გაგონება უზრუნველყონ;
- შესთავაზეთ მშობლებს სემინარები, რომლებიც სასკოლო მიდგომებს გააცნობს მათ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით და უკეთ ადვოკატირებას ასწავლიან თავიანთი შვილებისა და მთლიანად სასკოლო საზოგადოებისთვის. აღნიშნული სემინარები შეიძლება, მოიცავდეს თემებს ეფექტურ კომუნიკაციაზე, კონფლიქტების მოგვარებაზე და საგანმანათლებლო პოლიტიკის უკეთ გაგებაზე.

მაგალითები:

- ფინეთში სკოლებს აქვთ მშობელთა კომიტეტები, რომლებიც აქტიურად და მჭიდროდ თანამშრომლობენ მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან საკითხების გადასაჭრელად და სასკოლო გარემოს გასაუმჯობესებლად. ეს კომიტეტები განუყოფელია თანამშრომლობითი სასკოლო გარემოს შესაქმნელად, რომელიც მშობლების გარეშე სრულყოფილად არ მოიაზრება.
- ნიდერლანდებში სკოლები რეგულარულად აწყობენ „მშობელთა საღამოებს“ სკოლის პოლიტიკის განსახილველად და მშობლებისგან უკუკავშირის მისაღებად, რაც ხელს უწყობს ღია და ინკლუზიური დიალოგის წარმართვას. ღიაობა და გამჭვირვალობა სასკოლო ცხოვრების განუყფელი ნაწილია მათთვის და ანგარიშვალდებულად თვლიან თავს მოსწავლეთა ოჯახებისადმი.

2. დემოტივირებული მშობლები

ზოგადი მახასიათებლები: დემოტივირებული მშობლები ხედავენ პრობლემებს, მაგრამ ბიძგი სჭირდებათ ჩართულობისთვის. ეს მშობლები ხშირად გაუბედავები არიან და ნაკლებად მონაწილეობენ სასკოლო ცხოვრებაში, შეიძლება დროის ნაკლებობის ან პირადი პრობლემების გამოც. წინააღმდეგობების წარმოშობისთანავე ხშირად იხევენ უკან. როგორც წესი, ისინი არ არიან ინიციატორები ან ნაკლებად ინფორმირებულები არიან არსებული ინიციატივების შესახებ. მათ შეიძლება, ჰქონდეთ შიშიც ან დაურწმუნებლობა, რომ სკოლა სერიოზულად არ მიიჩნევს მათ პრობლემებსა თუ მოსაზრებებს; რომ მათი მონაწილეობა, ან დახმარება უმნიშვნელოა.

მშობლები დემოტივირებულები არიან, როდესაც ხელი არ მიუწვდებათ აქტივობების შესახებ ინფორმაციაზე, თუმცა, გაზიარებული ინფორმაციის შემთხვევაშიც კი, დარწმუნებულები არ არიან, უნდათ თუ არა ამ აქტივობებში მონაწილეობა, ვერ ხვდებიან, რა ფორმით შეიძლება, ჩაერთონ და რა როლი შეიძლება მათ ჰქონდეთ. ისინი თავს დაუფასებლად და სკოლისთვის უმნიშვნელოდ გრძნობენ.

მსგავს ქცევა-დამოკიდებულებებს ხშირად ეთნიკური უმცირესობები ავლენენ. ისინი დამატებით ბარიერებსაც აწყდებიან, როგორიცაა ენის არცოდნა. შესაბამისად, თავს იკავებენ, მიმართონ სკოლას.

სავარაუდო სტრატეგიები:

- მკაფიო ინფორმაცია მიაწოდეთ მათი ჩართვის შესაძლებლობების შესახებ. სკოლებმა უნდა შექმნან დეტალური სახელმძღვანელოები და რეგულარულად განაახლოს მათთვის ინფორმაცია, სადაც აღწერილია, თუ როგორ შეიძლება სასკოლო აქტივობებში მონაწილეობა. მკაფიო ინფორმაცია დემოტივირებული მშობლების ეჭვებს ამცირებს;
- შექმენით მხარდამჭერი წამახალისებელი გარემო, სადაც მშობლების წვლილი დაფასებულია. ეს შეიძლება, მოხდეს ღონისძიებებზე პირადი მიწვევებით, მშობელთა ჩართულობის აღიარებით;
- შესთავაზეთ მოქნილი განრიგი მათი მოცალეობის შესაბამისად, რათა მშობლებს დასწრების შესაძლებლობა ჰქონდეთ. დემოტივაციის მიზეზი შეიძლება, დროის დეფიციტიც იყოს. გრაფიკის მოქნილობა კი პატივისცემას გამოხატავს მშობლების დროის მიმართ.

მაგალითები:

- გერმანიაში სკოლები მშობელთა სემინარებსა და მოქნილი შეხვედრების განრიგს სთავაზობენ სასკოლო ცხოვრებაში ჩასართავად, რათა დროის უქონლობის მიუხედავად, მშობლებმა მონაწილეობა შეძლონ.
- ესპანეთში სკოლები ონლაინ პლატფორმებით უზრუნველყოფენ მშობლების ინფორმირებას არა მხოლოდ შვილის მიღწევებზე, არამედ ყველა არაფორმალურ ღონისძიებაზე, რასაც სკოლა გეგმავს. ამ ღონისძიებებში ჩასართავად სკოლა აქტიურად იწვევს მშობლებს. მშობლები კი მარტივად იღებენ ინფორმაციას, რაც დემოტივირებული და დაკავებული მშობლებისთვის შეიძლება, სტიმული გახდეს საკუთარი წვლილის შესატანად სკოლის საქმიანობებში; ასევე, იმ სარგებლის საპოვნელად,

რომლის მოტანაც შეუძლიათ მათ. ასეთ დროს უფრო მოსახერ-ხებელი ხდება მასწავლებლებთან კომუნიკაცია და არც მხო-ლოდ აქტიურ მშობლებზე ხდება გათვლა.

3. დროის არმქონე, დაკავებული მშობლები

ზოგადი მახასიათებლები: დროის არმქონე მშობლები ხშირად სხვადასხვა ვალდებულებით არიან დატვირთული. მათ არ აქვთ საკმარისი დრო, რომ აქტიურად ჩაერთონ სკოლის საქმიანობაში; სკოლის პროცესებში მონაწილეობისთვის დროის გამონახვა უჭირთ და მხოლოდ მნიშვნელოვან ღონისძიებებს თუ ესწრებიან.

დასაქმებულ, დაკავებულ მშობლებს აწუხებთ, რომ ფიზიკური დის-ტანციისა თუ რთული სამუშაო გრაფიკის გამო ბავშვთან კავშირს კარგავენ. ამან შეიძლება, შვილების ქცევითი პრობლემები, ან/და აკადემიური მოსწრების გაუარესება გამოიწვიოს. მოუცლელი მშობ-ლების ქცევა შეიძლება, ორგვარი იყოს: ან სრულად გადააბარონ პასუხისმგებლობა სკოლას, ან სრული უნდობლობა ჰქონდეთ მის-დამი. უნდობლობა კი აიძულებთ, დანაკლისი სხვა არაფორმალუ-რი აქტივობებითა და რეპეტიტორებით აღმოფხვრან.

უნდობლობა, თუ სკოლებზე პასუხისმგებლობის გადაბარება ხში-რად ემიგრაციაში წასულ მშობლებს ახასიათებთ. თუმცა, ისინი სხვა დამატებით პრობლემებსაც აწყდებიან, როგორიცაა შვილის სასკო-ლო ცხოვრებიდან ფიზიკური დისტანცირება.

სავარაუდო სტრატეგიები:

- გამოიყენეთ ციფრული პლატფორმები, რათა დაკავებული მშობლები ინფორმირებულნი და სასკოლო ცხოვრებაში ჩარ-თული იყვნენ. განაახლეთ საკონტაქტო ინფორმაცია და ეძიეთ კომუნიკაციის მათთვის მისაღები გზები, რომლებიც უზრუნველ-ყოფს დაკავებულ მშობლებს, იყვნენ ინფორმირებულნი და ჩართულები მათი მოუცლელობის მიუხედავად;
- შეხვედრების ორგანიზება სხვადასხვა დროს, მათ შორის საღა-

მოებსა და უქმეებზეც შეიძლება, რათა დაკმაყოფილდეს მშობლების სურვილი – იყვნენ ინფორმირებულნი და ჩართულნი;

- დღევანდელი ტექნოლოგიური მიღწევები, ასევე, იძლევა საშუალებას, მშობლის ვიზიტები ონლაინ პლატფორმებზე დისტანციური შეხვედრებით ჩანაცვლდეს, რაც ჩაურთველობაზე უკეთესი ალტერნატივაა. ეს კი დასწრების ალბათობას ზრდის;
- თუკი მშობლებმა არ იციან ონლაინ საკომუნიკაციო პლატფორმების გამოყენება, მასწავლებლებმა შესაძლოა, მოხმარების წესები ასწავლონ. ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ მეტი მშობელი ადევნებდეს თვალს შვილის განათლებას.

მაგალითები:

- განვითარებულ ქვეყნებში ბევრი სკოლა იყენებს აპლიკაციებსა და ონლაინ პორტალებს, რათა დაკავებული მშობლები ინფორმირებული და ჩართულები იყვნენ, რაც მოხერხებული გზაა მათი შვილის პროგრესის, საკლასო და სასკოლო ღონისძიებებისა და სხვა სიახლეების შესახებ წვდომისათვის.

4. პრივილეგიების მაძიებელი მშობლები

ზოგადი მახასიათებლები: პრივილეგიების მაძიებელი მშობლები ხშირად ითხოვენ გამორჩეულ დამოკიდებულებას თავიანთი შვილების მიმართ; ცდილობენ, მიიღონ განსაკუთრებული უფლებები ან უპირატესობები. მათთვის სკოლისა და ადმინისტრაციის კმაყოფილება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო; ფიქრობენ, რომ სკოლამ და მასწავლებლებმა უფრო მეტი იციან მათი შვილის საჭიროებების შესახებ; აშინებთ, რომ შვილები არ დაეჩაგროთ, ყურადღების მიღმა არ დარჩნენ, დაიცვან სკოლის დისციპლინა და მაღალი აკადემიური მოსწრება ჰქონდეთ; არ უნდათ, რაიმე გამორჩეთ სასკოლო პროცესებში და აქტივობებში და, შესაბამისად, ცდილობენ, ყველაფერში და ყოველთვის პირველები იყვნენ. ასეთი მშობლები საკუთარ გადაწყვეტილებებზე მეტად, მასწავლებლისა და სკოლის დირექციის გადაწყვეტილებებზე არიან დამოკიდებულნი. მათ შეიძლება, ჰქონდეთ უსამართლობის

ან დისკრიმინაციის განცდაც, თუკი მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება და მათი შვილები პროცესებიდან გარიყულები აღმოჩნდებიან.

პრივილეგიაზე ორიენტირებული მშობლების ამბავი ჩვეულებრივად მიიჩნევა პატარა დასახლებებში.

სავარაუდო სტრატეგიები:

- უნდა დაისახოს მკაფიო კომუნიკაცია და რეგულარულად ვრცელდებოდეს მესიჯები სკოლის მისიასა და ღირებულებებზე, რომლებიც ხაზს გაუსვამს თანასწორი შესაძლებლობების დამკვიდრებას ყველა მოსწავლისათვის. ეს ეხმარება პრივილეგიების მაძიებელ მშობლებს დარწმუნდნენ, რომ მათ შვილებსაც სამართლიანად მოეპყრობიან;
- უზრუნველყავით გამჭვირვალე და სამართლიანი პროცესები. განავითარეთ და ხაზგასმით გამოკვეთეთ საყოველთაობის, ჩართულობის, თანასწორობის, ხელმისაწვდომობის ინკლუზიურობის მნიშვნელობა, რომ სკოლა ყველა ბავშვზეა ორიენტირებული; რომ სკოლა არ ახალისებს მოსწავლეთა პრივილეგირებულობას და გამორჩევას. წაახალისეთ განათლების ინკლუზიურობისკენ მიმართული პროგრამები თუ პროექტები, რომელიც ყველა მოსწავლის თანასწორობას ემსახურება;
- ჩართეთ მშობლები სასკოლო კომიტეტებში, რათა მათი ენთუზიაზმი კონსტრუქციულად წარიმართოს. წაახალისეთ ისინი, შეუერთდნენ მოხალისეობრივ საქმიანობებს, იმუშაონ კონკრეტულ პროექტებზე. ეს ჩართულობა საშუალებას აძლევს მათ, დადებითი წვლილი შეიტანონ სასკოლო ცხოვრებაში და გააცნობიერონ სკოლის ღირებულებები თუ შეზღუდვები.

მაგალითები:

- საფრანგეთში სკოლებს აქვთ მკაფიო და გამჭვირვალე პოლიტიკა, რომელიც ყველა მშობელს უზრუნველყოფს შესაძლებლობით, ჩაერთნონ სამართლიანობისა და თანასწორობის ხელშემწყობ სასკოლო ღონისძიებებში. რეგულარულად ახლ-

დება ინფორმაცია და სკოლას ღია აქვს ყველა საკომუნიკაციო არხი, რაც იწვევს ნდობას.

- იტალიაში მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციები თანამშრომლობენ პრობლემური საკითხების გადასაჭრელად და მოსწავლეთა, სტუდენტთა საჭიროებების მიმართ დაბალანსებული მიდგომის უზრუნველსაყოფად. ეს მშობლებს შესაძლებლობას აძლევს, კონსტრუქციულად გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები.

5. ნიჰილისტი და ინდიფერენტული მშობლები

ზოგადი მახასიათებლები: ინდიფერენტულ მშობლებს ხშირად არ აინტერესებთ სკოლის საქმიანობა და არც მათი შვილების აკადემიური პროგრესი. მათ აქვთ წარუმატებლობის გამოცდილება, უიმედობის განცდა, ხშირად არიან ყველაფრით უკმაყოფილო და კრიტიკის გამოხატვით დაკავებულნი, რადგან პოზიტიური მაგალითების შესახებ ინფორმაცია არ აქვთ. მათ ეშინიათ წარუმატებლობის, საკუთარი არარეალიზებულობის და უგულებელყოფის.

ნიჰილიზმის გამო ისინი შეიძლება, არ რეაგირებდნენ სკოლის მოთხოვნებზე ან ინფორმაციაზე და აქვთ განცდა/მიდგომა, რომ მაინც არაფერი გამოვა.

სავარაუდო სტრატეგიები:

- მიაწოდეთ პოზიტიური მაგალითები და წარმატების ისტორიები, გაუზიარეთ დამდგარი შედეგები – სხვა მშობლებისა და მოსწავლეების მიერ მიღწეული. ამ მაგალითების ხაზგასმით შეიძლება, მათ გაუღვივოთ იმედი და შეუცვალოთ გულგრილი დამოკიდებულება, მოანდომოთ სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობა;
- ნდობის მოსაპოვებლად ჩართეთ ისინი მცირე, მოკლევადიან პროექტებში, რომლებსაც სწრაფი უკუგება ექნებათ. როდესაც მშობლები მათი მონაწილეობის პოზიტიურ ზეგავლენას დაინახავენ, შეიძლება, ჩართულობის სურვილი გაიზარდოს;
- შესთავაზეთ მხარდაჭერა და რესურსები მათი სხვადასხვა

შფოთვის, წუხილის დასაძლევად, გაუწიეთ კონსულტირება, ჩაუტარეთ სემინარები, დააკავშირეთ სხვა ენთუზიასტ და აქტიურ მშობლებთან. თანაგრძნობის გამოჩენა და პრაქტიკული დახმარების შეთავაზება შეიძლება, მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს მათი დამოკიდებულების შესაცვლელად.

ევროპული ქვეყნების მაგალითები:

- დანიაში სკოლები უზრუნველყოფენ კონსულტაციას და მხარდაჭერას გულგრილი, ნიჰილისტურად განწყობილი მშობლების ჩასართავად, მათთვის პერსონალიზებული დახმარების შეთავაზებით და ნდობის აღსადგენად.
- პორტუგალიაში სპეციალიზებული პროგრამები იმ მშობლების ჩართულობას ეხმარება, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ მონაწილეობენ სასკოლო ცხოვრებაში; იქმნება მხარდამჭერი ქსელები აქტიურ მშობელთა მონაწილეობით, რაც ხელს უწყობს ჩართულობასა და კუთვნილების განცდას.

ამ სტრატეგიების განხორციელებითა და მაგალითების შესწავლით, საქართველოს სკოლები შეძლებენ, უკეთ გაუმკლავდნენ გამოვლენილ გამოწვევებს, რის შედეგადაც უფრო მხარდამჭერი და ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემო შეიქმნება, რაც კონფლიქტების საუკეთესო პრევენციაა.

მშობელთა ტიპებისა და მათთან ურთიერთობის დარეგულირებით არაერთი პრობლემა მოგვარდება სკოლაში. სკოლამ საჭიროა, ასევე, დაგეგმოს და გაწეროს, როგორი იქნება მშობლებთან სტრატეგიული პარტნიორობის გეგმა და ვინ იქნება მის შესრულებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი.

თავი III. მშობლებთან ურთიერთობის სტრატეგიული დაგეგმვა სკოლაში

შესავალი

მშობელთა მონაწილეობა და ჩართულობა უმნიშვნელოვანესია მოსწავლეთა მიღწევებისა და სკოლის საერთო წარმატებისთვის. კარგად სტრუქტურირებული სტრატეგიული ურთიერთობის გეგმას შეუძლია, შექმნას თანამშრომლობითი გარემო, სადაც მშობლები და მასწავლებლები ერთად მუშაობენ მოსწავლეთა სასარგებლოდ. ქვემოთ მოცემულია ასეთი სტრატეგიული გეგმის შემუშავების სრული სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც მოიცავს სტრუქტურულ ერთეულებს, მათ ახსნასა და კონკრეტულ მაგალითებს.

ხედვა და მისია

ხედვისა და მისიის შექმნა უკეთეს შედეგებს უზრუნველყოფს, თუკი ყველა დაინტერესებული მხარე და მათ შორის, მშობლები მონაწილეობენ ამ პროცესში. ხედვასა და მისიაში საერთო ღირებულებებისა და პრინციპების ასახვა სასკოლო საზოგადოებას საერთო მიზნის გარშემო აერთიანებს – მოსწავლეთა შესაძლებლობების ზრდისა და მათი პოტენციალის სრულად განვითარების ირგვლივ.

ხედვა: ხედვა სკოლის გრძელვადიან მისწრაფებებს უნდა ასახავდეს მშობელთა ჩართულობის მიმართ. ის უნდა იყოს სამოქმედო სახელმძღვანელო ყველა აქტივობისა და ინიციატივისთვის.

მაგალითი: „შევქმნათ აქტიური, ინკლუზიური სასკოლო საზოგადოება, სადაც მშობლები და მასწავლებლები ერთობლივად მუშაობენ მოსწავლეთა წარმატებისა და კეთილდღეობისთვის.“

მისია: მისიაში უნდა აღიწეროს სკოლის ძალისხმევის მიზანი მშობელთა ჩართულობისთვის. ის უნდა იყოს მკაფიო, მოკლე და ხედვასთან შესაბამისი.

მაგალითი: „ჩვენი მისიაა, შევქმნათ თანამშრომლობითი გარემო, რომელიც ხელს უწყობს მშობელთა აქტიურ ჩართულობას, გამჭვირვალე, ორმხრივ კომუნიკაციას, მშობელთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესებში (მათ შორის, სტრატეგიული დაგეგმვისას), რათა ყოველმა მოსწავლემ თავისი განვითარების შესაძლო მაქსიმუმს მიაღწიოს.“

მიზნები და ამოცანები

ხედვისა და მისიის განსაზღვრის შემდეგ საჭიროა მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, რაც გვაძლევს მიმართულებას და თვალსაჩინოს ხდის შედეგებს. კონკრეტული მიზნებისა და ამოცანების შემუშავება უზრუნველყოფს, რომ სტრატეგიული გეგმა ფოკუსირებული და ქმედუნარიანი იყოს. პროგრესის მონიტორინგისა და საჭიროების შემთხვევაში, სკოლები მათში კორექტივების შეტანას შეძლებენ.

მიზნებისა და ინდიკატორების მაგალითები 2 ჩარჩოს მიხედვით განვიხილოთ: ა) SMART ჩარჩო; ბ) KASAB ჩარჩო

ა) SMART (SPECIFIC, MEASURABLE, ACHIEVABLE, RELEVANT, TIME-BOUND) ჩარჩო

ეს შეიძლება, გაზომვადი შედეგები იყოს სტრატეგიული გეგმისთვის. SMART მოდელი ფართოდ გამოყენებული ჩარჩოა ეფექტური მიზნების დასასახად. აკრონიმი „SMART“ (SMART – Specific, Measurable, Achievable, Relevant, Time-bound) გულისხმობს, რომ მიზნები სტრატეგიული დაგეგმვისთვის უნდა იყოს კონკრეტული/სპეციფიკური, გაზომვადი, მიღწევადი, შესაბამისი და დროში შემოსაზღვრული საუკეთესო შედეგისთვის. მოდელი თავდაპირველად 1981 წელს შემოიღო ჯორჯ ტ. დორანმა. SMART კრიტერიუმები სტრუქტურირებულ მიდგომას გულისხმობს მიზნების დასახვის მიმართ, რაც უზრუნველყოფს მიზნების კარგად განსაზღვრასა და შესაბამისობას სასურველ შედეგებთან, კერძოდ:

- გაზარდოს მშობელთა მონაწილეობა სასკოლო ღონისძიებებსა და აქტივობებში: მიმდინარე სასწავლო წელს 20%-ით გაზარდოს მშობელთა დასწრება მშობელთა კრებებზე/კონფერენციებზე/შეხვედრებზე;
- გააუმჯობესოს კომუნიკაციის არხები მშობლებსა და სკოლას შორის: შექმნას საინფორმაციო ბიულეტენი, რომელიც ორ თვეში ერთხელ გამოვა და მშობლებთან კომუნიკაციას გააუმჯობე-

სებს, ჩატარებულ და დაგეგმილ აქტივობებზე ინფორმაციას მიაწვდის მათ;

- პარტნიორობა გააძლიეროს მშობლებსა და მასწავლებლებს შორის მოსწავლეთა სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად: განათლების სხვადასხვა საფეხურისთვის შექმნას მშობლების საკონსულტაციო საბჭოები, რომლებიც სემესტრში 2-ჯერ შეიკრიბება, იმსჯელებს მშობლებისა და შვილებისთვის აქტუალურ საკითხებზე და სკოლას გაუზიარებს მათ.

ბ) KASAB (KNOWLEDGE, ATTITUDES, SKILLS, ASPIRATIONS, BEHAVIORS) ჩარჩო

მიზნები შეიძლება, ეფუძნებოდეს ცოდნას, დამოკიდებულებებს, უნარებს, მისწრაფებებსა და ქცევებს, როგორც ეს KASAB (Knowledge, Attitudes, Skills, Aspirations, Behaviors) ჩარჩოს შეესაბამება. KASAB-ის ჩარჩო ჯოელინ კილიონმა ჩამოაყალიბა 2008 წელს. ის იმ ცვლილებებს შეეხება, რომლებიც ამა თუ იმ ინიციატივას შეიძლება, მოჰყვეს. მოდელი მხოლოდ ცოდნითა და უნარებით არ შემოიფარგლება და თანაბრად მნიშვნელოვნად მიიჩნევს დამოკიდებულებებს, მისწრაფებებსა და ქცევებს. როდესაც ქცევაში ცვლილება ხდება, ის აუცილებლად მდგრადი იქნება. თითოეულ მიზანთან კი მოცემულია ინდიკატორები, რომელთა საშუალებითაც მათი მიღწევა გაიზომება:

- მშობელთა ცოდნის ასამაღლებლად ვორქშოფებისა და სემინარების დაგეგმვა კურიკულუმის საინტერესო ასპექტებზე, საგანმანათლებლო მიზნების გაგების გასაუმჯობესებლად; მშობელთა ჩართვა სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში; კვარტალური სემინარების დაგეგმვა და განხორციელება, რომლებიც სკოლის მიერ შემოთავაზებულ სხვადასხვა თემატიკას მოიცავს კურიკულუმსა და აკადემიურ პროგრამებზე.
- მშობელთა პოზიტიური დამოკიდებულების წახალისება: სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობით კმაყოფილების შესასწავლად; ყოველწლიური გამოკითხვების ჩატარება მშობელთა აღქმის შესაფასებლად;

- მშობლების უნარების გაძლიერება: ტრენინგ-სესიები პოზიტიური მშობლობის ეფექტური სტრატეგიებისა და ტექნიკის შესახებ, რაც ოჯახის მხრიდან მოსწავლეთა მხადაჭერას გულისხმობს; შესთავაზეთ ყოველთვიური ვებინარები, რომლებიც ფოკუსირებულია პოზიტიურ მშობლობაზე, მოსწავლეთა მხარდაჭერაზე, შვილის დამოუკიდებელ მსწავლელად ჩამოყალიბებაზე, სოციალურ-ემოციური ინტელექტის განვითარების ხელშეწყობაზე, კონკრეტულ სტრატეგიებსა და ტექნიკებზე.
- მშობელთა მისწრაფებების წახალისება: შეიმუშავეთ კარიერული ცნობიერების ამაღლების პროგრამები და ჩაატარეთ სემინარები უნივერსიტეტში ტრანზიციის პროცესისთვის, რადგან მშობლები ხშირად ახდენენ უარყოფით გავლენას მოსწავლეების კარიერულ და პროფესიულ გადაწყვეტილებებზე, თავს ახვევენ თავიანთ ხედვებს. პროფესიული ორიენტაცია კი საჭიროა, მოსწავლის თვითშეცნობით დაიწყოს; უმასპინძლეთ ყოველწლიურ კარიერულ გამოფენას და საინფორმაციო სესიებს მოსწავლეებისა და მშობლებისთვის, რათა გააცნოთ მათ სხვადასხვა კარიერული გზა, უმაღლესი და პროფესიული განათლების შესაძლებლობები; გააფართოვეთ და განაახლეთ პროფესიების მიხედვით მოწვეული სტუმრების სია.
- მშობელთა პოზიტიური ქცევის ხელშეწყობა: მოხალისეთა პროგრამის ჩამოყალიბება, რათა წაახალისოს მშობელთა აქტიური მონაწილეობა სკოლის აქტივობებსა და ინიციატივებში; გაზარდეთ მოხალისე მშობლების რაოდენობა, რომლებიც სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებაში ერთვებიან, ან/და სკოლისშემდგომ აქტივობებს აორგანიზებენ.

ეს მიზნები და ამოცანები სწორ ორიენტირს იძლევა სკოლისთვის, რათა მან მშობლების არა მხოლოდ მონაწილეობა უზრუნველყოს, არამედ სრული ჩართულობაც სასკოლო ცხოვრებაში.

დაინტერესებული მხარეების ანალიზი

პირველ რიგში, გასაანალიზებელია, თუ ვინ არიან დაინტერესებული მხარეები. ეს მოიცავს მშობლებს, მასწავლებლებს, მოსწავლეებს, დირექციისა და ადმინისტრაციის წევრებს და ფართო საზოგადოებას. ყველა დაინტერესებული მხარის საჭიროებებისა და ხედვების გაგება სკოლებს საშუალებას აძლევს, მიზნობრივი და ეფექტური ჩართულობის სტრატეგიები განავითარონ. ეს უზრუნველყოფს, რომ ძალისხმევა იყოს ინკლუზიური და განსხვავებული ჯგუფების უნიკალურ საჭიროებებზე გათვლილი.

მათი საჭიროებების, მოლოდინებისა და შესაძლო წვლილის გააზრება მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობის პროცესის ეფექტური დაგეგმვისათვის.

მშობლები საჭიროებენ მკაფიო კომუნიკაციას, მონაწილეობის შესაძლებლობებს და მათი წვლილის აღიარებას.

მასწავლებლები საჭიროებენ მხარდაჭერას მშობლებთან ჩართულობაში, მათთან საკომუნიკაციო სტრატეგიების შესწავლას პოზიტიური ურთიერთობის დასამყარებლად.

მოსწავლეები ყველაზე დიდ სარგებელს ნახულობენ, თუკი სახლსა და სკოლას შორის კეთილგანწყობილი, თანამშრომლობითი ურთიერთობებია, რაც მათ შესაძლებლობებს აძლიერებს სწავლასა და განვითარებაში.

დირექცია და ადმინისტრატორები საჭიროებენ, გააცნობიერონ მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის და მთლიანად აკადემიური პროცესებისთვის; ხელი უნდა შეუწყონ და აკონტროლონ, როგორ სრულდება საკომუნიკაციო სტრატეგია, რათა გადაწყვეტილებების მიღებიდან მათ აღსრულებამდე ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ პროცესებში.

კომუნიკაციის გეგმა

ეფექტური კომუნიკაცია მშობელთა ჩართულობის საფუძველია. კომუნიკაციის გეგმა უზრუნველყოფს მშობლების სრულ ინფორმირებას, მათ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მათ დაფასებას, რაც სასკოლო აქტივობებში მაღალი ალბათობით მეტი მშობლის მონაწილეობის წინაპირობაა.

მკაფიო და თანმიმდევრული კომუნიკაციის გეგმა აუცილებელია მშობლების ინფორმირებულობისა და ჩართულობის შესანარჩუნებლად. ის უნდა მოიცავდეს სხვადასხვა არხებსა და მეთოდებს, რათა ყველა მშობელმა მიიღოს სათანადო ყურადღება, დროული ინფორმაცია მიმდინარე პროცესებსა თუ სიახლეებზე, მიუხედავად ოჯახის ენობრივი ბარიერებისა, თუ ტექნოლოგიურ ხელმისაწვდომობაში შეზღუდვებისა.

კომუნიკაციის გეგმა რეგულარულად უნდა ახლდებოდეს: ბიულეტენითა და სოციალური მედიით სიახლეების მიღება, რომელიც სკოლის სიახლეებს, დაგეგმილ ღონისძიებებს მოიცავს, რათა მშობლები ინფორმირებული იყვნენ გეგმებზე; მოსწავლეთა პროგრესის წასახალისებლად ელექტრონული ფოსტით რჩევების მიღება.

სხვადასხვა კლასის მშობელთა გაერთიანებული შეხვედრები: დაგეგმილი შეხვედრები შვილების მიღწევებთან და პრობლემებთან დაკავშირებით, პრობლემების აღმოსაფხვრელად ერთობლივი გეგმების დასასახად, მოსწავლეთა სრული პოტენციალის გამოსავლენად; ერთობლივი ონლაინ ჯგუფი დამრიგებლებთან, რომელშიც მიმდინარე საკითხები განიხილება; მობილური აპლიკაცია, რომელიც რეალურ დროში უზრუნველყოფს შეტყობინებებს და საშუალებას მისცემს მშობლებს, აქტუალური ინფორმაცია პირდაპირ მასწავლებლებისგან თუ დირექციისგან მიიღონ.

უკუკავშირის მექანიზმები: მშობლებთან ორმხრივი კომუნიკაციის გასამართად პერიოდული გამოკითხვების ჩატარება, ონლაინ ფორუმების უზრუნველყოფა სივრცით ღია კომუნიკაციისთვის, და წინადადებების ყუთი, რომელიც სკოლაშია განთავსებული და მშობლებს აზრის ანონიმურად დაფიქსირების საშუალებას აძლევს.

ყველა ეს ღონისძიება უზრუნველყოფს სკოლასა და ოჯახს შორის კეთილგანწყობილ ურთიერთობას, რომელშიც კომუნიკაცია ღია და ორმხრივია და, ამასთან, სასიკეთოც მოსწავლეთა სწავლის მხარდასაჭერად, მათი განვითარებისთვის.

დამატებითი რესურსი მშობლებთან თანამშრომლობის სამოქმედო გეგმის შესახებ იხილეთ V თავში

ტრენინგი და მხარდაჭერა

ტრენინგებით, სემინარებით, შეხვედრებით უწყვეტი განვითარების მხარდაჭერა მოსწავლეთა ოჯახებსა თუ მასწავლებლებს უვითარებს უნარებს, ჰმატებს თავდაჯერებულობას, რომ უფრო ეფექტურად ჩაერთონ თანამშრომლობაში მოსწავლეთა საკეთილდღეოდ.

ტრენინგები, სემინარები, დისკუსიები, ფილმების ჩვენებები და სხვა სახის შეხვედრები საჭიროა როგორც მშობლებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის. ამ ღონისძიებებზე ისინი უკეთ ეცნობიან ერთმანეთს და საჭირო მიმართულებით ვითარდებიან. სკოლამ საჭირო რესურსები უნდა გამოყოს მსგავსი ღონისძიებებისთვის. განსაკუთრებული მხარდაჭერა შეიძლება, დასჭირდეთ იმ ოჯახებს, რომელთა შვილებსაც რთული ქცევის, მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ, ასევე -სხვადასხვა უმცირესობის წარმომადგენლებს, რომელთაც ხშირად ენობრივი ბარიერიც უშლით ხელს. ამგვარი მხარდაჭერა ჩართულობის ეფექტურობას ზრდის და მოსწავლეებზეც დადებითად აისახება.

მშობლებისთვის:

- სემინარები და ტრენინგები შეიძლება არაერთ თემას შეეხოს, როგორებიცაა: პოზიტიური მშობლობა, საკომუნიკაციო უნარების განვითარება, ბავშვთა განვითარების თავისებურებები, ბულინგი, ძალადობა, კიბერუსაფრთხოება, შეფასება და მოსწავლეთა დახმარების ფორმები და როლი.

მაგალითი: მოაწყოთ სემინარების სერია „მშობლების უნივერსიტეტი“, რომელიც სესიებს სთავაზობს სხვადასხვა თემაზე, როგორიცაა: „მათემატიკის სწავლების მხარდაჭერა სახლში“, „ეფექტური კომუნიკაციის სტრატეგიები“ და საჭიროებიდან გამომდინარე სხვა თემები.

- დახმარება ციფრული კომპეტენციების განვითარებაში, რადგან მიწოდებული საინფორმაციო გზავნილები ხშირად დანიშნულებას ვერ აღწევს, რადგან მშობლებს პლატფორმების გამოყენების უნარი არ აქვთ. მაგალითად, სკოლის ელექტრონული ჟურნალის გამოყენება მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

მასწავლებლებისთვის:

- მასწავლებლებს სჭირდებათ პროფესიული განვითარება კულტურული მრავალფეროვნების მიმართ ცნობიერების ასამაღლებლად, კომუნიკაციის უნარების განსავითარებლად, ზრდასრულთა განათლების პრინციპების ცოდნისთვის, ასევე, სტრატეგიების შესამუშავებლად საკლასო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

- **სტერეოტიპებთან ბრძოლა** – ჩვენ ყველას გვაქვს არაცნობიერი მიკერძოებები, რამაც შეიძლება, გაცნობიერების გარეშე მიგვიყვანოს ადამიანებთან განსხვავებულად მოქცევამდე; „სწრაფი გადაწყვეტილებები“ შეიძლება, ეფუძნებოდეს ჩვენს წარსულ გამოცდილებას – რაც გვითხრეს, ან რაც მედიაში ვნახეთ.

  სტერეოტიპები შეიძლება, ეფუძნებოდეს, ასევე, გენდერს, რასას ან ეთნიკურობას, რელიგიას, გარეგნობას, ვარცხნილობას, აქცენტს, თუ სექსუალურ ორიენტაციას, რის შესახებაც ჩვენმა არაცნობიერმა მიკერძოებულობამ შეიძლება, მყისიერი განაჩენი გამოიტანოს. ნებისმიერი პიროვნული არაცნობიერი მიკერძოების გაგება და აღიარება პრაქტიკოსებს დაეხმარება, ურთიერთობები შეცვალონ მოსწავლეებთან და მათ ოჯახებთან, რომლებიც შესაძლოა, ადრე გარიყულები იყვნენ.

ჩართულობის აქტივობები

დაგეგმვისას გასათვალისწინებელია სხვადასხვა დონის ჩართულობის აქტივობები, რომლებიც სხვადასხვა ინტერესისა და მოცალეობის მშობლებს მოიცავს. ეს აქტივობები ინკლუზიური, კულტურულად მგრძნობიარე და სასკოლო საზოგადოების გაძლიერებისთვის უნდა იყოს გამიზნული.

მშობელთა ჩართულობის გაზრდა სწავლა-სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად და პოზიტიური გარემოს შესაქმნელად დასაგეგმია, თუ სკოლა მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად იწვევს მშობლებს, თუმცა, მათგან გამოხმაურება დაბალია. ეს ნიშნავს, რომ მშობლებს იმედი არ აქვთ, მათი მოსაზრება, შეთავაზება მართებულად იქნება აღქმული და მას რეაგირება მოჰყვება. ხოლო თუკი ეცოდინებათ, რომ მათი მისვლითა და მოსაზრების გამოთქმით რეალური ცვლილებების მოხდენას შეძლებენ, ასეთ შემთხვევაში შეხვედრებში მონაწილეობის მაჩვენებელი გაიზრდება.

ჩართულობის აქტივობებს განსხვავებული მიზანი შეიძლება, ჰქონდეს. მათგან მთავარია, მშობლებმა იგრძნონ, რომ მასწავლებლები მათი თანამოაზრეები არიან შვილის სრული პოტენციალის მიღწევის გზაზე. ჩართულობით სარგებელს იღებენ მოსწავლეები, რადგან მშობლები სკოლას ღონისძიებების ორგანიზებაში ეხმარებიან და თავიანთი გამოცდილებისა და სურვილის შესაბამისად მონაწილეობენ. ამით იზოგება რესურსები, ხოლო მშობლების როლი იზრდება. ამავდროულად, სარგებელი შეიძლება, ნახონ მშობლებმაც, რაც საინტერესო ღონისძიებებში მონაწილობას გულისხმობს, ასევე ასწავლის მათ, თუ როგორ გახდნენ უკეთესი მშობლები, როგორ გაიარონ მოსწავლის გარდატეხის ასაკი და როგორ შეუწყონ ხელი შვილების მრავალმხრივ განვითარებას.

მაგალითები:

- **ოჯახური საღამოები** შეიძლება იყოს მხიარული და შემეცნებითი ღონისძიებები, რომელშიც ოჯახები მეცნიერების, ლიტერატურის ან ხელოვნების აქტივობებში მონაწილეობენ.

- **მოხალისეობის შესაძლებლობები სკოლებში მრავალფეროვანია,** წაახალისეთ მშობლები, მოხალისეებად ჩაერთნონ სასკოლო ღონისძიებებში, რასაც მათი აღიარება უნდა მოჰყვეს.
- **კულტურული დღესასწაულების** მასპინძლობის გაწევა ხშირია ხოლმე. ეს ღონისძიებები სკოლაში სხვადასხვა კულტურის ინკლუზიურობასა და პატივისცემას აღნიშნავს.

მშობელი შეიძლება იყოს მოწვეული სპიკერი და პროფესიიდან გამომდინარე, შეხვედრებს ატარებდეს მოსწავლეებთან, ასევე, შეიძლება, კლასში, რესურსოთახში, ბიბლიოთეკაში მორიგეობით სარგებელი მოუტანოს სკოლას. მათი ჩართვა საბჭოებში და მშობელთა კომიტეტებში ერთგვარად სკოლის სურვილის აღიარებაა მათი მონაწილეობისთვის; ასევე, შეიძლება, გახდნენ სკოლისშემდგომი გასართობი, საგანმანათლებლო ღონისძიებების ინიციატორები ან განმახორციელებლები.

თანამშრომლობა და პარტნიორობა

შექმენით პარტნიორობისთვის ხელსაყრელი პირობები ადგილობრივ ორგანიზაციებთან, ბიზნესებთან და საზოგადოებრივ ჯგუფებთან. ეს საშუალებას მოგცემთ, მხარი დაუჭიროთ მშობელთა ჩართულობის ინიციატივებს. ეს თანამშრომლობა სკოლისთვის დამატებითი რესურსების, ექსპერტიზისა და შესაძლებლობების მოზიდვას უზრუნველყოფს.

მაგალითები:

ადგილობრივ ბიბლიოთეკასთან პარტნიორობა ხელსაყრელია, რადგან მას აქვს მდიდარი წიგნადი ფონდი, რომელიც ახალი გამოცემებით ივსება. ოჯახებს კი საშუალება ეძლევათ, ჩაერთონ წიგნიერების პროგრამებში.

ჯანმრთელობის დაცვის სამედიცინო ორგანიზაციებსა და ლაბორატორიებს, თანამშრომლობის ფარგლებში, შეუძლიათ, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისთვის ოჯახებს შესთავაზონ სემინა-

რები, ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები ფიზიკურ უსაფრთხოებაზე, ვაქცინაციის მნიშვნელობაზე, ჰიგიენისა და თავის მოვლის წესებზე, სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე.

მუზეუმებთან და დაცულ ტერიტორიებთან თანამშრომლობამ, კონკრეტული საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების გარდა, შესაძლოა, ოჯახებს შეღავათიან პირობებზე წვდომის საშუალებაც მისცეს.

შეფასება და გაუმჯობესება

კომუნიკაციის გეგმის უწყვეტი შეფასება უზრუნველყოფს, რომ ის დარჩეს ეფექტური და მუდმივად ექვემდებარებოდეს გაუმჯობესებას.

ამისათვის, რეგულარულად შეაფასეთ მშობელთა ჩართულობის სტრატეგიების ეფექტურობა და შეიტანეთ საჭირო ცვლილებები. ეს შეიძლება, გაკეთდეს გამოკითხვების, უკუკავშირის სესიებისა და მონაცემთა ანალიზის მეშვეობით. ეს საშუალებას აძლევს სკოლებს, გაიმეორონ პრაქტიკა, რომელმაც იმუშავა და გააუმჯობესონ ის, რამაც არ იმუშავა; ასევე გაეცნონ სხვა სკოლების გამოცდილებას და მათი პრაქტიკა თავიანთი სკოლის სპეციფიკას მოარგონ.

სტრატეგიული პარტნიორობის მაგალითი: ორმაგი შესაძლებლობების განვითარების ჩარჩო ოჯახი-სკოლას შორის პარტნიორობისთვის[3]

შესავალი

შეერთებული შტატების სკოლებისა და რაიონებისთვის ოჯახის ჩართულობა სწრაფად გადადის დაბალი პრიორიტეტული რეკომენდაციიდან მაღალზე. ოჯახი-სკოლას შორის პარტნიორობის ორმაგი შესაძლებლობების განვითარების ჩარჩო (Dual Capacity-Building Framework, DCBF) აშშ-ს განათლების დეპარტამენტისთვის დოქტორმა კარენ მაპმა შეიმუშავა. ის ჰარვარდის განათლების სამაგისტრო სკოლის ლექტორია და გუნდთან ერთად გამოიკვლია, თუ როგორ უნდა ტრანსფორმირდეს სკოლებისა და ოჯახების თანამშრომლობა. აღნიშნული მოდელი კვლევაზე დაფუძნებული ძლიერი ინსტრუმენტია წარმატებული პარტნიორობისთვის ოჯახებსა და სკოლებს შორის. მსგავსი პარტნიორობისთვის საჭიროა, სკოლამ შესაძლებლობები განუვითაროს როგორც მასწავლებლებს, ისე ოჯახებს, რათა შეიქმნას თანამშრომლობითი გარემო, რომელიც მოსწავლეთა განვითარებას უჭერს მხარს. ეს ჩარჩო სცილდება ტრადიციულ მიდგომებს, რომლებიც ოჯახებს სკოლასთან ურთიერთობას ასწავლის.

კვლევის პროცესში ადრე განხორციელებული კვლევები გააანალიზეს და საუკეთესო პრაქტიკები შეისწავლეს აშშ-ის სკოლებიდან. მათი მიზანი იყო გამოეყენებინათ ის, რაც ნამდვილად მუშაობდა ეფექტური ოჯახი-სკოლის პარტნიორობის შექმნაში და ის საერთო გამოწვევები გაეგოთ, რომლებიც ხელს უშლიდნენ ამ ურთიერთობებს. კვლევის ძლიერი მხარე იყო თანამშრომლობა პრაქტიკოსებთან. ფოკუს ჯგუფებისა და ინტერვიუების მეშვეობით, მკვლევრებმა მასწავლებლების გამოცდილებების, სირთულეებისა თუ შეხედულებების შესახებ მოისმინეს. მოდელის საბოლოო ვერსიის დასრულებამდე კი ის რეალურ პირობებში გამოსცადეს, რათა ჩარჩოს გამოყენება ყოველდღიურ საქმიანობაში შეემოწმებინათ. მასწავლებლებისა და ოჯახების უკუკავშირი, კრიტიკული ინფორმაცია მათ

3 https://www2.ed.gov/documents/family-community/partners-education.pdf

ჩარჩოს დახვეწასა და გაუმჯობესებაში დაეხმარა.

მხოლოდ პილოტირების შედეგების გაანალიზებისა და მოდელში ასახვის შემდეგ გამოქვეყნდა ორმაგი შესაძლებლობების განვითარების ჩარჩო და საგანმანათლებლო კონფერენციებისა და აკადემიური პუბლიკაციების მეშვეობით გავრცელდა. ციფრულმა პლატფორმებმაც გაზარდეს სკოლებისათვის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა. ამას დაერთო პროფესიული განვითარების ვორქშოფების სერიაც, რამაც ფართოდ გაავრცელა მოდელი. მისი პირველი ვერსია 2013 წელს გახდა სკოლებისთვის ხელმისაწვდომი, ხოლო მეორე ვერსია – უკვე 2019 წელს.

ჩარჩოს ძირითადი კომპონენტები

ორმაგი შესაძლებლობების განვითარების ჩარჩო ხაზს უსვამს რამდენიმე მნიშვნელოვან კომპონენტს, რომლებიც აუცილებელია ოჯახსა და სკოლას შორის ძლიერი პარტნიორობისთვის, ესენია:

გამოწვევა

იმის გაგებაში გვეხმარება, თუ რატომ უჭირთ სკოლებსა და ოჯახებს ნდობით გამსჭვალული ეფექტური პარტნიორობა.

ეს კი არის ბარიერების გაცნობიერება, გამოწვევების იდენტიფიცირება, რომელთა შორისაა ისტორიული მეხსიერება. როლები დიდი ხანი იყო განსაზღვრული, ტრადიციულად სკოლა მოწოდებულია, მოსწავლეებს ერთგვაროვნად მკაცრად მოექცეს და განსაჯოს, მშობელი ვალდებულია, შეასრულოს სკოლის მოთხოვნები, მოსწავლე კი ვალდებულია, იყოს მორჩილი. წარსულიდან გამომდინარე, ძნელია თანამშრომლობის კარგი მაგალითების გახსენება, რაც უნდობლობას აგრძელებს. მშობლის ყოველი ვიზიტი სკოლაში კონფლიქტით სრულდებოდა სახლში, ამდენად, დღესაც მინიმალური ურთიერთობებით შემოიფარგლებიან ხოლმე.

საკვანძო პროგრამები

ოჯახისა და სკოლის პარტნიორობის ჩარჩოს მეორე ვერსია იმ აუცილებელ პირობებს აღწერს, რომელსაც ძველ ვერსიაში „შესაძლებლობები“ ერქვა. თუმცა, ეს მხოლოდ შესაძლებლობები არ არის, ეს წინაპირობებია პროცესების გასამართად. აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ურთიერთობებში ნდობა პირველ პოზიციაზე ავიდა, რადგან დანარჩენი ყველაფერი უმნიშვნელოა, თუკი ოჯახი და სკოლა ერთმანეთს არ ენდობიან; ასევე, მეორე ვერსიაში კულტურული პასუხისმგებლობა და პატივისცემა დაემატა პირობების ჩამონათვალს.

პროცესის პროგრამები

პროცესის ეფექტურად წარსამართად შემდეგი ექვსი მახასიათებელი გამოიყოფა:

1. **პროცესები უნდა ეფუძნებოდეს ურთიერთნდობას** – ბევრ სკოლაში პროგრამები იშვიათად უზრუნველყოფენ საკმარისი დროის გამოყოფას ოჯახისათვის, ან ხელსაყრელი გარემოს შექმნას, რათა მასწავლებლებსა და მშობლებს შორის ნდობაზე და პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობები ჩამოყალიბდეს. ასეთი ურთიერთობების არარსებობის შემთხვევაში კი სკოლებში უფრო ხშირად იღებენ არასწორ, არაპრაქტიკულ ან ზოგჯერ მავნე გადაწყვეტილებებს მოსწავლეთა შესახებ.

2. პროცესები მიმართული უნდა იყოს მოსწავლეთა სწავლისა და განვითარებისკენ – კვლევები აჩვენებს, რომ ოჯახებიც და სკოლებიც უფრო დაინტერესებულნი და მოტივირებულნი არიან პროცესებში ჩართვისთვის, როცა ღონისძიებები და პროგრამები ბავშვების კოგნიტური, ემოციური, ფიზიკური, სოციალური განვითარების ხელშეწყობაზე და სკოლის ზოგად გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. სხვა შემთხვევაში, თუკი პროცესები მოსწავლეზე ორიენტირებული არ არის, მშობელთა ჩართულობა ფორმალურ ხასიათს იძენს.

3. პროცესები პოზიტივს უნდა ეფუძნებოდეს – სისუსტეებზე, ნაკლოვანებებზე, ნეგატივზე აქცენტების დასმა უარყოფითად აისახება ოჯახების ჩართულობაზე და უფრო წარსულის მიდგომებს წააგავს მაშინ, როცა პოზიტივზე დაფუძნებული მიდგომა აღიარებს და აფასებს ბავშვისა და ოჯახის ძლიერ მხარეებს. ამგვარი მიდგომებით სკოლა ადვილად იზიდავს მოსწავლეთა მშობლებს, ორმხრივად სასარგებლო პროცესებში ჩაერთნონ.

4. პროცესები უნდა იყოს კულტურულად მგრძნობიარე და პატივისცემას ეფუძნებოდეს – კულტურულად მგრძნობიარე ჩართულობის სტრატეგიების შემთხვევაში სკოლა აცნობიერებს და აფასებს კულტურულ მრავალფეროვნებასა და განსხვავებებს. არსებული სხვაობა კი თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, რადგან სულ უფრო ცოტაა ეთნიკურად, რელიგიურად, ენობრივად მონოკულტურული გარემო. სკოლებმა, შეიძლება, მოაწყონ კულტურული დღესასწაულები, სადაც ოჯახები თავიანთ ტრადიციებს, კულტურასა და ისტორიებს გააზიარებენ. ეს არა მხოლოდ მასწავლებლებს ეხმარება მოსწავლეთა მრავალფეროვნების გაცნობიერებაში, არამედ აღიარებს და აფასებს ყველა ოჯახის კულტურულ იდენტობას. მრავალფეროვნების აღიარების და მასში ტოლერანტულად ცხოვრების პირველ მაგალითებს სკოლა უნდა იძლეოდეს.

5. პროცესები უნდა იყოს თანამშრომლობითი – ძალისხმევა უნდა მიემართოს სკოლასა და ოჯახებს შორის თანამშრომლობითი პროექტებსკენ. საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო აქტივობების დაგეგმვისას მასწავლებლები პერიოდულად მშობელთა ჩართულობაზეც უნდა აკეთებდნენ აქცენტს. მაგალითად, მოსწავლეებს ისეთი პროექტები ჰქონდეთ შესასრულებელი, რომელთა განხორციელებაც გარკვეულ ეტაპზე გართულდება მშობლის გარეშე.

6. პროცესები უნდა იყოს ინტერაქტიული – ცალმხრივი და დახურული კომუნიკაცია შედეგს ვერ მოიტანს. ოჯახებს სასკოლო სიახლეებზე წვდომა კი ექნებათ, მაგრამ მხოლოდ სასკოლო ბიულეტენის დაგზავნით მათი ჩართვა ვერ მოხერხდება. ამიტომ ბიულეტენების გარდა, შეიძლება, არსებობდეს ფორუმები, სოციალურ ქსელებში ჯგუფები, სადაც მეტი ინტერაქცია იქნება შესაძლებელი.

ორგანიზაციული პირობები

ეფექტურ ორგანიზაციულ პირობებს სჭირდება ეფექტური ლიდერობა, რომლითაც ხელს უწყობენ ოჯახის აქტიურ ჩართულობას და რესურსებით უზრუნველყოფენ შესაძლებლობების განვითარებას. იკვეთება შემდეგი სამი მახასიათებელი:

1. ოჯახებსა და სკოლებს შორის პარტნიორობა უნდა იყოს სისტემური – ოჯახების ჩართულობა უნდა დაისახოს როგორც გრძელვადიანი სტრატეგიული მიზანი სკოლებისთვის. სტრატეგიული დოკუმენტები პარტნიორობის პერსპექტივით უნდა გადამოწდეს.

2. ოჯახებსა და სკოლებს შორის პარტნიორობა უნდა იყოს ჩაშენებული – ოჯახის ჩართულობა უნდა ინტეგრირდეს სკოლის ყოველდღიურ ოპერაციებსა და აქტივობებში. სტრატეგიული გეგმის კალენდარზე არსად არ უნდა იყოს გამოტოვებული მშობელი.

3. ოჯახებსა და სკოლებს შორის პარტნიორობა უნდა იყოს მდგრადი – ოჯახის ჩართულობის პროგრამები უნდა გაანალიზდეს; მეორდებოდეს, რაც კარგად მუშაობს; უმჯობესდებოდეს, რაც ვერ მუშაობს. ეს პროცესები უნდა დაფინანსდეს, რათა ხანგრძლივი და ეფექტური მუშაობა შენარჩუნდეს.

პოლიტიკისა და პროგრამის მიზნები

ორგანიზაციული შესაძლებლობების ჩარჩოს მეორე ვერსიაში განმარტებულია ოთხი მიზანი, რომლებიც სკოლის შესაძლებლობებს აძლიერებს. ქვემოთ მოცემული მიზნები მხოლოდ მაშინ განხორციელდება, თუკი საკვანძო პირობები დაკმაყოფილდება. ასევე, პოლიტიკის დასანერგად პრაქტიკულ პროგრამად მიიჩნევენ 4C-ს (Creativity, Critical thinking, Collabration, Communication – შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარები). ფაქტობრივად, 4C 21-ე საუკუნის უნარების ყველაზე მოქნილი და მოკლე ფორმულაა, ყველა კურიკულუმში ჩაშენებული, რაც მიუთითებს, რომ პარტნიორობა სწავლის მიზნებსაც უკავშირდება.

დამატებითი დეტალები შეგიძლიათ, იხილოთ dualcapacity.org-ზე.

1. შესაძლებლობები (ადამიანური კაპიტალი – ცოდნა და უნარები) – სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია, მასწავლებლები და ტექნიკური პერსონალი უნდა იცნობდნენ თავიანთ მოსწავლეებს და მათ ოჯახებს, მათ საჭიროებებსა და სირთულეებს. შესაბამისად, სკოლა უნდა ფლობდეს სტრატეგიებსა და ტექნიკებს ოჯახებთან საკომუნიკაციოდ, ხოლო ოჯახებს უნდა ჰქონდეთ სკოლის ფუნქციონირებისა და თავიანთი შვილების განათლების ხელშეწყობის უნარები.

2. კავშირები (სოციალური კაპიტალი – ურთიერთობები და ქსელები) – ოჯახებსა და სასკოლო საზოგადოებას ნდობასა და პატივისცემაზე აგებული ძლიერი ქსელების მეშვეობით სჭირდებათ წვდომა სოციალურ კაპიტალზე. ამ ქსელებში შედის ოჯახისა და მასწავლებელის ურთიერთობები და კავშირები სათემო ორგანიზაციებთან.

3. თავდაჯერებულობა და თვითეფექტურობა – ნდობის ნაკლებობა ხშირად უშლის ხელს წარმატებულ პარტნიორობას. მასწავლებლებმა და ოჯახის წევრებმა უნდა განავითარონ თავდაჯერებულობა და თვითეფექტურობა, რათა ურთიერთობების დამყარება და ეფექტურად მუშაობა შეძლონ. ეს კი შესაძლებელი ხდება პატარ-პატარა წარმატებული პროექტებით, რაც მეტის მოსინჯვის სურვილს აჩენს.

4. ვარაუდები, რწმენა-წარმოდგენები და მსოფლმხედველობა – შესაძლებლობების, კავშირების და ნდობის განვითარება სწორი ვარაუდების, რწმენა-წარმოდგენებისა და პერსპექტივების არსებობას ან გარდაქმნას მოითხოვს. მასწავლებლებმა და მშობლებმა მავნე სტერეოტიპები და რწმენები პოზიტიური აზროვნებით უნდა შეცვალონ.

შესაძლებლობების შედეგები

შესაძლებლობების გაძლიერებას – როგორც ოჯახების, ისე მასწავლებლებისთვის, რომლებიც ურთიერთხელშემწყობად მუშაობენ – მოსწავლეებისა და მთლიანად სკოლის გაძლიერებისკენ მივყავართ.

ორმაგი შესაძლებლობების ჩარჩო სასურველ შედეგებს აღწერს, რომლებიც ინდივიდუალური და კოლექტიური შესაძლებლობების განვითარებას მოიცავს, რაც ხელს უწყობს ეფექტურ პარტნიორობასა და მოსწავლეების განვითარებას. ჩარჩო განსაზღვრავს შემდეგ შედეგებს:

პედაგოგები შეძლებენ:

- ოჯახის ჩართულობა სწავლასა და განვითარებასთან დააკავშირონ;
- ჩართონ ოჯახები, როგორც თანაშემქმნელები;
- პატივი სცენ ოჯახის გამოცდილებას;
- პატივი სცენ კულტურულ მრავალფეროვნებას.

ოჯახები შეძლებენ, მონაწილეობა მიიღონ სასკოლო პროცესებში, როგორც:

- თანაშემქმნელებმა
- მხარდამჭერებმა
- წამახალისებლებმა
- მეთვალყურეებმა
- ადვოკატებმა
- როლმოდელებმა

ორმაგი შესაძლებლობების განვითარების ჩარჩო არა მხოლოდ თეორიული მოდელი, არამედ პრაქტიკული გზამკვლევია ძლიერი და მდგრადი პარტნიორობის შესაქმნელად. ის ხელს უწყობს მოსწავლეთა წარმატების მიმართ მაღალ მოლოდინებსა და რწმენას, რომ ყველა ოჯახს შეუძლია, ფასეული პარტნიორი იყოს თავიანთი შვილების განვითარებასა და განათლებაში.

დოქტორ კარენ მაპისა და მისი გუნდის მუშაობის შედეგად, ეს ჩარჩო ფასეული ინსტრუმენტი გახდა როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე ოჯახებისთვის, ხელს უწყობს თანამშრომლობას და მხარს უჭერს ყველა მოსწავლის აკადემიურ წარმატებას.

თავი IV. სამეურვეო საბჭო და მშობლების მონაწილეობა სკოლის მართვაში

სამეურვეო საბჭოს ფუნქციები და პრინციპები

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, სკოლის ცხოვრებაში მშობლების როლი მხოლოდ საკუთარი შვილების აკადემიური წინსვლის მხარდაჭერით არ შემოიფარგლება. მშობლები სკოლის ყოველდღიური საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ და მათი აქტიური ჩართულობით, მასწავლებლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით, შესაძლებელია ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს ყველა ბავშვის განვითარებასა და კეთილდღეობას. მშობლების მონაწილეობა უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობას და ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარეობს.

სამეურვეო საბჭოს წევრობა მშობელს საშუალებას აძლევს, უშუალო მონაწილეობა მიიღოს სკოლის მართვაში – ამ ურთიერთობას კანონი არეგულირებს. ქვემოთ განვიხილავთ საქართველოს ზოგა-

დი განათლების შესახებ კანონით გათვალისწინებულ საკითხებს სამეურვეო საბჭოს შესახებ.

სამეურვეო საბჭო სკოლის სტრუქტურის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია. მის წევრებს ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა ევალებათ. საბჭოში სამი წლის ვადით აირჩევიან მშობლები და პედაგოგიური საბჭოს წევრები, რომელთა ჯამური რაოდენობაც 6-დან 12-მდეა. განსაკუთრებულ შემთხვევებში, მცირეკონტინგენტიან სკოლებში შესაძლებელია, წევრთა ნაკლები რაოდენობაც იყოს. სამეურვეო საბჭოში, ასევე, შედის ერთი მოსწავლეც. გარდა ამისა, ადგილობრივ თვითმმართველობასა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაც აქვთ უფლება, თითო წარმომადგენელი დანიშნონ. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა წევრს თანაბარი, 1 ხმა აქვს. სამეურვეო საბჭოს თითოეული წევრი შესაძლებელია, ზედიზედ მხოლოდ ორჯერ აირჩეს. მშობლებისგან არჩეული წევრები თანაბრად უნდა წარმოადგენდნენ სკოლაში არსებულ თითოეულ საფეხურს.

სამეურვეო საბჭო წევრი მშობლებისგან ან მასწავლებლებისგან ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც წარმართავს სხდომებს და წარმოადგენს საბჭოს დირექტორთან მიმართებაში. მოსწავლეებს არ აქვთ უფლება, გახდნენ თავმჯდომარეები. რომელიმე საკითხის განხილვისას ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, შედეგს წყვეტს თავმჯდომარის ხმა.

სამეურვეო საბჭო წელიწადში არანაკლებ სამჯერ უნდა შეიკრიბოს.

სამეურვეო საბჭოს მთავარი ფუნქციებია:

- სკოლის დირექტორის არჩევა;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში სკოლის დირექტორის გათავისუფლება;
- სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება;
- დირექტორის მიერ მომზადებული წლიური ანგარიშის დამტკიცება და გასაჯაროება;
- სკოლის ფინანსებისა და ქონების განკარგვის კონტროლი;

- სკოლის შინაგანაწესის შედგენა;
- საჩივრების განხილვა და შესაბამისი ზომების მიღება;
- დისციპლინური კომიტეტის შექმნა;
- პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმისა და სკოლაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების შესახებ თანხმობა;
- მას, ასევე, შეუძლია დირექტორს მოსთხოვოს ხელშეკრულება შეუწყვიტოს მასწავლებელს, რომელიც არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.

გადაწყვეტილებების უმეტესობა ხმათა უმრავლესობის მიღებას მოითხოვს, თუმცა, სკოლის დირექტორისთვის ხელშეკრულების შეწყვეტისას, ხმების არანაკლებ ორი მესამედია საჭირო.

ზემოთ აღწერილი ოფიციალური უფლებებისა და მოვალეობების გარდა, მშობლის მონაწილეობა სამეურვეო საბჭოში აუმჯობესებს ურთიერთობას და კომუნიკაციას მასწავლებლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან. საბჭოს კრებებში მონაწილეობით მშობლები უფრო ახლოს იცნობენ სკოლის საჭიროებებსა და გამოწვევებს; ასევე, უკეთ აფასებენ, თუ რა სახის მხარდაჭერას საჭიროებს სასწავლო პროცესი. მეორე მხრივ კი, სამეურვეო საბჭოს წევრ მშობლებს მუდმივი მჭიდრო კომუნიკაცია აქვთ შესაბამისი საფეხურის მშობლებთან, რაც სკოლის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას მათი ინტერესების გათვალისწინებას უზრუნველყოფს. ეს ეხმარება სკოლას და მასწავლებლებს, უფრო ეფექტურად და მიზანმიმართულად განახორციელონ თავიანთი საქმიანობა, რაც, საბოლოო ჯამში, დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე და საერთო კეთილდღეობაზე.

დამატებითი რესურსი სამეურვეო საბჭოს არჩევნების ღიად და გამჭვირვალედ ჩატარების შესახებ იხილეთ V თავში.

სამეურვეო საბჭოს არჩევნები და მშობლების ეფექტური მონაწილეობა

სამეურვეო საბჭოს წევრობა არჩევნების საფუძველზე ხდება. მშობლებისა და მასწავლებლებისთვის სამეურვეო საბჭოს წევრობისთვის საჭიროა არჩევნებში კანდიდატურის წაყენება და მონაწილეობის მიღება. კანონის მიხედვით, არჩევნები ტარდება თანასწორობის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, გამჭვირვალობისა და საფეხურების მიხედვით მოსწავლეთა მშობლების თანაბარი წარმომადგენლობის პრინციპების დაცვით. მშობელთა და მასწავლებელთა წარმომადგენლები თანაბარი რაოდენობით აირჩევიან.

სამეურვეო საბჭოს წევრობა არ შეუძლია:

- სკოლის დირექციის წევრს;
- მოსწავლის მშობელს, რომელსაც ამავე სკოლასთან შრომითი ურთიერთობა აქვს;
- დისციპლინური კომიტეტისა და სააპელაციო კომიტეტის წევრების ახლო ნათესავს (გამონაკლისის დაშვება შეუძლია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მცირეკონტინგენტიან სკოლებში);
- ნასამართლეობის წარსულის მქონე ადამიანს;
- მასწავლებლობის მაძიებელს.
- საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს, დისციპლინური კომიტეტისა და სააპელაციო კომიტეტის წევრები არ შეიძლება იყვნენ ერთმანეთის ახლო ნათესავები. გამონაკლისის დაშვება შეიძლება სამინისტროს თანხმობით, მცირეკონტინგენტიან საჯარო სკოლებში.

არჩევნების შედეგები ძალაშია სამინისტროს მიერ რეგისტრაციის შემდეგ.

სამეურვეო საბჭოს წევრი ზედიზედ მხოლოდ ორჯერ შეიძლება, აირჩეს.

არჩევნებამდე კი საჭიროა საარჩევნო კამპანია. სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატმა მშობელმა თავისი მოტივაცია და გეგმები სხვა მშობლებს სხვადასხვანაირად შეიძლება, გააცნოს. ეს შეიძლება იყოს მოკლე ინფორმატიული წერილი, რომელიც ელექტრონული ფოსტით გავრცელდება, ან სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოიკვრება. კანდიდატ მშობელს შეუძლია, ამომრჩეველი მშობლებისთვის შეხვედრა ან პრეზენტაცია გამართოს, რომელზეც დეტალურად ისაუბრებს თავისი ხედვების შესახებ და უპასუხებს კითხვებს. ასევე, შეიძლება სოციალური მედიისა და მშობლების ჩატების გამოყენება, ან, უბრალოდ, პირადი საუბრები. მსგავსი აქტივობები უზრუნველყოფს დემოკრატიულ და ინფორმირებულ არჩევნებს, სადაც მშობლები საბჭოს წევრებს იმის მიხედვით ირჩევენ, ვინც რეალურად ზრუნავს სკოლის განვითარებაზე და კონკრეტული იდეები და გეგმები აქვს.

იმისათვის, რომ სამეურვეო საბჭოს საქმიანობა მხოლოდ ფორმალური არ იყოს და რეალურად მოახდინოს ცვლილებები სკოლაში, მნიშვნელოვანია რამდენიმე ძირითადი პრინციპის დაცვა:

- **აქტიური ჩართულობა:** სამეურვეო საბჭოს წევრებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა შეხვედრაში და აქტიურად ჩაერთონ განხილვებში. მათი წვლილი და იდეები მნიშვნელოვანია სკოლის განვითარებისთვის.
- **კომუნიკაცია:** კარგ კომუნიკაციას გადამწყვეტი როლი აქვს. წევრებმა უნდა შეძლონ მკაფიოდ და ეფექტურად გააცნონ თავიანთი მოსაზრებები და შემოიტანონ საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც მათთვის, ასევე სხვა მშობლებისა და მასწავლებლებისთვის.
- **პასუხისმგებლობა:** სამეურვეო საბჭოს წევრები პასუხიმგებელნი არიან არა მხოლოდ საკუთარი შვილების, არამედ ყველა მოსწავლის კეთილდღეობისთვის. მათი გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს სკოლის ყველა მოსწავლის ინტერესს.
- **ინფორმირებულობა:** სამეურვეო საბჭოს წევრები უნდა ეცადონ, მუდმივად იყვნენ ინფორმირებულნი სკოლის აქტივობების, საქართველოს განათლების სისტემის გარშემო განხორციელებული ცვლილებებისა და მსოფლიოს მასშტაბით განათლების ტრენდების შესახებ. ასევე, მათი მოვალეობაა სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით სხვა მშობლების ინფორმირება.

საერთაშორისო კვლევები აჩვენებს, რომ სკოლები, სადაც მშობლები აქტიურად მონაწილეობენ სამეურვეო საბჭოებში, უფრო მაღალი ხარისხის განათლებას სთავაზობენ. ეს სკოლები გამოირჩევიან უკეთესი აკადემიური შედეგებით და უფრო პოზიტიური სასწავლო გარემოთი. მშობლების მონაწილეობა უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებასაც. მშობლები აკონტროლებენ სკოლის ბიუჯეტს, ნორმებსა და წესებს, რაც სკოლის ადმინისტრაციას აძლევს სტიმულს, პასუხისმგებლიანი და გამჭვირვალე იყოს.

იმისათვის, რომ სამეურვეო საბჭომ ეფექტურად იმუშაოს, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

1. მრავალფეროვანი შემადგენლობა: სასურველია, სამეურვეო საბჭოს წევრი მშობლები ეკუთვნოდნენ მრავალფეროვან ჯგუფს, იქნება ეს სხვადასხვა სოციალური ფენა, ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილება, ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მშობლების წარმომადგენლობა. ეს უზრუნველყოფს საბჭოს სხდომებისას სხვადასხვა თვალსაზრისის გათვალისწინებას.

2. კარგი მმართველობის სტრუქტურა: საბჭოს უნდა ჰყავდეს ძლიერი და კომპეტენტური თავმჯდომარე, რომელიც კარგად წარმართავს სხდომებს და უზრუნველყოფს პროდუქტიულ მუშაობას. საბჭოს წევრებმა უნდა იცოდნენ თავიანთი როლები და პასუხისმგებლობები. სასურველია, თითოეულ წევრს განსაზღვრული ამოცანები ჰქონდეს.

3. გამჭვირვალობა: საბჭოს მუშაობა გამჭვირვალე უნდა იყოს. ყველა გადაწყვეტილება და სხდომის პროტოკოლი სხვა მშობლებისა და საზოგადოებისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

4. სტრატეგიული დაგეგმვა და შეფასება: საბჭომ უნდა განსაზღვროს სკოლის გრძელვადიანი მიზნები და სტრატეგიული გეგმები მათი მიღწევისთვის. საკუთარი აქტივობებისა და შედეგების პერიოდულად შეფასება კი მომავალი დაგეგმარების შესაძლებლობას იძლევა.

რაც მთავარია, სკოლის განვითარებისა და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული გარემოს შექმნისთვის თითოეული ადამიანის სურვილი და აქტიურობა აუცილებელი წინაპირობაა.

თავი V. ჟურნალის „მასწავლებელი“ სტატიები მშობელთა ჩართულობის შესახებ

სამეურვეო საბჭო – სასკოლო დემოკრატიის მთავარი ინსტრუმენტი

გამოქვეყნებულია ინტერნეტჟურნალში „მასწავლებელი“
https://mastsavlebeli.ge/?p=33453

საქართველოს კანონმდებლობით, სამეურვეო საბჭოს არჩევნები თანასწორობის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით უნდა ტარდებოდეს. სკოლის ავტონომიურობის შესანარჩუნებლად სასკოლო საზოგადოებამ სამეურვეო საბჭო ობიექტურად მოაზროვნე მასწავლებლებით, მოსწავლეებითა და მშობლებით უნდა დააკომპლექტოს, რათა შემდეგი 3 წლის განმავლობაში ამ ადამიანებმა მართონ სკოლა. კერძოდ: აირჩიონ დირექტორი, დაამტკიცონ ბიუჯეტი, შინაგანაწესი, დირექტორის მიერ მომზადებული წლიური ანგარიში, გამოხატონ თანხმობა სასწავლო გეგმისა და სასწავლო მასალის შესახებ, განიხილონ საჩივრები და მიიღონ შესაბამისი ზომები, დაგეგმონ და განახორციელონ კლასგარეშე აქტივობები, შეისწავლონ მშობელთა განწყობები და ა.შ.

თუმცა, სისტემა მხოლოდ საკანონმდებლო დონეზეა გამართული. რეალობაში კი ჩვენ, ძირითადად, ვხედავთ დემოტივირებულ სასკოლო საზოგადოებას, სადაც დირექცია უიშვიათესად ახერხებს: ა) მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს დროულად და ხარისხიანად მიაწოდოს ინფორმაცია, რამდენად მნიშვნელოვანია სკოლის ავტონომიურობისთვის ობიექტური სამეურვეო საბჭოს არსებობა; ბ) გაზარდოს სასკოლო საზოგადოების, მათ შორის მშობლების ცნობიერების დონე, მათი უფლება-მოვალეობების, მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ; გ) შექმნას თანასწორი, კონკურენტული გარემო და წაახალისოს სამეურვეო საბჭოში იმ მშობლების მონაწილეობა, რომლებიც არ არიან სკოლის მიმართ მაამებლური დამოკიდებულებით განმსჭვალულნი და შეუძლიათ

ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნება კრიტიკულ სიტუაციებშიც; დ) წაახალისოს ამომრჩეველი მშობლები და მასწავლებლები, რათა მათ ხმა მისცენ მათთვის სანდო პერსონას და იცოდნენ, რა მოლოდინი უნდა ჰქონდეთ მისგან.

იმისათვის, რომ სკოლის დირექციამ სამეურვეო საბჭოს არჩევნები დემოკრატიული პრინციპებით ჩაატაროს, გააზრებული უნდა ჰქონდეს, რა უშლის ხელს სამეურვეო საბჭოსთვის რეალური ძალაუფლების გადაცემას. პრობლემის იდენტიფიცირებისთვის შემდეგი სამი შეკითხვა დაგვეხმარება:

I – ნამდვილად გვინდა, რომ მშობელი ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუ მხოლოდ იმიტომ ვირჩევთ მას სამეურვეო საბჭოში, რომ კანონში გვიწერია? კანონი იმიტომ მივიღეთ, რომ ეს მოგვწონს, თუ იმიტომ, რომ ვიცით, ეს არის დემოკრატიის წესი.

II – გვაძლევს განათლების სისტემა იმის შესაძლებლობას, რომ სკოლა იყოს ავტონომიური და სამეურვეო საბჭომ მართოს?

III – შეგვიძლია სკოლაში დავნერგოთ ჭეშმარიტი დემოკრატიული კულტურა, სადაც მშობლები რეალურად იქნებიან ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცეში იმიტომ, რომ საქმე მათ შვილებს ეხება.

თუ დირექტორი ამ შეკითხვებზე პასუხისას ორჭოფობს, ეს შეიძლება, ნამდვილი მიზეზი იყოს იმისა, თუ რატომ ტარდება სამეურვეო საბჭოს არჩევნები „შეკოწიწებული დემოკრატიის“ სახით. თუ სკოლის ხელმძღვანელობა სამივე შეკითხვას უპასუხებს და დაადგენს, რომ მას ნამდვილად სურს და შეუძლია სამეურვეო საბჭოს გადასცეს კანონით კუთვნილი პასუხისმგებლობა, აქტიურად უნდა შეუდგეს საარჩევნო პროცესისთვის მზადებას და სასკოლო საზოგადოებაში საინფორმაციო კამპანიის წარმოებას.

- პირველ რიგში, საჭიროა, ავუხსნათ მშობლებს, რა არის სამეურვეო საბჭო და რა ფუნქციები აქვს მას. ეს აუცილებელი ნაბიჯია იმისათვის, რომ ადამიანებმა იცოდნენ, რას ელის სკო-

ლა და განათლების სისტემა მათგან. ამაში შემდეგი რესურსები დაგეხმარებათ: https://mshobeltaskola.ge/?p=1194; https://mshobeltaskola.ge/?p=1151

- მნიშვნელოვანია, ყველა მშობელს მივაწოდოთ ინფორმაცია, რა მოლოდინი უნდა ჰქონდეთ მათ სამეურვეო საბჭოსგან, რა შემთხვევაში შეუძლიათ, მიმართონ საბჭოს ან მის ცალკეულ წევრებს. თუ სკოლაში კარგი პრაქტიკა არსებობს, სასურველია, საბჭოს ყოფილმა წევრებმა გააკეთონ ანგარიში, რას საქმიანობდა საბჭო გასული სამი წლის განმავლობაში და ის სასკოლო საზოგადოებას წარუდგინონ. ერთი მხრივ, ისაუბრონ მიღწევებზე, მეორე მხრივ, კი დაასახელონ გამოწვევები, რომლებიც ჯერ კიდევ გადაულახავია;
- მნიშვნელოვანია, მშობლებს დროულად მივაწოდოთ ინფორმაცია სამეურვეო საბჭოს წევრის კანდიდატად რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურების შესახებ. ამისთვის სკოლის ციფრული გვერდები, სოციალურ ქსელში არსებული ღია და დახურული ჯგუფები გამოვიყენოთ; ჩავრთოთ კლასის დამრიგებლების რესურსიც, რათა ინფორმაცია თითოეული მოსწავლის მშობლამდე მივიდეს;
- მნიშვნელოვანია, დავეხმაროთ კანდიდატ მშობლებს საბჭოს ყოფილ წევრებთან დიალოგში, ამომრჩევლებთან შეხვედრის ორგანიზებაში, პროგრამების წარდგენაში, რათა კანდიდატებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, ერთი მხრივ, თავიანთი ხედვა გააცნონ პოტენციურ ამომრჩევლებს, მეორე მხრივ, კი სხვა მშობლების მოსაზრებები მოისმინონ;
- შესაძლებელია, არჩევნების ჩატარებამდე სკოლაში შედგეს პირისპირ ან Online დისკუსია, თუ რა უშლის ხელს სამეურვეო საბჭოს ფუნქციონირებას. დისკუსიაში მონაწილება მიიღონ როგორც მშობლებმა, ისე პედაგოგებმა და დირექციის წარმომადგენლებმა; წახალისდეს ყველა აქტორის მონაწილეობა და აზრის გამოთქმა, რათა დისკუსიის შემდეგ მათ შეიმუშაონ გეგმა, როგორ აღმოფხვრან გამოვლენილი პრობლემები;
- დაბოლოს, უშუალოდ არჩევნების დღეს, აუცილებელია, შევქმნათ თანასწორი გარემო სკოლაში, რათა ყოველ მსურველს შესაძლებლობა მიეცეს მშვიდ, უხერხულობისგან დაცლილ გარემოში, გააკეთოს არჩევანი.

რატომ უნდა მოვეკიდოთ მეტი პასუხისმგებლობით და გულისყურით, რატომ უნდა დავხარჯოთ ამდენი დრო და ენერგია სამეურვეო საბჭოს არჩევნებისთვის?

- დემოკრატიულად მიღებული გადაწყვეტილებები უფრო სამართლიანი და გონივრულია. მართვის ასეთი ფორმა ადამიანის უფლებების დაცვას ემსახურება და ერთი ლიდერის რეჟიმებისგან გვიცავს;
- სამეურვეო საბჭოს საშუალებით ჩვენ უზრუნველვყოფთ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის პროპორციულ, თანაზომიერ მონაწილეობას სკოლის მართვაში. ის განსხვავდება სკოლის ტრადიციული მართვის პრინციპისგან, სადაც მინისტრი, რესურცენტრის ხელძღვანელი თუ სკოლის დირექტორი ერთპიროვნულად იღებენ გადაწყვეტილებებს.

სამეურვეო საბჭო არის სამართლებრივი ბერკეტი, რომელიც მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს ნაწილობრივ მაინც გვაძლევს შესაძლებლობას, თავად გადავწყვიტოთ, როგორი სკოლა გვქონდეს.

მშობლებთან თანამშრომლობის სამოქმედო გეგმის შედგენა:

გამოქვეყნებულია ინტერნეტჟურნალში „მასწავლებელი“
https://mastsavlebeli.ge/?p=31952

საჭიროა სამოქმედო გეგმის გაწერა, რომლის ავტორობაც აქტიურმა მასწავლებლებმა, მშობლებმა და ადმინისტრაციის თანამშრომლებმა ერთობლივად უნდა იტვირთონ; მუშაობის პროცესში კონსულტაციები გაიარონ სხვა პედაგოგებთან და მშობლებთან, ხოლო დასამტკიცებლად (შინაგანაწესში შესატანად) სკოლის მმართველ გუნდს წარუდგინონ.

ასეთი გეგმა მთლიანად სკოლას და თითოეულ პედაგოგს გაუმარტივებს მოსწავლეთა მშობლებთან კომუნიკაციას; დაეხმარება, მათი ჩართულობის გაზრდაში, აარიდებს ქაოსს, გაურკვევლობას, გაუთ-

ვალისწინებელ უსიამოვნებებს, შეამცირებს სამსახურებრივ სტრესს და დახარჯულ დროს. თანამშრომლობის ეს ფორმატი მეტად მოსახერხებელი იქნება მშობლებისთვისაც. ისინი გახდებიან პროცესების მონაწილე და პასუხისმგებლობის გამზიარებლები. მშობლებს წინასწარ ეცოდინებათ აქტივობების კალენდარი და შეძლებენ, თავიანთი დრო შვილის სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობისთვის დაგეგმონ.

იმისათვის, რომ მკითხველი დარწმუნდეს, რამდენად მარტივად შეუძლიათ სკოლის თანამშრომლებს და აქტიურ მშობლებს ასეთი გეგმის შედგენა, ცხრილი N1-ის სახით შაბლონურ ფორმატს წარმოგიდგენთ.

N	მოქმედება	მიზანი	პასუხისმგებელი პირი	შესრულების ვადა ან სიხშირე	მონიტორინგი
1					
2					
3					
4					
5					
6					
7					
8					
9					

ცხრილი N1-ის თითოეული კატეგორია ცალ-ცალკე განვიხილოთ:

კატეგორია „მოქმედება“: აქ ჩავწერთ იმ აქტივობის დასახელებასა და მოკლე აღწერას, რასაც სკოლა გეგმავს მშობლებთან ერთად *(მაგალითად, მშობლებისთვის მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება SMS-ის საშუალებით. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მხოლოდ საგნის დასახელებასა და ქულებს, კომენტარების გარეშე).*

კატეგორია „მიზანი“: ჩავწერთ, რისთვის სჭირდება სკოლას ამ აქტივობის განხორციელება, ვინ და რა სარგებელს მიიღებს ამით *(მაგალითად, მშობელი მუდმივად იყოს საქმის კურსში შვილის მიღწევების შესახებ თითოეულ საგანში. დამრიგებელმა ესგ-ით დაკისრებული მოვალეობა შეასრულოს).*

კატეგორია „პასუხისმგებელი პირი“: შესაძლოა, აქტივობას ატარებდეს კათედრა, დაწყებითი, საბაზო ან საშუალო სექტორი, მასწავლებელთა გუნდი, მაგრამ მნიშვნელოვანია, თითოეული აქტივობის განხორციელებაზე ერთი პირი იყოს პასუხისმგებელი *(ჩვენი მაგალითის შემთხვევაში – კლასის დამრიგებელი).*

კატეგორია „შესრულების ვადა ან სიხშირე“: ზოგიერთი აქტივობა ერთჯერადად განხორციელდება, ზოგი – რამდენჯერმე, ზოგიც – გარკვეული რეგულარობით. ამ კატეგორიაში უნდა მივუთითოთ, რამდენჯერ ტარდება და სასწავლო წლის რა მონაკვეთში. უმჯობესი იქნება, პერიოდი და თარიღები მაქსიმალურად დაზუსტდეს *(ყოველი სასწავლო თვის ბოლო სამუშაო დღე).*

კატეგორია „მონიტორინგი“: ამ კატეგორიას სამოქმედო გეგმის სრულ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი შეავსებს. ეს შეიძლება, იყოს დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სამეურვეო საბჭოს წარმომადგენელი, საკითხით დაინტერესებული, აქტიური, მცოდნე მშობელი ან მასწავლებელი. გრაფაში კომენტარის სახით ჩაიწერება, ჩატარდა თუ არა აღნიშნული აქტივობა და რამდენად შედეგიანი იყო. შეფასების ინდიკატორად გამოდგება რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებლები, მაგ. რამდენმა მშობელმა მიიღო მონაწილეობა; თუ დადგა რაიმე თვალსაჩინო შედეგი; ხომ არ საჭიროებს ჩატარებული აქტივობა დახვეწას; რა შეიძლება, შემდეგ ჯერზე უკეთესად გაკეთდეს და ა.შ. *(მაგალითად, აქტივობა განახორციელა X რაოდენობის დამრიგებელმა. დამრიგებლებმა SMS გაუგზავნეს მშობელთა Y რაოდენობას, უკუკავშირი მიიღეს Z რაოდენობისგან; მშობლები ამ აქტივობას, უმეტესად, პოზიტიურად აფასებენ, რასაც მათი კომენტარებიც მოწმობს).*

კალენდარი უნდა მოიცავდეს ყველა შესაძლო ნაბიჯს, რაც სკოლისა და მშობლების რეგულარულ კომუნიკაციას ახლავს; მაქსიმალურად უნდა გაიწეროს ყველა აქტივობა, რაც ცალკეულ სკოლასა და მშობლებს აქვთ პრაქტიკაში – დაწყებული გაცნობითი შეხვედრიდან, დასრულებული – მშობელთა წამახალისებელი აქტივობებითა თუ ერთობლივი ღონისძიებებით. კალენდარში უნდა აღინიშნოს მშობელთა ყველანაირი ტიპის მონაწილება, იქნება ეს ფორმალური თუ არაფორმალური განათლების კომპონენტი, კლასის დამრიგებლის, საგნის მასწავლებლისა თუ ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი შეხვედრა პირისპირ ან online სივრცეში.

ზემოთ წარმოდგენილი ცხრილის გარდა, სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს მოსწავლეთა მშობლებთან პირისპირ და online შეხვედრების დროში გაწერილ განრიგს. კერძოდ, მშობელმა კონკრეტული დღეების, საათებისა და ფორმატის მითითებით უნდა იცოდეს, როდის და რა პირობებშია შესაძლებელი შვილის სკოლასთან კომუნიკაცია. მნიშვნელოვანია, სამოქმედო გეგმა იძლეოდეს შერეული კომუნიკაციის შესაძლებლობას, მშობელსა და სკოლას შეეძლოთ როგორც უსაფრთხო გარემოში შეხვედრა სკოლაში, ისე ელექტრონული პლატფორმების მეშვეობით კომუნიკაცია და, რა თქმა უნდა, სატელეფონო კავშირის დამყარებაც. ამისთვის უნდა არსებობდეს კალენდარი, რომელიც შემდეგ საკითხებს მოიცავს:

- ცალკეულ პედაგოგთან მოსწავლის მშობლების მიღების დღეები, საათები და პირობები;
- ცალკეულ პედაგოგთან მოსწავლის მშობლის დისტანციური კომუნიკაციის დღეები და საათები (Teams, Zoom, Skype და სხვ.);
- მოსწავლის მშობლის დირექციასთან ვიზიტის დღეები, საათები და პირობები;
- მოსწავლის მშობლის დირექციასთან დისტანციური კომუნიკაციის დღეები და საათები (Teams, Zoom, Skype და სხვ.);
- ვის და რა საშუალებით უნდა დაუკავშირდეს მშობელი ზემოთ ჩამოთვლილი ვიზიტების წინასწარ დასაჯავშნად;
- გამონაკლისი პირები, ვისზეც ზემოთ ჩამოთვლილი შეზღუდვები არ ვრცელდება;

- იმ გამონაკლისი შემთხვევების ჩამონათვალი, როცა გადაუდებელი აუცილებლობაა სკოლაში მშობლის მისვლა, გამოძახება.

ასეთი კალენდრის გარეშე სკოლებს მოსწავლეთა მშობლებთან ჯანსაღი კომუნიკაციის დამყარება გაუჭირდებათ. ამ მეთოდით მუშაობს არაერთი წარმატებული სკოლა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში.

მშობელთა კლუბი სკოლაში

გამოქვეყნებულია ინტერნეტჟურნალში „მასწავლებელი“
https://mastsavlebeli.ge/?p=40309

სკოლაში მშობელთა ჩართულობის ერთ-ერთი სახე მოხალისეობაა, რომელსაც, თავის მხრივ, მრავალი ფორმატი და თემატური დატვირთვა შეიძლება, ჰქონდეს. როგორც წესი, მშობლები სკოლაში იმ საქმიანობით არიან დაკავებული, რაც ყველაზე მეტად მოსწონთ, გამოსდით ან, უბრალოდ, აქტუალურია მათთვის.

მშობელთა კლუბი მოხალისეობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომელიც დაშვებულია ზოგადი განათლების შესახებ კანონითაც. მშობელთა კლუბი შეიძლება, იყოს წიგნის კითხვის, ხელსაქმის პოპულარიზაციისთვის, ბულინგის ან ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისთვის, დამატებითი ფინანსების მოძიებისთვის, სპორტის ან ხელოვნების სწავლების გაძლიერებისთვის, არაფორმალური განათლების ხელშეწყობისთვის, მოსწავლეთა კვების ორგანიზებისთვის, სკოლასთან მისასვლელ გზებზე უსაფრთხოების დაცვისთვის, პედაგოგთა მხარდაჭერისთვის, სასკოლო გამოწვევების დაძლევისთვის და სხვა კეთილი მიზნებისთვის.

მოწინავე ქვეყნებში, სადაც დემოკრატიულობის მაღალი ხარისხია, მშობელთა კლუბების მრავალფეროვნებას შეხვდებით. როგორც წესი, კლუბში ჩართულობა ნებაყოფლობითია, თუმცა, უმეტესად, ყველა კლასში მოიძებნება მშობელი, რომელსაც რომელიმე კლუბის წევრობის სურვილი ექნება.

მშობელთა კლუბები საქართველოს სკოლების პრაქტიკაშიც მკვიდრდება, თუმცა, ხშირად მოისმენთ ჩივილს, რომ მშობლების ერთობას უჭირს მდგრადობის შენარჩუნება, მათი საქმიანობა უმეტესად ფრაგმენტულია და არასისტემურობით ხასიათდება.

იმისათვის, რომ მშობელთა კლუბმა ხანგრძლივად იფუნქციონიროს, აუცილებელია, მის ორგანიზაციულ მოწყობას დავუთმოთ მეტი დრო.

პირველ რიგში, მშობელთა კლუბის დაფუძნების სურვილი თავად მშობლებს უნდა ჰქონდეთ. ეს სურვილი რომ გაუჩნდეთ, უნდა იცოდნენ, რომ ამის უფლება აქვთ და სკოლიდან, კერძოდ, დირექტორისგან და მასწავლებლებისგან მხარდაჭერა ექნებათ. ამის შემდეგ კი მსურველებმა კონკრეტული პასუხები უნდა გასცენ შეკითხვებს:

- რა მიზნით იქმნება კლუბი?
- რა ნაბიჯებით შეიძლება, კლუბმა ამ მიზანს მიაღწიოს?
- ვინ იქნებიან კლუბის წევრები?
- ვინ იქნება კლუბის ხელმძღვანელი?
- ვინ მიიღებს გადაწყვეტილებებს?
- როგორ შეიძლება კლუბში ახალი მშობლების მიღება ახლა და მომავალში?
- როგორ შეძლებს მშობელი კლუბის დატოვებას?
- როგორ ითანამშრომლებს კლუბი სკოლასთან?
- რა უფლებები და მოვალეობები ექნებათ კლუბის წევრებს?
- ვინ ისაუბრებს კლუბის სახელით?
- რა უფლებები და მოვალეობები ექნებათ კლუბთან მიმართებაში სკოლის თანამშრომლებს?

ამ კითხვებზე გაცემულმა პასუხებმა ადგილი უნდა იპოვოს **ორ მთავარ დოკუმენტში,** რომელიც მომავალში კლუბის ფუნქციონირების საფუძველი გახდება. ეს არის: კლუბის წევრთა ეთიკის კოდექსი და წესდება.

მშობელთა კლუბის წევრთა ეთიკის კოდექსი

ეთიკის კოდექსი წარმოადგენს ქცევის სტანდარტს კლუბის წევრებისთვის.

ეთიკის კოდექსის მიზანია, ერთიან ფორმატში მოაქციოს კლუბის წევრების ურთიერთობები სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან, მათ შორის, მოსწავლეებთან, ერთმანეთთან, სკოლასთან, ასევე, სხვა საჯარო და კერძო დაწესებულებებთან.

ამ წესებზე შეთანხმება კლუბის წევრების მოქმედების ძირითად პრინციპებს განსაზღვრავს, მაგალთად, ეთიკის კოდექსი შეიძლება, მოიცავდეს შემდეგნაირ ჩანაწერებს:

1. კლუბის თითოეული წევრი უზრუნველყოფს **შვილისა და სხვა ბავშვის კეთილდღეობას** (საქართველოს კონსტიტუციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შესაბამისად);

2. კლუბის წევრი **მოქმედებს ბავშვთა ინტერესებიდან გამომდინარე;**

3. კლუბის წევრი **თანასწორად ეპყრობა თითოეულ ბავშვს,** იცავს მას და მის მშობელს დისკრიმინაციისგან: რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, საქმიანობის, შეხედულებების ან სხვა ნიშნის მიუხედავად;

4. კლუბის წევრი **დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან,** ზეწოლისგან, პირადი ინტერესისგან;

5. კლუბის წევრი კორექტულად და **თავაზიანად გამოთქვამს აზრს,** პატივს სცემს ადამიანის ღირსებას;

6. კლუბის წევრი **პატივს სცემს სკოლის,** ასევე, სხვა კერძო ან საჯარო დაწესებულების ორგანიზაციულ **კულტურას და იცავს მის შინაგანაწესს;**

7. კლუბის წევრი თავისი **ქცევით საფრთხეს არ უქმნის სხვა ადამიანებს;**

8. კლუბის წევრი **იცავს ინფორმაციის კონფიდენციალურობას.** კონფიდენციალობის ვალდებულება შეზღუდული არ არის დროში.

9. კლუბის წევრი **არ მოქმედებს და საუბრობს კლუბის სახელით, კლუბის ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად;**

10. კლუბის წევრი **მოხალისეობრივად უნაწილებს** თავის ცოდნასა და გამოცდილებას სხვა წევრებს.

კლუბის წესდება

საჯარო სკოლის მოსწავლეთა მშობლების კლუბის წესდება უნდა წარმოადგენდეს სკოლისა და კლუბის წევრების შეთანხმებას ყველა ძირითად საკითხზე. ამ შეთანხმების მიღწევა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მშობლების კლუბი სკოლის შემადგენელი ნაწილია და მისი მოქმედება მეტ-ნაკლებად თანხვედრაში უნდა იყოს სკოლის ორგანიზაციულ კულტურასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი რისკია, რომ კლუბის მუშაობა ვერ გამოიღებს სასურველ შედეგს.

ქვემოთ იხილეთ კლუბის წესდების შაბლონური ნიმუში, რომელიც დაგეხმარებათ ზოგადი წარმოდგენის შექმნაში და გაგიადვილებთ თქვენს რეალობაზე მორგებული წესდების შექმნას.

მშობელთა კლუბის წესდება
მუხლი 1
ზოგადი დებულებები

1.1. მიუთითეთ კლუბის ფორმა *(საინიციატივო ჯგუფი, ააიპ ან სხვა)*

1.2. კლუბის სახელწოდება: *(უმჯობესია, კლუბს დაარქვათ სახელი, რადგან შეიძლება, სკოლაში მშობლების რამდენიმე კლუბი არსებობდეს)*

1.3. კლუბის საკონტაქტო ინფორმაცია და მისამართი *(მისამართი იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სივრცე მუშაობისთვის)*

1.4. კლუბის მიზანია

1.5. კლუბის ამოცანებია

1.6. სკოლის უფლება-მოვალეობები კლუბის საქმიანობასთან მიმართებაში

1.6.1. სკოლის უფლებები

1.6.2. სკოლის მოვალეობები

მუხლი 2

კლუბის დამფუძნებელი წევრები

2.1. კლუბის დამფუძნებელი წევრები არიან:

1. (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, დაბადების თარიღი)

2. ----------

3. ----------

4. ----------

5. ----------

6. ----------

7. ----------

8. ----------

9. ----------

10. ----------

მუხლი 3

კლუბის წევრობა

3.1 კლუბის წევრობა

3.1.1 *(ვინ შეიძლება, იყვნენ კლუბის წევრები, მაგალითად, დაწყებითი, საბაზო ან საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მშობლები, ან ამა თუ იმ სკოლის მოსწავლეთა მშობლები)*

3.2 გაწევრიანება

3.2.1 *(როგორ მიიღებიან კლუბში ახალი წევრები – უნდა დაწერონ განაცხადი, სიტყვიერად მიმართონ დამფუძნებლებს, ვინ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რა ვადაში უნდა აცნობონ პასუხი)*

3.3 წევრობის შეწყვეტა

(რა შემთხვევაში შეიძლება, კლუბის წევრს შეუწყდეს წევრობა? მაგალითად, კლუბის წევრს შესაძლოა, შეუწყდეს წევრობა:

- საკუთარი განცხადების საფუძველზე
- კლუბის წესდებისა და ეთიკის სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში)

3.4 წევრთა უფლება-მოვალეობები

3.4.1 წევრის უფლებები
(რა უფლებები აქვთ წევრებს? მაგალითად:
- აირჩიოს და არჩეულ იყოს კლუბის ხელმძღვანელად;
- კლუბის კრებაზე წამოაყენოს საკითხი განსახილველად;
- მონაწილეობა მიიღოს გადასაწყვეტი საკითხების კენჭისყრაში)

3.4.2 წევრის ვალდებულებები
(რა ვალდებულებები აქვთ წევრებს? მაგალითად:
- რა სიხშირით უნდა დაესწროს კლუბის კრებებს;
- დაიცვას კლუბის ეთიკის ნორმები)

მუხლი 4
კლუბის მართვა და ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

(ვინ მართავს კლუბს: გამგეობა, კლუბის ხელმძღვანელი თუ წევრები ერთად?)

4.1. მართვის საკითხები
- (ვინ ამტკიცებს სამოქმედო გეგმას;
- ვინ ირჩევს/ნიშნავს კლუბის ხელმძღვანელს;
- ვინ იღებს გადაწყვეტილებას წევრად მიღების და შეწყვეტის შესახებ;
- ვინ ურთიერთობს სკოლასთან?
- ვინ ურთიერთობს მესამე პირებთან?)

მუხლი 5
კლუბის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

- (რა შემთხვევაში გაუქმდება კლუბი;
- როგორ მიიღება გადაწყვეტილება გაუქმების შესახებ)

მშობელთა კლუბის ამგვარი მოწყობა ხელს შეუწყობს მის მდგრად ფუნქციონირებას, უზრუნველყოფს მშობელთა გააზრებულ ჩართულობას და სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ადეკვატური მოლოდინების შექმნას.

მშობელთა ჩართულობის კვირეული სკოლაში

გამოქვეყნებულია ინტერნეტჟურნალში „მასწავლებელი“
https://mastsavlebeli.ge/?p=39686

მსოფლიოს განვითარებული ნაწილი უპირობოდ აღიარებს, რომ მშობლების მონაწილეობას სასკოლო ცხოვრებაში დადებითი შედეგები მოაქვს მოსწავლეებისთვის. გარდა ამისა, აუმჯობესებს სასკოლო კლიმატს, ნაკლებად სტრესულს ხდის მასწავლებლების სამუშაო გარემოს და ათბობს ურთიერთობას მშობლებსა და ბავშვებს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ მშობელთა ჩართულობა საქართველოსთვის სიახლეა, საჯარო თუ კერძო სკოლებში არაერთი საინტერესო აქტივობა ტარდება მშობელთა მონაწილეობით. თუმცა, სახალისო ჩართულობის მაგალითები, უმეტესად, ფრაგმენტულია და სისტემურობით არ ხასიათდება.

იმისათვის, რომ სისტემა შეიქმნას, მნიშვნელოვანია, სკოლაში არსებობდეს გუნდი, რომელიც წლიდან წლამდე დაგეგმავს, განახორციელებს, შეაფასებს და გააუმჯობესებს აქტივობებს.

სტატიაში მოგითხრობთ, როგორ დაგეგმოს სკოლამ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ხალხმრავალი აქტივობა, მშობელთა ჩართულობის კვირეული, რომლის ჩატარება რეგულარულად, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ არის მიზანშეწონილი.

კვირეულის მოწყობა ნებისმიერ სკოლას თუ ცალკეულ მასწავლებელს შეუძლია. მისი უპირატესობა ის არის, რომ ადვილად შესაძლებელია შინაარსისა და ფორმატის წინასწარ განსაზღვრა, პროგ-

ნოზირებადი გარემოს შექმნა და ხანგრძლივი პოზიტიური მუხტის შენარჩუნება.

როგორც ყველაფერი, მშობელთა ჩართულობის კვირეულზე მუშაობაც დაგეგმვით იწყება.

ამ დროს პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია კვირეულის შინაარსის განსაზღვრა. სასურველია, სხვადასხვა წლებში კვირეულს განსხვავებული შინაარსობრივი დატვირთვა ჰქონდეს, რითაც თავიდან ავირიდებთ თემების დუბლირებას. თუმცა, არც გამეორებაა პრობლემა, რადგან მშობლების თანამშრომლობა სკოლასთან დინამიური პროცესია – ყოველწლიურად სკოლებში მშობლების ახალი ნაკადი შედის.

რა შინაარსს შეიძლება, ატარებდეს კვირეული?

- ეს შეიძლება იყოს სკოლისა და მშობლების თანამშრომლობის თემა;
- შეიძლება იყოს მშობლების მონაწილეობა ბავშვებისთვის სწავლის მოტივაციის ამაღლებაში;
- ან ბულინგის პრევენციაში;
- შეიძლება იყოს მშობლებისა და შვილების ურთიერთობის გაუმჯობესება;
- ან სულაც მშობლების ცნობიერების ამაღლება;
- შესაძლოა, გვინდოდეს, რომ მშობლები მოსწავლეებს კარიერის დაგეგმვაში დაეხმარონ;
- ან წიგნის კითხვა შეაყვარონ;
- ან ოჯახური ტრადიციები გააცოცხლონ და ბავშვებიც ჩართონ პროცესში;
- შესაძლოა, გემრიელი კვირეული მოვაწყოთ – ცხობის, მზადების პროცესებით და ეს სასკოლო კვებას დავუკავშიროთ;
- სპორტის ან ხელოვნების პოპულარიზაციას შევუწყოთ ხელი;
- ა.შ.

იდეა იმდენი შეიძლება, გაჩნდეს, რამდენი გუნდიც მსჯელობს შინაარსზე.

ცხადია, კვირეულში მონაწილეობის მიღება ყველა მსურველი მშობლისთვის უნდა იყოს შესაძლებელი, აქტივობები კი ისე შეირჩეს, რომ ნებისმიერი კატეგორიის მშობელს მოუნდეს რაიმე სახით მონაწილეობა პროცესში. ამისთვის დაგვჭირდება ფორმების მრავალფეროვნება.დაგვჭირდება. რა ფორმატების გამოყენება შეგვიძლია მშობელთა ჩართულობის კვირეულის ფარგლებში?

- ჯგუფური და/ან ინდივიდუალური შეხვედრები;
- დისკუსიები;
- სტუმრების მოწვევა სკოლაში;
- არაფორმალურ გარემოში გასვლები;
- ლექცია/ტრენინგები;
- პირადი ამბის თხრობა ბავშვებისთვის;
- ვიდეოს ერთად ყურება და გაანალიზება;
- ვიდეო მიმართვის გადაღება;
- ჯგუფური კითხვა;
- შეჯიბრი;
- კონცერტი;
- ვიქტორინა და ა.შ.

კვირეულის ფარგლებში 3-4 განსხვავებული ფორმატი სრულიად საკმარისი შეიძლება, იყოს. მონაწილეობის მსურველი თავად განსაზღვრავს, რომელში და რა დოზით ჩაერთვება.

კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია, გონივრული დროით ადრე, საინფორმაციო კამპანიის წარმოება, რათა მშობლებმა მიიღონ ინფორმაცია და სხვა ვალდებულებებისგან გაითავისუფლონ თავი.

კვირეულის წარმატებით განხორციელებისთვის საკმარისი არ არის დამრიგებლების კომუნიკაცია კლასის მშობლებთან. სასურველია, ურთიერთობის ტრადიციულ ხერხებს სოციალურ მედიაში გამართული საინფორმაციო კამპანიაც მივახმაროთ. სკოლის ფეისბუქ გვერდზე გამოვაქვეყნოთ კვირეულის გეგმა და ანონსი; ასევე, ელ. ფოსტის საშუალებით ყველა მშობელს გავუგზავნოთ ინფორმაცია. გარდა ამისა, დავაბეჭდინოთ ან ბავშვების მონაწილეობით და-

ვამზადოთ პოსტერები, რომლებსაც სკოლის ფოიეში გავაკრავთ. სასურველია, ციფრულ თუ ხელნაწერ პოსტერებზე ეწეროს, რისი გაკეთება მოუწევთ მშობლებს კვირეულის ფარგლებში და რა მოლოდინი აქვს სკოლას მათგან.

სკოლაში ქაოსი რომ არ მივიღოთ, კარგი იქნება წინასწარ გაიწეროს და ყველასათვის იყოს ცნობილი ის ფორმატები, რასაც სკოლა კვირეულის ფარგლებში უმასპინძლებს; ასევე, მშობლებსა და მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ არჩევანის შესაძლებლობა, თუ რომელ აქტივობაში და რა როლით ჩაერთონ. ამ საკითხის კარგად ორგანიზება შესაძლებელია წინასწარი გამოკითხვით, სადაც გაწერილი იქნება ღონისძიებების კონკრეტული ჩამონათვალი. პოტენციური მონაწილეები დარეგისტრირდებიან და მათთვის სასურველ როლებს მონიშნავენ. გამოკითხვის აწყობა მარტივად შეიძლება google form-ის საშუალებით.

დაბოლოს, კვირეულზე მუშაობის დაწყებისთანავე გავიხსენოთ, რომ მშობლებსაც და მასწავლებლებსაც ძალიან უყვართ წახალისება. თუ კვირეულის ორგანიზატორები თვლიან, რომ შესაძლოა, პროექტს არ მოჰყვეს სასურველი რაოდენობით გამოხმაურება, კარგი იქნება თადარიგის დაჭერა და ციფრული სერტიფიკატების გადაცემა მონაწილეებისთვის. ხოლო თუ ყველაზე აქტიური მშობლების კიდევ უფრო გახარება გვინდა, შესაძლოა, კვირეულის გმირების გამოვლენა და სამადლობელ ტექსტთან ერთად მათი ფოტოების გამოქვეყნება.

მშობლები და მოსწავლეთა შეფასება

გამოქვეყნებულია ინტერნეტჟურნალში „მასწავლებელი“
https://mastsavlebeli.ge/?p=38961

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, შეფასება შეიძლება იყოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი. თუმცა, მოსწავლეთა მშობლების საზოგადოებას რომ ჰკითხოთ, აბსოლუტური უმრავლესობა გეტყვით, რომ სკოლა მოსწავლის ცოდნას ქულებით აფასებს. გან-

მავითარებელი შეფასების არსებობის შესახებ ჯერ კიდევ ბევრმა მშობელმა არ იცის. ოჯახისთვის ქულები ხშირად ერთადერთი ინდიკატორია იმის გასაზომად, თუ როგორ სწავლობს მოსწავლე.

ამ მოცემულობაში, ალბათ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მშობელი შვილის ქულებით ინტერესდება. პირველი, რასაც ბევრი დედა თუ მამა შვილის შესახებ ეკითხება მასწავლებელს, ქულებია. ყველაზე მეტი უკმაყოფილება და ყველაზე მაღალი სასკოლო ჯილდოებიც ქულებს უკავშირდება.

პირად საუბრებში პედაგოგები ხშირად აღნიშნავენ, რომ აწუხებთ მშობლების გადაჭარბებული ინტერესი ქულების მიმართ. ზოგჯერ იმასაც მოისმენთ, რომ მშობლებს მხოლოდ ქულები აინტერესებთ და არა ბავშვის რეალური ცოდნა.

დავუშვათ, რომ ცალკეულ შემთხვევაში ეს ასეც არის და ჩავუღრმავდეთ, რა სავარაუდო მიზეზით შეიძლება, ითხოვდეს მშობელი უმაღლეს ქულებს?

ზოგიერთი მშობელი დარწმუნებულია, რომ მისი შვილი საუკეთესოდ სწავლობს, ნამდვილად იმსახურებს უმაღლეს შეფასებებს და გვერდში უდგას ბავშვს, რომ უსამართლობის განცდა არ ჰქონდეს.

ზოგიერთი მშობელი მიიჩნევს, რომ მისი შვილი ბევრ საგანს კარგად სწავლობს და ამიტომ იმ საგნის მასწავლებელმაც უმაღლესი ქულა უნდა დაუწეროს, რომელსაც ბავშვი საუკეთესოდ არ თუ ვერ ძლევს.

ზოგიერთ მშობელს აქვს ამბიციური მოლოდინი, რომ მისმა შვილმა აუცილებლად უნდა მიიღოს წითელი ატესტატი, ოქროს მედალი და სახელმწიფოსგან -კომპიუტერი. სკოლის დასრულების განსხვავებული სცენარი მას ვერც წარმოუდგენია, რადგან თავისი და შვილის შესაძლებლობებს გადაჭარბებულად აფასებს, უმაღლესი ქულები და ჯილდოები კი მშობლის სიამაყის განცდის ლეგიტიმაციისთვის სჭირდება.

ჩვენს ყოველდღიურობაში სამივე შემთხვევის უამრავი მაგალითი არსებობს. ამიტომ, სკოლას, მასწავლებელს უნდა ჰქონდეს სამივე ვარიანტის მართვის სტრატეგია – დაწყებული პრევენციიდან, დასრულებული დამდგარი რისკის მართვამდე. თუ ამაზე პროფესიონალებს წინასწარ არ ექნებათ ნაფიქრი, ნამსჯელი, გრძელვადიან პერსპექტივაშიც ისეთივე ქაოსს მიიღებენ, რაც დღეს არის, რადგან სხვანაირად მშობლების დამოკიდებულება ქულების მიმართ არ შეიცვლება. გავრცელებული მიდგომა კი სასკოლო საზოგადოების უამრავი წევრის დროსა და განწყობას იწირავს.

ცოტა ხნით გვერდზე გადავდოთ მშობლის სამართლიანი პრეტენზია, რაც, რა თქმა უნდა, ასევე არსებობს და განვიხილოთ, რა ზიანი შეიძლება, მიადგეს მშობლის არაადეკვატური მოთხოვნით ბავშვს – როცა დედას/მამას შვილის მიმართ გადაჭარბებული მოთხოვნები და მოლოდინები აქვს და როცა ოჯახი ბავშვისგან მუდმივად ითხოვს ათიანებს:

ბავშვს შეიძლება, ჰქონდეს მაღალი შფოთვა, რაც შეამცირებს მის პროდუქტიულობას და უარყოფითად იმოქმედებს ემოციურ წონასწორობაზე; შესაძლოა, დაუქვეითოს თვითშეფასება და დემოტივაცია გამოიწვიოს სწავლაში; შეიძლება, ამან უარყოფითად იმოქმედოს ბავშვის სოციალური უნარების განვითარებაზეც.

შესაძლოა, მასწავლებელსაც დაემატოს პროფესიული სტრესი. მას შეიძლება, გაუჭირდეს მოსწავლის ობიექტური კრიტერიუმებით შეფასება, რადგან ექნება მოლოდინი, რომ მას ან მოსწავლეს დაწერილი ქულების გამო მშობელთან მოუვა უკმაყოფილება.

შესაძლოა, თავად მშობელიც იყოს სტრესში. მაღალი მოთხოვნების გამო ურთიერთობის ხარისხი გაუუარესდეს შვილთან, ოჯახის სხვა წევრებთან, ასევე, სკოლის თანამშრომლებთან.

რა გააკეთოს სკოლამ, მასწავლებლებმა იმისათვის, რომ მშვიდობიანად მართონ ეს პროცესები და ყოველ ჯერზე ბავშვზე ორიენტირებული გადაწყვეტილებები მიიღონ?

მნიშვნელოვანია, სკოლამ წარმატებით დანერგოს განმავითარებელი შეფასების სისტემა, რომელიც მშობლებს დაეხმარება, უკეთ განსაზღვრონ შვილების შესაძლებლობები; დაინახონ ძლიერი და სუსტი მხარეები; ის სტრატეგიები, რომლებსაც სკოლა მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად იყენებს; ის ძალისხმევა, რომელიც მოსწავლემ დახარჯა; და პროგრესი, რომელსაც მიაღწია მან.

სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ადმინისტრაციამ და კლასის დამრიგებლებმა V-XII კლასის მოსწავლეთა მშობლებს ერთჯერადად ელ. ფოსტით ან სხვა, მათთვის უფრო მოსახერხებელი საშუალებით პერსონალურად უნდა გაუზიაროს ინფორმაცია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნების, ამოცანების, კრიტერიუმებისა და აკადემიური მიღწევის დონის შესახებ, რათა მშობლებს სრული წარმოდგენა შეექმნათ.

სკოლის ადმინისტრაციამ სხვადასხვა ფორმატში (პირისპირ შეხვედრა, მშობელთა კრება, საინფორმაციო ბიულეტენის გაგზავნა, სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე ინფორმაციის განთავსება, საინფორმაციო დაფის გამოკვრა და სხვა) გააცნოს, რა კომპონენტებში დაიწერება მათ სკოლაში ქულები, რათა ყველა მშობლისთვის წინასწარ იყოს ცნობილი, რას აფასებს მათი სკოლა განმსაზღვრელი შეფასებით.

დამრიგებლებმა, წინასწარ შეთანხმებულ დროს, პირისპირ ან online-ფორმატში შეახვედრონ მოსწავლეთა მშობლები საგნის მასწავლებლებს, რომლებიც გააცნობენ მათ საგნის წლიურ სტანდარტებს, ზოგად ინფორმაციას პროგრამის მოცულობის, სამუშაო ფორმატების შესახებ, ასევე, მოსწავლეთა შეფასების რუბრიკების ნიმუშებს. ეს პროცესი ერთმანეთს უკეთ გააცნობს მშობლებსა და საგნის მასწავლებლებს, რაც ორივე მხარეს დაეხმარება მომავალში ეფექტიან თანამშრომლობაში.

მართალია, მოსწავლის ცოდნის შეფასება საგნის მასწავლებლის პრეროგატივაა, მშობელს კი ამ სფეროში შედარებით არასაკმარისი კომპეტენცია აქვს, მაგრამ მას თავისი წარმოდგენები გააჩნია შვილის შესაძლებლობების შესახებ. მშობელი და მასწავლებელი ბავშვის ცოდნას განსხვავებულ ფსიქოლოგიურ ფონზე ამოწმებენ – მშობელი

სახლში, ბავშვისთვის კომფორტულ გარემოში, ხოლო პედაგოგი – საკლასო ოთახში, საქმიან სივრცეში, სადაც ის, თუ როგორ გამოავლენს ბავშვი მიღებულ ცოდნას, არაერთ გარემო ფაქტორზეა დამოკიდებული. სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგებს ნაფიქრი უნდა ჰქონდეთ ამ საკითხზე და პრეტენზიის მქონე მშობელთან დიალოგი სწორედ ამ განსხვავების გამორიცხვით უნდა დაიწყონ. ეს არაერთ მოსალოდნელ კონფლიქტს აარიდებთ თავიდან.

სკოლამ უნდა შექმნას სივრცე და გამოყოს საგანგებო დრო მასწავლებლებისა და მშობლების შეხვედრებისთვის, სადაც მათ ექნებათ აქტუალურ თემაზე მშვიდად საუბრის შესაძლებლობა. სივრცის არსებობა წაახალისებს დიალოგს, რაც სკოლასა და ოჯახს შორის ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის წინაპირობაა.

სკოლის დირექციამ მშობელსა და მოსწავლეს, პრეტენზიის შემთხვევაში, შესთავაზოს ალტერნატიული შეფასების შესაძლებლობა, რომელშიც ჩართული არ იქნებიან ინტერესთა კონფლიქტში მყოფი პედაგოგები. და რაც მთავარია, ალტერნატიული შეფასების გამოყენება არ გამოიწვევს დამატებით დაძაბულობას მოსწავლეს, მის ოჯახსა და პედაგოგს შორის.

სკოლის ადმინისტრაციამ უნდა იზრუნოს მშობელთა ფსიქოლოგიურ განათლებაზე – რეგულარულად გამართოს მშობელთა ჯგუფური შეხვედრები სკოლის თუ მოწვეულ ფსიქოლოგებთან, სოციალურ მუშაკებთან, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სპეციალისტებთან, რომლებიც დაეხმარებიან მშობლებს, უკეთ დაინახონ მათი შვილების განსხვავებული შესაძლებლობები და შესაბამისი მიდგომები დანერგონ.

კლასის დამრიგებლებმა მშობლებისთვის მოაწყონ არსებული ვიდეორესურსების ჩვენება-განხილვები. მაგალითისთვის, ასეთი რესურსია – ნეიროფსიქოლოგ თამარ გაგოშიძის ლექციების ციკლი თემაზე „შვილის მხარდაჭერა სწავლის პროცესში“:
(https://mshobeltaskola.ge/?p=991)
(https://mshobeltaskola.ge/?p=988)
(https://mshobeltaskola.ge/?p=970)

ასეთი რესურსები მშობლებს მიზნის სწორად ფორმირებაში დაეხმარება, დამრიგებლებს კი მშობლებთან ურთიერთობას გაუმარტივებს. სხვა რესურსები იხილეთ ვებგვერდზე: mshobeltaskola.ge

სკოლის ადმინისტრაციას შეუძლია, მოსწავლეთა ყოველწლიური დაჯილდოება გამართოს, რომელზეც მადლობის სიგელებს გადასცემს არა მხოლოდ მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს, არამედ სხვა ბავშვებსაც. მაგალითად, ჯანსაღი ღირებულებების მქონე, მზრუნველ, მეგობრულ, მხიარულ, კრიტიკულად მოაზროვნე მოსწავლეებს, ან ხელოვნებასა და სპორტში წარმატებულ ბავშვებს. ამ ნაბიჯით სკოლა წაახალისებს მშობლებს, უფრო მეტი დაინახონ შვილის შესაძლებლობებში, ვიდრე ეს ქულებით იზომება.

სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგებს არ უნდა ჰქონდეთ მოლოდინი, რომ ყველა მშობელთან წარმატებული თანამშრომლობა შედგება. ცხადია, მაინც აღმოჩნდებიან იშვიათი გამონაკლისები, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამენ შვილის ქულების გამო, თუმცა, ეს პროფესიონალებისთვის დემოტივაციის მიზეზი არ უნდა გახდეს. სკოლის ასეთი პოლიტიკის შემთხვევაში, მშობლები მეტად გაცნობიერებულნი და მიმღებნი გახდებიან: ნაკლებად მოითხოვენ შვილისგან ყველა საგანში ყოველთვის იდეალურ ცოდნას, გაუჩნდებათ სხვა შეკითხვებიც, რომლებიც მხოლოდ ქულებს არ უკავშირდება, და თავიანთი წარმატებითა და წარუმატებლობებით მიიღებენ შვილებს.

სტატიაში გამოყენებულია მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო – „მასწავლებლის პროფესიული ეთიკა“.

მშობლები ბულინგის წინააღმდეგ

გამოქვეყნებულია ინტერნეტჟურნალში „მასწავლებელი“
https://mastsavlebeli.ge/?p=39355

ბულინგი, უმეტესად, სკოლის შენობაში ხდება, გაკვეთილების დროს ან შემდეგ; ასევე, სკოლის საპირფარეშოში, სპორტულ მოედანზე და სასკოლო ტრანსპორტში, სკოლამდე მისასვლელ გზაზე ან მოსწავლეთა სამეზობლოში. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩაგვრის ფაქტები არ უნდა დარჩეს რეაქციის გარეშე. სკოლას უნდა ჰქონდეს ბულინგის მართვის პროტოკოლი, რომელშიც ყველა რგოლს თავისი როლი ექნება, მათ შორის – მშობლებს.

თანატოლთა შორის ჩაგვრა მსოფლიოში გავრცელებული პრობლემაა. განვითარებულ ქვეყნებში დიდი ხანია, არსებობს ანტიბულინგური პროგრამები, რომელთა ერთ-ერთი ძლიერი რგოლი სწორედ მშობელია.

მშობლები ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფია, რომელიც თავისი ღირებულებებით, დამოკიდებულებებითა და ქცევით მაღალ გავლენას ახდენს ბულინგის პრევენციასა თუ კრიზისული შემთხვევების მართვაზე. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ რაც უფრო ადრე დაიწყებს მშობელი შვილის ქცევებზე დაკვირვებას, მით უფრო შემცირდება ბულინგის რისკები. თუ მშობლები მხარს დაუჭერენ ისეთი უნარ-ჩვევების ჩანერგვას, როგორებიცაა, ემპათია, სხვისი დახმარება, ემოციების გაზიარება და სხვა, მოზარდებში აგრესიული ქცევები შემცირდება. ამისთვის კი მშობლებს თავად სჭირდებათ უნარი, დროულად აღმოაჩინონ ბავშვის ქცევითი და ემოციური პრობლემები, ძალადობისთვის სარისკო ქცევები.

მკვლევართა ნაშრომების მიხედვით, სპეციალისტებმა მშობლებს მეტი ინფორმაცია უნდა მიაწოდონ ბულინგის შესახებ, რათა მათ შეძლონ ბავშვების დაცვა თანატოლთა ჩაგვრისგან. ინფორმირებულ მშობლებს აღარ გაუჭირდებათ ბულინგის პრევენცია ან კრიზისულ სიტუაციაში მართებული ჩართვა.

იმისათვის, რომ მშობელმა თავისი როლი შეასრულოს, მას უნდა შეეძლოს ბულინგის გარჩევა უწყინარი ხუმრობისგან. ამაში, შემდეგი მახასიათებლები დაეხმარებათ:

როცა ბავშვები ხუმრობენ:

- შემთხვევა ერთჯერადია;
- მოვლენაც ერთჯერადია და „მსხვერპლიც";
- მხარეებს შორის დაძაბულობა აქამდე არ შეინიშნებოდა;
- ორივე მხარე თანაბრად ნაწყენი ან გაბრაზებულია;
- შემთხვევა არ მომხდარა ძალაუფლების ან კონტროლის მოსაპოვებლად;
- ერთ მხარეს მეორისგან არ უნდა რაიმეს მოპოვება ან დამტკიცება;
- მხარე, რომელმაც ზიანი მიაყენა, გულწრფელად წუხს, აქვს პასუხისმგებლობის განცდა;
- მხარე, რომელმაც ზიანი მიაყენა, დგამს ნაბიჯს პრობლემის მოსაგვარებლად.

ბულინგის დროს:

- ინციდენტი განმეორებადია და მისი მონაწილეები (მსხვერპლი და აგრესორი) არ იცვლებიან;
- ზიანის მიყენება წინასწარაა განზრახული;
- მხარეებს შორის დაძაბული ურთიერთობაა;
- აგრესორი ჩანს მშვიდი, ხოლო მსხვერპლი ნაწყენია ან ეტყობა მძაფრი ემოციური რეაქცია;
- სიტუაციაში წამყვანია ძალაუფლებისა და კონტროლის დემონსტრირება, რაიმეს მიღების ან რაიმეს საჯაროდ დამტკიცების სურვილი;
- აგრესორი ცდილობს მომხდარის მინიმიზებას, აქვს განზრახვა, ყველაფერი გადააბრალოს სხვას ან თავად მსხვერპლს;
- აგრესორი არ გრძნობს პასუხისმგებლობას მომხდარზე;
- აგრესორი არ მიდის არანაირ კომპრომისზე და არ ცდილობს პრობლემის გადაჭრას, მოგვარებას.

ამ მახასიათებლების გარდა, მშობლებმა უნდა იცოდნენ, რომ ბულინგი ყოველთვის თვალსაჩინო არ არის. ხშირად დაკვირვება, ინფორმაციის მოგროვება და ანალიზია საჭირო იმის დასადგენად, ნამდვილად ბულინგთან გვაქვს თუ არა საქმე. შესაძლოა, პირდაპირი ჩაგვრა არც ხდებოდეს, თუმცა, თუ ბავშვების ერთი ჯგუფი მეორეს არ იმჩნევს, იგნორირებას უკეთებს, საერთო საქმეში ჩართვის შესაძლებლობას არ აძლევს – ესეც ბულინგის ერთ-ერთ ირიბ ფორმად უნდა განვიხილოთ.

პირდაპირი ბულინგი კი შეიძლება, გამოხატული იყოს სხვადასხვა ფორმით, მაგალითად: გამოჯავრება, მეტსახელის დაძახება, უხეში, დამამცირებელი, შეუსაბამო შინაარსის კომენტარები, მუქარა, ჯგუფიდან გარიყვა, შერცხვენა, ჭორების გავრცელება, სხვა ბავშვებისთვის იმის თქმა, რომ არ ემეგობრონ კონკრეტულ ადამიანს, დარტყმა, შეფურთხება, ფეხის დადება, ხელის კვრა, სხვისი ნივთის უნებართვოდ აღება/დამალვა/გაფუჭება, ღირსების შემლახავი ჟესტების ჩვენება.

თუ მშობელი ბავშვს ამჩნევს ფიზიკურ დაზიანებებს, რომელსაც არანაირი ახსნა არ აქვს; თუ ბავშვის კუთვნილი საგნები იკარგება ან ზიანდება; თუ ბავშვს სკოლაში წასვლის ეშინია; თუ მისი აკადემიური მოსწრება დაბალია; თუ ბავშვი რეგულარულად სთხოვს მშობელს ფულს იმ მიზნით, რომ გამომძალველს მისცეს; თუ ბავშვი განერვიულებულია, თავდაჯერებას კარგავს ან სტრესის ნიშნებს ავლენს; თუ ბავშვს ძილთან და/ან კვებასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს, შესაძლოა, ის ბულინგის მსხვერპლი იყოს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდი, რითაც მშობლებს შვილების დახმარება შეუძლიათ, ბავშვთან ბულინგის შესახებ საუბარია. ჩაგვრის შესახებ საუბარი ბავშვს ეხმარება, უკეთ გაიგოს, რა არის ის და რატომაა საზიანო. თუ მაინც მოხდა, რომ ბავშვი ბულინგის მსხვერპლია ან თავად არის მჩაგვრელი, ზრდასრულები პრობლემასთან გამკლავების სტრატეგიას უნდა ფლობდნენ:

როგორ უნდა მოიქცნენ ზრდასრულები მსხვერპლ ბავშვთან?

- არ დაადანაშაულონ ბავშვი იმის გამო, რომ ის ბულინგის სამიზნეა;
- არ წააქეზონ ბავშვი, რომ ჩხუბს ჩხუბით უპასუხოს;
- უთხრან ბავშვს, რომ ზრდასრულები მას დაიცავენ;
- უთხრან ბავშვს, რომ ყველაფერი გაკეთდება მისი უსაფრთხოებისთვის;
- განაცხადონ ბულინგის შესახებ სკოლაში და მხარდაჭერა მიიღონ სკოლის თანამშრომლებისგან;
- საჭიროების შემთხვევაში, თავად დაუკავშირდნენ მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის ცხელ ხაზს, ნომერზე – 08 000 000 88 და ფსიქოლოგის მხარდაჭერა მიიღონ.

როგორ უნდა მოიქცნენ ზრდასრულები აგრესორთან?

- შეინარჩუნონ სიმშვიდე მასთან საუბარში, აღწერონ მისი ქცევა და დაარქვან სახელი;
- აუხსნან ბავშვს, რომ არავითარ შემთხვევაში არ მოითმენენ მის აგრესიულ ქცევას, მიუხედავად იმისა, თუ ვისკენაა ის მიმართული. დააწესონ სავსებით კონკრეტული და მკაცრი შეზღუდვები, რომლებსაც ბულინგის გამეორების შემთხვევაში მიმართავენ;
- შეახსენოს მას ანტიბულინგური წესების შესახებ, რომელიც სკოლაში მოქმედებს და ასეთი წესები უნდა იყოს ყველა სკოლაში;
- აგრესორმა მკაფიოდ უნდა მოისმინოს სიტყვები „მსგავსი ქცევა არ არის მიღებული და ზიანს აყენებს სხვას“.

როგორ უნდა მოიქცნენ ზრდასრულები ბულინგის შემსწრე ბავშვთან, რომელიც თავად არ მონაწილეობდა ინციდენტში, თუმცა, იქვე იმყოფებოდა?

- მოუწოდონ, მხარი დაუჭირონ მსხვერპლს;
- განამტკიცონ და უთხრან, რომ მოსწონთ მისი გამბედაობა;
- მოუწოდონ, რომ ისაუბროს შემთხვევაზე, რაც ახლაც და მომავალშიც დაეხმარება მოსწავლეებს;
- უთხრან, რომ მოუწოდოს ბულინგში ჩართულ მხარეებს, გაჩერდნენ;

- წააქეზონ, რომ ბავშვმა დახმარება ითხოვოს უფროსისგან;
- თუ თვითმხილველი არ ერევა, ზრდასრულებმა უნდა აჩვენონ მაგალითი, როგორ გააკეთოს ეს.

ამ ინფორმაციის ცოდნა მშობლებს დაეხმარება, ობიექტურად შეაფასონ ბავშვებს შორის ურთიერთობები, დაგეგმონ ბულინგის პრევენციაზე მიმართული ღონისძიებები ან ადეკვატური რეაგირება ჰქონდეთ კრიზისულ შემთხვევებზე. ცხადია, ბულინგის დასაძლევად მშობლების სწორი ჩართულობა საკმარისი პირობა არ არის, თუმცა, სკოლის მიერ შემუშავებული ანტიბულინგური პროგრამის ნაწილი ნამდვილად უნდა იყოს.

გამოყენებული რესურსები:

- *SOS ბავშვთა სოფლის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო „ანტიბულინგური პროგრამა“ (პრაქტიკული სახელმძღვანელო ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკებისა და ბავშვზე ზრუნვის სფეროში მომუშავე სპეციალისტებისთვის) – ავტორები: მაია ცირამუა, ელენე ქორიძე.*
- *https://phf.org.ge/ka/resources/bulingi/*

მშობლების მიერ ფინანსების მოძიება სასკოლო საჭიროებებისთვის

გამოქვეყნებულია ინტერნეტჟურნალში „მასწავლებელი“
https://mastsavlebeli.ge/?p=40312

საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ სასკოლო საზოგადოების წევრებს, მათ შორის მშობლებს, უფლება აქვთ, საქველმოქმედო მიზნებისთვის მოიზიდონ ნებაყოფლობითი შემოწირულობები (მუხლი 14). თუ ადგილი აქვს ფინანსური სახსრების ან სხვა სიკეთის გამოძალვას, სკოლა ვალდებულია, მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა თავიდან აიცილოს ასეთი ფაქტები; ხოლო თუ მშობლები ნებაყოფლობით ცდილობენ სკოლის მხარდაჭერას სხვადასხვა რესურსებით, ეს სრულიად ლეგიტიმურია და სკოლას ასეთი შემოწირულობის მიღება შეუძლია.

სკოლაში ფულის შეგროვება და ამ პროცესში მშობლების ჩართულობა არა ერთი ქვეყნის პრაქტიკაა, მათ შორის ისეთი განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისაც კი, როგორიც არის ამერიკა, დიდი ბრიტანეთი თუ ევროპის ქვეყნები. ჩამოთვლილ ქვეყნებში არსებობს სკოლაში შექმნილი ფონდები, რომლებიც სკოლების სხვადასხვა საჭიროებას აფინანსებენ. თუმცა, ამ ფონდებში თანხების მობილიზება ქართული პრაქტიკისგან განსხვავებულად ხდება. ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი არის ნებაყოფლობითობა. თანამედროვე მეთოდები დემოკრატიულია და მაქსიმალურად ითვალისწინებს მშობლების ინდივიდუალურ შეხედულებებს, ნებას და ფინანსურ შესაძლებლობებს; მეორე, რაც მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას ქართული პრაქტიკისგან განასხვავებს, ის არის, რომ გამიჯნულია, თუ რა ფინანსდება სკოლის ბიუჯეტით და რა – მშობლების სახსრებით.

საქართველოს კანონმდებლობით საჯარო სკოლის ბიუჯეტი საჯაროა. მისი ნახვა მშობლებს წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე სკოლაშიც შეუძლიათ, ან ვებ გვერდზე https://skolebi.emis.ge/ მოიძევენ საჭირო ინფორმაციას. ბიუჯეტში ჩახედვა მშობლებს დაეხმარება, გაიგონ, რა ფინანსდება სახელწიფოს მიერ და რა საჭიროებები რჩება გადასაჭრელი. თუ მშობლები სკოლის ბიუჯეტს გაეცნობიან, დარწმუნებიან, რომ დაფინანსების უდიდესი ნაწილი ხელფასებსა და კომუნალურ გადასახადებზე იხარჯება, უამრავი გამოწვევის დასაძლევად კი ფინანსები აღარ რჩება. ამის შემდეგ ისინი დაიწყებენ ფიქრს, თავად როგორ დაეხმარონ მოსწავლეებს და სკოლას, რა გზით მოიპოვონ დამატებითი საჭირო რესურსები, ვის მიმართონ მხარდაჭერისთვის და როგორ აწარმოონ თანხის მობილიზების კამპანია ლეგიტიმური გზებით.

ამისთვის რამდენიმე მეთოდი არსებობს. მათ შორის, ერთ-ერთი პირველია მშობლებისა და მოსწავლეების მიმართვა ადგილობრივი მთავრობის მისამართით, მაგალითად, სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის: იქნება ეს სპორტის დარბაზის გარემონტება, საჭირო რესურსებით მომარაგება, თუ სხვა საჭიროების დაკმაყოფილება.

მშობლებსა და მოსწავლეებს დირექტორთან ერთად, ან მისგან დამოუკიდებლადაც, შეუძლიათ მიმართონ განათლების სამინისტროს სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს და ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემების დროულად გამოსწორება მოითხოვონ.

სახელმწიფო სტრუქტურების გარდა, არსებობს საერთაშორისო დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობებიც. ყველაზე პოპულარულია საგრანტო დაფინანსების მოძიება და/ან ქრაუდფანდინგი – ე.წ. სახალხო დაფინანსების მობილიზება. ამ მეთოდებით თანხის შეგროვების ყველაზე აქტიური ქართული პლატფორმებია „ორბელიანი მეტი“ https://orbelianimeti.ge/ და https://donors.ge/. ორივე პლატფორმა შექმნილია იმისათვის, რომ აქტიურ მოქალაქეებს პრობლემების გადაჭრაში დაეხმაროს, მათ შორის, მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს. ამ პლატფორმებზე წელიწადში რამდენჯერმე ცხადდება იდეების კონკურსები, რომელშიც მონაწილეობა ნებისმიერ პირს შეუძლია.

ასეთი სახის დაფინანსებით შესაძლებელია სკოლაში მშობელთა კლუბის ფუნქციონირება. კლუბი შეიძლება, ეხებოდეს ნებისმიერ თემას, რომელიც აქტუალურია სასკოლო თემში, მაგალითად: არაფორმალური განათლების კლუბი, წიგნის კითხვის კლუბი, ბულინგის პრევენციის კლუბი, სპორტული ან სახელოვნებო კლუბი, ხელსაქმის კლუბი და ა.შ.; ასევე, შესაძლებელია, სკოლისთვის ისეთი ტექნიკის შეძენა, რაც მასწავლებლებს მრავალფეროვანი გაკვეთილების ჩატარებაში დაეხმარება, მაგალითად: პროექტორი, ეკრანი, ფერადი პრინტერი და სხვა.

საერთაშორისო თუ ადგილობრივი დაფინანსების მოსაპოვებლად მნიშვნელოვანია, მშობლებმა ზუსტად იცოდნენ, რა მიზნით გამოიყენებენ მოძიებულ რესურსებს, რამდენი მოსწავლისა თუ მშობლისთვის იქნება შესაძლებელი სარგებლის მიღება და რაში დაიხარჯება მოძიებული ფინანსები; ასევე, როგორ შეინარჩუნებენ პროექტის მდგრადობას პროექტის დასრულების შემდეგ.

რესურსების მოძიების ჩამოთვლილი მეთოდები რადიკალურად განსხვავდება საქართველოში გავრცელებული პრაქტიკისგან. ხშირად ხდება, რომ მშობლები აგროვებენ თანხას, რომლითაც ჰიგიენურ საშუალებებს ან საკლასო ოთახისთვის აუცილებელ ატრიბუტებს ყიდულობენ. როგორც წესი, თანხის აგროვების ინიციატორი მშობელი ანგარიშობს საერთო ხარჯს, აწესებს ლიმიტს და თანაბრად ყოფს ყველა მშობელზე. ეს ხშირად ხდება გაუგებრობისა და დაპირისპირების მიზეზი, რადგან ყველა მშობელს არ სურს მონაწილეობა ამ პროცესში. იმისათვის, რომ უკმაყოფილება თავიდან ავირიდოთ, რამდენიმე აუცილებელი პირობა უნდა დავიცვათ. მნიშვნელოვანია:

- მშობლებმა სწორად შეაფასონ კონკრეტული საჭიროებები და შემდგომ იფიქრონ საკუთარ როლსა და ფინანსურ მონაწილეობაზე;
- თანხის მიზნობრიობა წინასწარ მკაფიოდ განისაზღვროს;
- თანხის შეგროვება იყოს ნებაყოფლობითი და არა საყოველთაო;
- თანხის ოდენობა იყოს იმდენი, ვისაც რამდენი სურს ან შეუძლია, და არა იმდენი, რამდენსაც ორგანიზატორი დააწესებს;
- თანხის ხარჯვა იყოს გამჭვირვალე, ხოლო შედეგი – თვალსაჩინო საჯაროდ.

ასეთ შემთხვევებში თავიდან იქნება არიდებული შემდგომი უთანხმოებები, ხოლო მოსწავლეები და სკოლა მშობელთა ლეგიტიმური ფინანსური თანამონაწილეობით ისარგებლებენ.

შემდეგ სტატიაში უფრო დეტალურად განვიხილავთ სკოლაში თანხის შეგროვების კამპანიის მართებულ, ლეგიტიმურ და დემოკრატიულ მეთოდიკას.

სკოლაში თანხის შეგროვების დემოკრატიული მეთოდები

გამოქვეყნებულია ინტერნეტჟურნალში „მასწავლებელი“
https://mastsavlebeli.ge/?p=40315

ქრაუდფანდინგი, იგივე სახალხო დაფინანსება, თანხების მობილიზების მსოფლიოში გავრცელებული მეთოდია. ეს გულისხმობს კონკრეტული იდეის გარშემო თანამოაზრეთა გაერთიანებას და ინიციატივის დაფინანსებას სასურველი ან დაწესებული თანხით.

ქრაუდფანდინგის მთავარი იდეა სწორედ იმაშია, რომ ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ნებაყოფლობითი ჩართულობითა და ძალისხმევით საერთო პროექტები განხორციელდეს ან პრობლემები გადაიჭრას.

ქრაუდფანდინგი შესაძლოა იყოს საუკეთესო ინსტრუმენტი მოსწავლეთა მშობლებისთვის, რომელთაც სურთ საკუთარი ძალისხმევა ჩადონ სასკოლო გარემოს გაუმჯობესებაში, მაგალითად, მოაწყონ სკოლის ეზო იმგვარად, რომ ბავშვებმა დროის შინაარსინად გატარება შეძლონ. ასეთი ინიციატივა წარმატებით განხორცილდა ახალციხის I საჯარო სკოლაში, სადაც ერთი მშობლის, შორენა გიგოლაშვილის ძალისხმევით, ეზოში ჭადრაკის გიგანტური დაფა დამონტაჟდა. *(დეტალებისთვის ეწვიეთ ბმულს https://shorturl.at/Yy9BV)*

ქრაუდფანდინგის რამდენიმე სახე არსებობს, თუმცა სასკოლო საჭიროებების დაფინანსებისათვის ყველაზე ეფექტური იქნება შემოწირულობაზე დაფუძნებული ქრაუდფანდინგი, რასაც სჭირდება პოპულარიზაცია, საინფორმაციო კამპანიის წარმოება.

თანხის შეგროვების კამპანიის ორგანიზება შესაძლებელია როგორც ფიზიკურ, ასევე ონლაინ სივრცეში. მთავარია, საჭიროება და თანხის შეგროვების მიზანი მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული.

ონლაინ კამპანიის წარმოებისთვის შესაძლებელია, როგორც სკოლის სოციალური ქსელის გამოყენება, ასევე მშობლების პირადი გვერდების ჩართვა. რადგან ინიციატივა სკოლას ეხება, სასურვე-

ლია კამპანიის ფარგლებში მოსწავლეებთან ერთად შეიქმნას კრეატიული ფოტო ან ვიდეო მასალა და ისე გაჟღერდეს სათქმელი.

მშობლების გარდა თანხის მობილიზების პროცესში, შესაძლებელია ბიზნეს კომპანიების ჩართვაც. ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით აქტიური გახდა ბიზნესის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულება, რომლის ფარგლებშიც როგორც ერთჯერად აქტივობებს, ასევე გრძელვადიან პროექტებსაც აფინანსებენ. მშობლებს შეუძლიათ ინიციატივა ისეთ კომპანიებს წარუდგინონ, რომლებიც იდეასთან ყველაზე ახლოს მდგომ დარგებს აფინანსებენ. მაგალითად:

- თუ სკოლის გარშემო გარე სივრცის გამწვანება სურთ, ისეთ კომპანიებს ან ფონდებს უნდა მიმართონ, ვინც ხშირად საუბრობს გარემოსდაცვით მიმართულებაზე.
- თუ სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესებისთვის ტექნიკის ან რესურსების შეძენაა საჭირო, ისეთ ბიზნესს უნდა შეეხმიანონ ვისთვისაც განათლებაა პრიორიტეტული მიმართულება.
- სკოლაში ექიმის ოთახის აღჭურვის სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია ითანამშრომლონ სამედიცინო ბიზნესთან, აფთიაქებთან.

როგორ დაგეგმონ მშობლებმა თანხის შეგროვების კამპანიები და რა უნდა გაითვალისწინონ?

- პირველ რიგში, **მიზანი უნდა იყოს მკაფიოდ გასაგები** ყველა იმ ადამიანისთვის, ვისგანაც საჭიროა ფინანსური თუ სხვა ტიპის მხარდაჭერა.
- **თანხის შეგროვებისთვის სწორად უნდა შეირჩეს დრო.** როდესაც ოჯახებს ისედაც ბევრი ხარჯი აქვთ, თანხის შეგროვება დამატებითი ტვირთი იქნება და გაუჭირდებათ მონაწილეობა. ასეთი პერიოდებია, მაგალითად: სკოლის დაწყება, ახალ წელი ან გამოსაშვები საღამოს წინა პერიოდი. თუ თანხის შეგროვება ბოლო მომენტში დაიწყება და მშობლებს ცოტა დრო ექნებათ, შესაძლოა, ამანაც გაართულოს პროცესი.

- მნიშვნელოვანია, რომ **პროცესი არ იყოს იძულებითი** და გათვალისწინებული იყოს, როგორც თითოეული მშობლის მოსაზრება, ასევე სოციალურ – ეკონომიკური მდგომარეობა. მაგალითად, თუ თქვენი შემოსავლიდან გამომდინარე თვლით, რომ 10 ლარი არ არის დიდი თანხა, ეს არ ნიშნავს, რომ ყველასთვის იგივე ღირებულება აქვს 10 ლარს.
- იმისათვის, რომ თანხის **შეგროვების პროცესი იყოს მარტივი,** სწორად უნდა შეირჩეს ფორმა. თუ არავინ იყენებს ბარათს და თქვენ გადაწყვეტთ, რომ თანხა ანგარიშზე უნდა ჩაგირიცხონ, ეს რა თქმა უნდა გაართულებს სიტუაციას.
- და ბოლოს, შესრულებული საქმის შემდეგ აუცილებელია, რომ სხვა მშობლებიც ინფორმირებულები იყვნენ, თუ რა და როგორ გაკეთდა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ, რომ **ხარჯების ნაწილი იყოს გამჭვირვალე** და ყველას ჰქონდეს ინფორმაცია, როგორ დაიხარჯა მათი ფული.
- სკოლაში თანხის შეგროვების პროცესში მშობლების გარდა, **სასურველია მოსწავლეები და მასწავლებლებიც ჩაერთონ** – ეს ყველას ინტერესის გათვალისწინებას შეუწყობს ხელს. ამისთვის კი აუცილებელია, კამპანიის დაწყებამდე შევხვდეთ თითოეულ ჯგუფს, გავუზიაროთ ჩვენი იდეა, განხორციელების გეგმა და დავრწმუნდეთ, რომ ისინი იქნებიან ჩვენს გვერდით საერთო მიზნის მიღწევის პროცესში.

რადგან საქართველოში ქრაუდფანდინგი ჯერ კიდევ არ არის მასიურად გავრცელებული მეთოდი, მზად უნდა ვიყოთ იმისთვისაც, რომ შესაძლოა ჩვენს ინიციატივას, თუნდაც 1 ლარის ჩარიცხვით ცოტა ადამიანი შემოუერთდეს. ამ რისკის შესამცირებლად, წინასწარ მზად გვქონდეს რამდენიმე აქტივობის გეგმა, რომელიც გაზრდის ადამიანების ინფორმირებულებას და მონაწილეობის სურვილს.

შეგვიძლია ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებსა და მოსწავლეებთან ერთად შევარჩიოთ ერთი დღე, როდესაც გავყიდით მოსწავლეების ხელნაკეთ სამკაულებს, მეორად წიგნებს ან სხვადასხვა ნივთებს. ან მოსწავლეები დააორგანიზებენ თეატრალურ, მუსიკალურ, სპორტულ აქტივობებს, სადაც სიმბოლურ ფასად გაყიდიან

ბილეთებს. მიღებული შემოსავალს კი საერთო მიზნის შესრულებისთვის მიმართავენ.

ასეთ შემთხვევებში, მშობლები და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები არსებული ფინანსური რესურსების შესაბამისად ჩაერთვებიან პროცესში და მოსალოდნელ იმედგაცრუებასაც თავიდან ავირიდებთ.

ამ პროცესში მოსწავლეების მონაწილეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. პირველ რიგში, ეს ბავშვებს ასწავლის, რომ საერთო მიზნის მისაღწევად გარჯა მნიშვნელოვანია. შესაძლოა, ზოგიერთმა მათგანმა ლიდერული უნარ-ჩვევებიც გამოავლინოს, საკუთარი თავი სხვაგვარად დაინახოს, გუნდური მუშაობის სარგებელი აღმოაჩინოს. საერთო მიზნისთვის გაერთიანება მოსწავლეებს, მასწავლებლებს და მშობლებს შორის ბევრ საერთოს და სასიამოვნო მოგონებას გააჩენს. მთლიანობაში კი პროცესი კი ბევრად უფრო სახალისო და შემოქმედებითი გახდება.

სტატია მომზადებულია პროექტ „ჩართეს“ ხელმძღვანელის მარიამ მჭედლიშვილის ვიდეო ბლოგების მიხედვით, რომელიც მოამზადა არასამთავრობო ორგანიზაციამ „მშობლები განათლებისთვის“. ვიდეოს რესურსები იხილეთ ბმულებზე:

https://www.facebook.com/mshoblebiganatlebistvis/videos/1057020148808225

https://www.facebook.com/mshoblebiganatlebistvis/videos/787175603097749

თავი VI. სკოლებში მშობელთა ჩართულობის საერთაშორისო გამოცდილება

მშობელთა ჩართულობა ამერიკის სკოლებში, შტატი არიზონა

მშობლების ფორმალური უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობა

არიზონას შტატში მოქმედებს შტატის მიერ მიღებული 1061 ბილი, რომელიც, ერთი მხრივ, არიზონას განათლების დეპარტამენტს ავალდებულებს, შეიმუშაოს სახელმძღვანელო მშობელთა უფლებების შესახებ და მეორე მხრივ, საოლქო და ქარტიის სკოლებს აკისრებს ვალდებულებას, რომ ეს სახელმძღვანელო საკუთარ ვებ-გვერდებზე განათავსონ და მისი ხელმისაწვდომობა ყველა მშობლისთვის უზრუნველყონ.

აღნიშნული ბილის 15-102 სექციას წარმოადგენს „მშობლების ჩართულობა სკოლაში“, რომლის მიხედვითაც თითოეული სკოლის მმართველმა საბჭომ მშობლებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ერთად უნდა შეიმუშაოს სკოლის პოლიტიკა მშობელთა ჩართულობის გაძლიერების მიმართულებით.

ამავე კანონის მიხედვით, პოლიტიკა უნდა მოიცავდეს:

- გეგმას, თუ როგორ შეიძლება, გაუმჯობესდეს მშობლებისა და მასწავლებლების კოოპერაცია მოსწავლეთა მიერ საშინაო დავალებების მომზადების, დასწრებისა და ზოგადი დისციპლინის მიმართულებით;
- მშობლების ინფორმირების პროცედურებს მათი შვილების სასწავლო კურსების, ძირითადი და დამხმარე მასალების შესახებ;
- პროცედურებს, თუ როგორ შეუძლიათ მშობლებს მოსწავლეების გათავისუფლება ამა თუ იმ კურსიდან ან გაკვეთილიდან; ან მათთვის კონკრეტული სასწავლო რესურსის მიწოდების

შეზღუდვა, თუკი ისინი საფრთხეს ხედავენ მათი შვილებისთვის (ეს შეიძლება, იყოს საფრთხე სექსუალური, მორალური, რელიგიური პერსპექტივიდან, რა დროსაც მშობელს შეუძლია, მისი შვილის გათავისუფლება მოითხოვოს ამა თუ იმ კურსიდან/გაკვეთილიდან);

- კლასგარეშე და ექსტრაკურიკულური აქტივობების შესახებ მშობლების ინფორმირების პროცედურებს;
- საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ მშობელთა ინფორმირების მექანიზმებს.

იმის გამო, რომ შტატში მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის საკითხი სახელმწიფოებრივ, სისტემურ დონეზე რეგულირდება, ყველა საჯარო სკოლას უნიფიცირებული მიდგომის დანერგვა უწევს, რაც გამორიცხავს რომელიმე სკოლის მიერ ამ საკითხის უგულებელყოფას. შტატის ხელისუფლებისთვის სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობა ერთ-ერთი ფუნდამენტური საკითხია, რადგანაც აღნიშნულ მაჩვენებელს პირდაპირ აკავშირებენ მოსწავლეთა მიღწევებთან. შესაბამისად, მშობელთა ჩართულობა სისტემურად არის მხარდაჭერილი. კანონის არსებობა უზრუნველყოფს, რომ ყველა საჯარო სკოლამ სათანადო ყურადღება დაუთმოს მშობელთა ჩართულობის საკითხს.

მშობელთა ჩართულობის რეალური პრაქტიკა

აშშ-ს განათლების სისტემის სპეციფიკის მიხედვით, სკოლის მმართველი საბჭო, რომელიც გადაწყვეტილების მიმღები ძირითადი რგოლია, საჯარო შეხვედრებს წინასწარ გაწერილი განრიგის მიხედვით მართავს. მშობლებს საშუალება აქვთ, დაესწრონ ამ შეხვედრებს (თუ შეხვედრა დახურული არ არის სპეციფიური საკითხის განხილვის გამო) და გააჟღერონ საკუთარი ინიციატივები, წამოაყენონ წინადადებები, არსებულ გამოწვევებზე ისაუბრონ. ინფორმაცია შეხვედრების შესახებ მშობლებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის მეშვეობით ჯერ კიდევ სასწავლო წლის დასაწყისში მიეწოდებათ.

საჯარო სკოლების (district, charter) მშობლებთან ჩატარებულმა სირღმისეულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ სკოლის მმართველ საბჭოში მშობელი/მშობლები სათათბირო ხმის უფლებით შედის, რაც მათი ინტერესების გათვალისწინებას უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღების დროს. აღნიშნული წევრის/წევრების შესარჩევად ცხადდება კონკურსი, რის შესახებაც ყველა მშობელს ეცნობება და მათ უფლება აქვთ, საკუთარი კანდიდატურა წარადგინონ; ასევე, სასკოლო ოლქის ხელმძღვანელის ან საბჭოს წევრის არჩევის დროს, კანდიდატები რეგულარულ შეხვედრებს მართავენ მშობლებთან და საკუთარ ხედვას აცნობენ; ასევე, ინფორმაციას იღებენ მშობლების ინიციატივებისა და სურვილების შესახებ.

თუმცა, სკოლის მართვაში რეალურ მონაწილეობას მშობელთა გაერთიანებები იღებენ. როგორც კერძო, ისე საჯარო სკოლებში შექმნილია მშობელთა ასოციაციები. ხშირად, სწორედ ამ ასოციაციების წარმომადგენლები შედიან სკოლის მმართველ საბჭოში. მშობლები ინფორმირებულნი არიან სკოლაში არსებული მშობელთა გაერთიანებების შესახებ და შეუძლიათ, ნებისმიერ დროს შეუერთდნენ ამ გაერთიანებებს.

მშობელთა ინტერესების გათვალისწინების მიზნით გავრცელებულია, ასევე, კვლევების ჩატარების პრაქტიკაც. ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, სკოლა კითხვარებს აგზავნის მშობლებთან და ცდილობს, მათგან მიღებული ანალიზის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილებები.

არიზონას შტატში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მშობელთა წარმომადგენელი/წარმომადგენლები უშუალოდ მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, როგორც სკოლის მმართველი საბჭოს წევრები. ასევე, მშობელთა ასოციაციები გვევლინება ეფექტურ ინსტრუმენტად, რომელსაც რეალურად შეუძლია გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენა. თუმცა, თუ არა მცირე წარმომადგენლობით, არამედ ფართო მასშტაბურ მონაწილეობაზე ვისაუბრებთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მაშინ მშობლები პასიურად არიან ჩართულები. ისინი ისმენენ სიახლეებს, ეცნობიან კანდიდატების, უკვე არჩეული ხელმძღვანელების, საბჭოს წევრების ხედვას, უზიარებენ ინიციატივებს, სხვადასხვა გზით აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებს, თუმცა უშუალოდ არ არიან გადაწყვეტილებათა მიმღებები.

მშობელთა ინიციატივისა და მოხალისეობის პრაქტიკა

შტატის სკოლებში ნებისმიერ მშობელს სხვადასხვა არხების საშუალებით პირდაპირი კომუნიკაცია აქვს სკოლის დირექციასთან/ადმინისტრაციასთან. მათ შეუძლიათ პორტალის, ელექტრონული ფოსტის, ვიზიტის დაჯავშნის, სატელეფონო საუბრის საშუალებით საკუთარი ინიციატივები მიაწოდონ სკოლას, თუმცა, როგორც რე-

ალური პრაქტიკა აჩვენებს, მშობელთა ინიციატივების მხარდაჭერა და სასკოლო ცხოვრებაში მათი ჩართულობა მშობელთა ასოციაციების დახმარებით ხდება.

მშობელთა გაერთიანებები

არიზონას შტატში ფუნქციონირებს მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია (Arizona PTA), როგორც მშობელთა და მასწავლებელთა ეროვნული ასოციაციის წარმომადგენლობა. ეს არის მოხალისეობრივი ორგანიზაცია, რომელიც მხარს უჭერს, ეხმარება და ავითარებს მშობელთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. ორგანიზაციას თითქმის ყველა სკოლაში ჰყავს საკუთარი ადგილობრივი წარმომადგენლები და ხშირად სწორედ ეს ორგანიზაციაა მშობელთა გაერთიანებების ძირითადი სახე. მასში გაწევრიანების უფლება ნებისმიერ მშობელს აქვს.

აშშ-ში, ასევე, შექმნილია ნიჭიერი ბავშვების ეროვნული ასოციაცია (National association for gifted children), რომელსაც ყველა შტატში თავისი ადგილობრივი წარმომადგენლობა ჰყავს (მათ შორის არიზონაშიც). ამ ასოციაციაში „ნიჭიერ და წარჩინებულ“ (gifted and talented) მოსწავლეთა მშობლები ერთიანდებიან. ასოციაცია ეხმარება მშობლებს, გაერკვნენ მათი შვილების სპეციფიურ საჭიროებებში, ხელს უწყობს ინიციატივების წახალისებას, მშობელთა შორის მჭიდრო კომუნიკაციის დამყარებას და სასკოლო ცხოვრებაში მათ ჩართვას.

მოხალისეობის პრაქტიკა

არიზონას როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლებში ფართოდაა გავრცელებული მშობელთა მოხალისეობრივი აქტივობები. თითოეულ სკოლას თავისი მიდგომა აქვს ამ საკითხთან მიმართებით, თუმცა, სკოლის მხრიდან მოხალისეობის წახალისება ყველგან შეინიშნება. მოხალისეობის ყველაზე გავრცელებული მაგალითებია სპორტულ აქტივობებზე დახმარება, სკოლაში მიმდინარე ღონისძიებებზე დახმარე-

ბა – იქნება ეს რიგების მართვა, ბილეთების გაყიდვა და ა.შ., ექსკურსიებზე დახმარება, საგაკვეთილო პროცესისთვის სხვადასხვა საჭირო ნივთების მომზადება, მაგ. პლაკატები, მაკეტები და ა.შ., გაკვეთილზე გამოსაყენებელი საკანცელარიო ნივთების შეძენა მშობლის მიერ, სხვადასხვა კლუბის მუშაობის პროცესში მონაწილეობა და სხვ.

ზოგიერთ ქარტიის სკოლაში მშობლების ჩართვა მოხალისეობრივ საქმიანობაში სავალდებულოა, ეს შეიძლება, იყოს: ექსკურსიაზე დახმარება, ღონისძიების დაგეგმვაში მონაწილეობა, საგაკვეთილო პროცესში ჩართვა ან რაიმე მატერიალური დახმარება – მოსწავლეებისთვის საჭირო ნივთების შეძენა (სამუშაო ნივთები, წამახალისებელი საშუალებები) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ისეთი ტიპის მოხალისეობირივ აქტივობებში მონაწილეობა, რაც მოსწავლეებთან კომუნიკაციას მოითხოვს, მკაცრად კონტროლდება სკოლის მიერ. სკოლა წინასწარ აწვდის მშობლებს ინფორმაციას მოხალისეობის პრაქტიკების შესახებ და თუ ისინი მონაწილეობის სურვილს გამოთქვამენ, სკოლა მათ შესახებ ინფორმაციას ამოწმებს და რწმუნდება, რომ მოსწავლეებთან მათი დაშვება უსაფრთხოა. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლისთვის და მოსწავლეებთან ურთიერთობის შესაძლებლობას ნებისმიერ მსურველს არ აძლევს. თუმცა, არის ისეთი ტიპის აქტივობები, რომლებში ჩართვაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია. სკოლა, როგორც წესი, მინიმუმ ორი კვირით ადრე აგზავნის ინფორმაციას, თუ რა ტიპის მოხალისეობრივი დახმარება სჭირდება მშობელთა მხრიდან. მშობლები ელექტრონულად ავსებენ შესაბამის ფორმას და საკუთარ მზაობას აფიქსირებენ.

ზოგიერთ სკოლაში გავრცელებულია კლასის მშობლის პრაქტიკა, რაც გულისხმობს, რომ თითოეულ კლასს ჰყავს ორი მოხალისე მშობელი, რომლებიც სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობენ. ასევე, გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, წლის დასაწყისში მშობლებს ეგზავნებათ სარეგისტრაციო ბმული პორტალის საშუალებით და ისინი აფიქსირებენ, თუ რა ტიპის მოხალისეობრივ აქტივობებში სურთ ჩართვა. ეს შეიძლება, იყოს სპორტული, თეატრალური, სახელოვნებო, მუსიკალური, შემეცნებითი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ მოხალისეობრივ აქტივობებს, ასევე, ხშირად გეგმავენ მშობელთა გაერთიანებები, რომლებიც ყველა სკოლაში არსებობს. იმის გათვალისწინებით, რომ ამ გაერთიანებებში, ძირითადად, აქტიური და სკოლის ცხოვრებაში ჩართული მშობლები ერთიანდებიან, ისინი კარგად იცნობენ როგორც სკოლის, ისე მოსწავლეთა საჭიროებებს და შესაბამისად გეგმავენ სხვადასხვა მოხალისეობრივ აქტივობას. გავრცელებულია, ასევე, მშობელთა გაერთიანებების მიერ საქველმოქმედო ღონისძიებების/კამპანიების დაგეგმვა, ოლქის მასშტაბით მნიშვნელოვან ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვ.

მშობელთა მოხალისეობრივი აქტივობები როგორც ხელისუფლების, ისე თითოეული სკოლის მიერ აღიქმება როგორც სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართვის ერთ-ერთი საუკეთესო ინსტრუმენტი. სკოლა, უპირველეს ყოვლისა, მშობლების წინასწარ ინფორმირებას უზრუნველყოფს შესაძლო მოხალისეობრივი პროექტების შესახებ, ითვალისწინებს და სწავლობს მათ ინტერესებს და სწორედ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სთავაზობს მათ ამ თუ იმ აქტივობაში ჩართვას. დამკვიდრებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ სკოლა პატივს სცემს და ითვალისწინებს მშობლების დროის დეფიციტს და მოხალისეობრივი აქტივობების იმდენად მრავალფეროვან სპექტრს სთავაზობს მათ, რომ მშობლების დათანხმება და ჩართულობის მიღწევა შესაძლებელი ხდება. ასევე, აღსანიშნავია, მშობლებთან დროული და ეფექტური კომუნიკაციის პოლიტიკაც, რაც მათ საშუალებას აძლევს, წინასწარ დაგეგმონ, თუ რა დოზითა და ფორმით ჩაერთვებიან მსგავს პროექტებში.

მშობლებთან კომუნიკაცია

სკოლის შერჩევა

ამერიკის შეერთებულ შტატებში ფუნქციონირებს ვებ-გვერდი Greatschools.org – არამომგებიანი ეროვნული ორგანიზაცია, რომელიც სკოლის შერჩევაში ეხმარება მშობლებს. სტატისტიკის მიხედვით, აშშ-ში მცხოვრები მშობლების 50%-ზე მეტი სწორედ ამ პორტალს იყენებს სკოლის შესარჩევად. ვებ-გვერდი ინფორმაციას იძლევა სკოლებში

ხარისხის შესახებ, რაც მოიცავს ცნობებს სკოლის რეიტინგის, რესურსების, სტუდენტების შედეგების და ა.შ. შესახებ. მშობლებს საშუალება აქვთ, შეადარონ სკოლები და საუკეთესო შეარჩიონ მათი შვილებისათვის. ვებ-გვერდზე მოცემულია სკოლის შემაჯამებელი რეიტინგი, რომელიც ოთხი ცვლადის გათვალისწინებით მიიღება – ეს არის მოსწავლეთა აკადემიური პროგრესი, უნივერსიტეტსა და კოლეჯში სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი, თანასწორობის მაჩვენებელი და ტესტირებების შედეგები. შესაბამისად, მშობლებს ინფორმირებული არჩევანის გაკეთება შეუძლიათ, რადგან ისინი ფართო სახის ინფორმაციას იღებენ აღნიშნული პლატფორმიდან. გარდა ამისა, მშობლებისთვის შეთავაზებულია მრავალფეროვანი რესურსები, რომლებიც თითქმის 10000-მდე სტატიას, ვიდეოს, პოდკასტს, სახელმძღვანელოს, ინფოგრაფიკასა და სხვადასხვა ინტერაქციულ საკომუნიკაციო მექანიზმს აერთიანებს, რასაც ყოველწლიურად 10 მილიონამდე მშობელი იყენებს.

გარდა ამისა, სკოლების შესარჩევად ფართოდ გამოიყენება კიდევ ერთი პორტალი Niche.com, რომელიც აშშ-ს მასშტაბით არსებული სკოლების შედარებისა და მათი რეიტინგის განსაზღვრის საშუალებას იძლევა. მშობლებს შეუძლიათ, სკოლები მასწავლებლების, მოსწავლეთა კონტინგენტის, მრავალფეროვნების, მოსწავლეთა მიერ სახელმწიფო ტესტირებებში მიღებული ქულების მიხედვით შეადარონ.

საინტერესოა, რომ თუ მშობელს გადაწყვეტილი აქვს მოსწავლის შეყვანა ტრადიციულ, საოლქო სკოლაში, აქ არჩევანის შესაძლებლობა არ არსებობს, რადგანაც მსგავსი ტიპის სკოლაში ჩარიცხვა მკაცრად განისაზღვრება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და, როგორც წესი, მშობლებს მხოლოდ ერთი ალტერნატივა აქვთ.

ჩარიცხვის ეტაპი და პირველი კომუნიკაცია სკოლასთან

აშშ-ს სკოლებში მოსწავლეთა თითოეული წლის ნაკადს სპეციალურად დანიშნული კონსულტანტი (counseller) ჰყავს, რომელიც სხვა ფუნქციებთან ერთად, პასუხისმგებელია მშობლებთან ურთიერთობაზე. სწორედ ის ხვდება სკოლაში ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტებსა და მათ მშობლებს, აწვდის დეტალურ ინფორმაციას სკოლის, სწავლების სისტემის, მოსწავლისა და მშობლის ფუნქცია-მოვალე-

ობების შესახებ, მოსწავლეებს ეხმარება სასწავლო წლის სწორად დაგეგმვაში, ხვდება მშობლებს და მაქსიმალურად ზრუნავს მათ ინფორმირებაზე ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით.

სკოლა მშობელს უგზავნის გზამკვლევს, სადაც დეტალურად და ლაკონურადაა ახსნილი მისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია. ამ დოკუმენტში მითითებულია გზები, თუ როგორ და რა ფორმით შეუძლია მშობელს მასწავლებელთან ან ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია, შეხვედრის დაჯავშნა, სკოლაში ვიზიტი. აქვე თავმოყრილია ყველა შესაძლო საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც შეიძლება, წლის განმავლობაში დასჭირდეს მშობელს. ამასთანავე, სკოლა მას უგზავნის წლის კალენდარს, სადაც წინასწარაა გაწერილი დაგეგმილი აქტივობები, შეხვედრები, პროექტები, კონფერენციები, რომლებშიც ჩართვა შეუძლია.

სასწავლო პროცესის დაწყებამდე, დაახლოებით ორი კვირით ადრე, სკოლაში ტარდება გაფართოებული შეხვედრა/ღია კარის დღე, სადაც მიწვეულია ყველა მშობელი. აქ ისინი ხვდებიან სკოლის ხელმძღვანელობას, მასწავლებლებს, ინფორმაციას იღებენ სიახლეების, დაგეგმილი აქტივობების, მათი უფლება-მოვალეობების შესახებ. მშობლები იქმნიან ზოგად წარმოდგენას, თუ როგორ წარიმართება სასწავლო წელი. აქვე, უნდა ითქვას, რომ მსგავსი ტიპის შეხვედრებზე არ ხდება მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის გაზიარება მშობელსა და მასწავლებელს შორის. მოსწავლის შესახებ მასწავლებლის მიერ ინფორმაციას გაცემა მხოლოდ მშობელთან ინდივიდუალური შეხვედრის დროს ხდება. თუ მოსწავლე უკვე სასწავლო წლის მიმდინარეობისას გადადის სკოლაში, მაშინ მისთვის და მისი მშობლებისთვის ინდივიდუალურად ტარდება ღია კარის დღე, რომელზეც ყველა საჭირო ინფორმაცია მიეწოდებათ.

საინტერესოა, რომ სკოლა არ აგროვებს ინფორმაციას მშობლების/მოსწავლის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, წარმომავლობის, ეთნიკური კუთვნილების შესახებ. გამონაკლისია ინფორმაცია საცხოვრებელი ადგილის შესახებ, რისი დაფიქსირებაც აუცილებელია, რადგან საოლქო სკოლებში მოსწავლეები სწორედ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ირიცხებიან. საინტერესოა, რომ თუ მშობელს სურს, ფინანსური შეღავათები მიიღოს სკოლისგან მოსწავლის ლანჩზე და

სხვადასხვა ტიპის აქტივობაზე, მაშინ ის ვალდებულია, მიაწოდოს სკოლას ინფორმაცია ოჯახის წლიური შემოსავლის შესახებ. მოსწავლეებს, რომლებიც დაბალი შემოსავლის ოჯახებში ცხოვრობენ, უფასო საუზმე და სადილი აქვთ. აქვე, სკოლა აუცილებლად ინტერესდება მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობით, ჩატარებული აცრებით, დაზღვევის საკითხით და იმ ინფორმაციით, აქვს თუ არა მოსწავლეს დაზღვევა.

ასევე, სკოლა ინფორმაციას იღებს მოსწავლის ინგლისური ენის ცოდნის დონისა და ზოგადი აკადემიური დონის შესახებ, რადგანაც სწორედ ამ ინფორმაციის საფუძველზე გადანაწილდება მოსწავლე ამა თუ იმ სიძლიერის კლასში.

სკოლა წინასწარ განიხილავს კონფიდენციალურობის საკითხს თითოეულ მშობელთან და ნებართვას იღებს მისგან მოსწავლის ფოტო-სურათების, ვიდეო/აუდიო ჩანაწერების, მისი სხვა მონაცემების სხვადასხვა კვლევაში გამოყენების შესახებ. თუკი მშობელი თანხმობას არ განაცხადებს, მაშინ მოსწავლის შესახებ რაიმე ინფორმაციის გამოყენება დაუშვებელია.

კომუნიკაცია მასწავლებელთან

ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მშობლები ინფორმაციას იღებენ მასწავლებლებთან კომუნიკაციის გზებისა და ფორმების შესახებ. მასწავლებელთან ინტენსიური და ყოველდღიური კომუნიკაციისთვის გამოიყენება სხვადასხვა აპლიკაციები, ელექტრონული ფოსტა და სკოლების მიერ შექმნილი სპეციალური პორტალი, სადაც მშობლებს საკუთარი ანგარიში გააჩნიათ. ამ პორტალის საშუალებით, გარდა იმისა, რომ მშობელს შეუძლია, დაუკავშირდეს სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებელს, ასევე, ის თვალს ადევნებს შვილის აკადემიურ მოსწრებას, ყოველდღიურად მიღებულ ნიშნებს, შესრულებულ დავალებებს, ეცნობა მასწავლებლის დახასიათებებს, შენიშვნებს, რეკომენდაციებს და ინფორმაციას იღებს შესასრულებელი დავალებების შესახებ. მსგავსი სახის პორტალი ყველა სახის საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს.

ამასთანავე, სკოლა წინასწარ ადგენს მშობლისა და მასწავლებლების შეხვედრის განრიგს. კერძოდ, წლის განმავლობაში სამჯერ მშობელი ინდივიდუალურად ხვდება ყველა საგნის მასწავლებელს და დეტალურ და ამომწურავ ინფორმაციას იღებს მისი შვილის მიღწევების, ძლიერი და სუსტი მხარეების, აკადემიური მოსწრების შესახებ. ასეთი შეხვედრები საკმაოდ მოქნილია, მშობელი თავად ირჩევს რამდენიმე ალტერნატივიდან რომელი დროა მისთვის უფრო მისაღები, რადგანაც შეხვედრაზე დასწრება დასაქმებულმა მშობლებმაც შეძლონ. ასეთი ინდივიდუალური კონფერენციები 15-20 წუთს გრძელდება თითოეულ მასწავლებელთან. შეხვედრაზე მოსწავლის დასწრებაც შეიძლება. საინტერესოა, რომ მსგავსი პრაქტიკა უმაღლეს სკოლაში აღარ გამოიყენება.

იმ შემთხვევაში, თუ მშობელს დამატებით სურს მასწავლებელთან შეხვედრა, მას შეუძლია, პირადად დაუკავშირდეს მასწავლებელს და შეათანხმოს ვიზიტი, ან ინფორმაცია დატოვოს ადმინისტრაციაში და მასწავლებელი თავად დაუკავშირდება შეხვედრის დასაგეგმად. აღსანიშნავია, რომ მშობლისა და მასწავლებლის შეხვედრებს ქაოტური ხასიათი არ აქვს. მსგავსი შეხვედრები წინასწარი შეთანხმების გარეშე არ ხდება და, როგორც წესი, მასწავლებლებს კონკრეტული დღე აქვთ გამოყოფილი მშობლებთან შეხვედრებისთვის.

კომუნიკაცია ადმინისტრაციასთან

სკოლის ადმინისტრაცია მშობლებთან კომუნიკაციისთვის სხვადასხვა სახის საშუალებებს იყენებს. ეს შეიძლება, იყოს ინფორმაციის გამოქვეყნება ვებ-გვერდზე, მშობლებისთვის ინფორმაციის გაგზავნა ელექტრონული ფოსტის მისამართზე, ასევე – პორტალზე, ტელეფონით დაკავშირება და საინფორმაციო საქაღალდის გაგზავნა, რომელსაც ხელს აწერს მშობელი და ადასტურებს, რომ ნამდვილად გაეცნო ინფორმაციას. ძირითადი პრინციპი მდგომარეობს ინფორმაციის რეალურ მიწოდებაში, ანუ ნებისმიერი მშობელი ინფორმირებული უნდა იყოს სიახლეების შესახებ და რადგანაც კომუნიკაციის ესა თუ ის მეთოდი მხოლოდ გარკვეულ ჯგუფთან შეიძლება იყოს ეფექტური, სკოლა მაქსიმალურად მრავალფეროვან საშუალებებს იყენებს.

მშობლები ესწრებიან სკოლის ადმინისტრაციის მიერ გამართულ შეხვედრებს, საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ, დაუკავშირდნენ შესაბამის სამსახურს და ნებისმიერ პირთან მოითხოვონ შეხვედრა, მათ შორის სკოლის ხელმძღვანელობასთან. მათთან კომუნიკაციისთვის ასევე აქტიურად გამოიყენება ელექტრონული ფოსტა, რომლის საშუალებითაც მშობელს შეუძლია, ნებისმიერ დროს მიაწვდინოს ხმა სკოლის მმართველ რგოლს. გავრცელებულია სკოლის შიდა ნომერზე დარეკვაც და ხმოვანი შეტყობინების დატოვება, ან სკოლის ცხელ ხაზთან დაკავშირება, საიდანაც მშობელს შესაბამის სამსახურთან გადაამისამართებენ.

მშობლების ინფორმირება სასკოლო კურიკულუმის შესახებ

სკოლა მშობლების მაქსიმალურ ინფორმირებაზე ზრუნავს და ცდილობს, მარტივი და ლაკონური ფორმით მიაწოდოს მათ ინფორმაცია სასწავლო პროგრამის შესახებ. ამისათვის, როგორც წესი, გამოიყენება გზამკვლევები, სადაც მშობლებისთვის ყველა საჭირო ინფორმაციაა თავმოყრილი მიმდინარე სასწავლო წლის, შეფასებების, ზოგადად, კურიკულუმისა და საგანმანათლებლო სისტემის შესახებ. აღნიშნული საკითხის განხილვა, ასევე, ხდება მშობლებთან გაფართოებულ შეხვედრებზე და სკოლები სხვადასხვა დამხმარე რესურსებს საკუთარ ვებ-გვერდზეც აქვეყნებენ.

წლის დასაწყისში გამართულ გაფართოებულ შეხვედრებზე თითოეული მასწავლებელი მშობლებს სასწავლო გეგმას აცნობს და ინფორმაციას აწვდის, თუ როგორ წარიმართება სწავლება მის საგანში, როგორ მოხდება შეფასება, რა მიდგომებს გამოიყენებს სწავლების პროცესში და ა.შ.

როდესაც მოსწავლეს შესასრულებელი აქვს სპეციფიური დავალება, რაც რაიმე დამატებითი წიგნის, ნივთის შეძენას ან ოჯახის წევრების ჩართულობას მოითხოვს, მშობელს წინასწარ მიეწოდება ინფორმაცია ამის შესახებ. სხვა შემთხვევებში, მშობლები არ მონაწილეობენ საშინაო დავალებების მომზადებაში, რადგანაც მიიჩნევა, რომ ამ პროცესს მოსწავლე დამოუკიდებლად უნდა გაუმკლავდეს. რაც შეეხება დაწყებით სკოლას, აქ მოსწავლეებს საშინაო დავალებები საერთოდ არ აქვთ.

ცალკეული სკოლის პრაქტიკები მშობელთა ჩართულობის მიმართულებით

საოლქო სკოლები

CATALINA FOOTHILLS SCHOOL DISTRICT – სკოლაში შექმნილია ფაკულტეტისა და ოჯახის ორგანიზაცია (family-faculty organization), რომელიც წარმოადგენს მასწავლებლებისა და მშობლების მხარდამჭერ ჯგუფს, ხელს უწყობს მშობლების ჩართულობის ზრდას, აქტიურ კოოპერაციას. თითოეულ სკოლას, იქნება ეს დაწყებითი თუ საშუალო სკოლა, საკუთარი FF ორგანიზაცია აქვს. გარდა ამისა, სკოლა იყენებს სპეციალურ ონლაინ აპლიკაციას, რომელზეც პირადი ანგარიში აქვს თითოეული მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. ამ პლატფორმაზე მშობლები ნებისმიერ დროს ამოწმებენ მათი შვილების აკადემიურ მოსწრებას, ყოველდღიურად მიღებულ შეფასებებს, დავალებებს, მიღწევებს და საშუალება აქვთ, დაუკავშირდნენ მასწავლებლებს, აქტიური კომუნიკაცია ჰქონდეთ მათთან. მშობელთა ინფორმირებისთვის სკოლა იყენებს SCHOOL MESSENGER სისტემას – ეს არის ონალიან აპლიკაცია, რომელშიც მშობელი თავად ირჩევს, თუ რა სახით სურს სკოლისგან ინფორმაციის მიღება: მოკლე ტექსტური შეტყობინებები, ხმოვანი შეტყობინებები და ა.შ. სკოლა მშობელს ინფორმაციას უგზავნის ნებისმიერი სიახლისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

Chandler Unified School District – სკოლის ვებ-გვერდზე ცალკე განყოფილება ეთმობა მშობლებისათვის განკუთვნილ რესურსებს, სადაც თითოეული საფეხურის მიხედვით მომზადებული და ატვირთულია როგორც კურსების კატალოგები, ასევე სახელმძღვანელო/გზამკვლევები მშობლებისათვის. სკოლა მშობელთა ინფორმირებისთვის იყენებს SCHOOL MESSENGER სისტემას, რომლითაც აუდიო და ტექსტური შეტყობინებებით, ელექტრონული ფოსტისა და ვიდეო-აუდიო ზარების გამოყენებით ატყობინებს მშობლებს სიახლეების შესახებ. მშობლები კი ონლაინ პორტალის მეშვეობით შვილების ყოველდღიურ მიღწევებს აკონტროლებენ.

ქარტიის სკოლები

Legacy Traditional School – ეს ერთ-ერთი წამყვანი სკოლაა არიზონას შტატში. სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალური სახელმძღვანელო მშობლებისათვის, რომელშიც მოცემულია დეტალური ინფორმაცია მშობელთა უფლებება-მოვალეობების, სასწავლო პროცესის, სასწავლო მასალების, ექსტრაკურიკულური აქტივობების შესახებ. სკოლა, შტატის სხვა წამყვანი სკოლების მსგავსად, მრავალფეროვან საშუალებებს იყენებს მშობლებთან კომუნიკაციისთვის, რომლებიც საკუთარ პორტალზე ეცნობიან ინფორმაციას მოსწავლის ყოველდღიურ მიღწევებზე. საინტერესოა, რომ სკოლაში დანერგილია მშობელთა მოხალისეობის პრაქტიკა, კერძოდ: წელიწადში 12 საათის განმავლობაში თითოეული მშობელი უნდა ჩაერთოს მოხალისეობრივ აქტივობებში, რაც შეიძლება იყოს გაკვეთილებზე დახმარება, კურიკულუმს მიღმა აქტივობები, კარნავალისთვის მომზადება, სასკოლო მასალების დამზადება სახლში და ა.შ. ამ გზით სკოლა ცდილობს, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მშობლების ინტეგრაციას სასკოლო გარემოსთან. სკოლის პოლიტიკის მიხედვით, რეკომენდებულია, ყოველდღე ერთი მშობელი მაინც ასრულებდეს მოხალისეობრივ სამუშაოს კლასში. შესაბამისად, მშობლებს, რომელთაც აქვთ სურვილი და საკმარისი თავისუფალი დრო, შეუძლიათ, ბევრად მეტი დრო დაუთმონ მოხალისეობას. საკლასო ოთახში შესვლამდე ისინი იღებენ სპეციალურ მითითებებს, ეძლევათ საინფორმაციო მასალები, რომლებსაც უნდა გაეცნონ და მხოლოდ ამის შემდეგ აძლევს სკოლის ადმინისტრაცია მათ მეცადინეობაზე დასწრების უფლებას. მშობლებს, ასევე, შეუძლიათ, შეუერთდნენ შვილებს ლანჩის დროს და მათთან ერთად ისადილონ სკოლის კაფეტერიაში. ამით სკოლა ცდილობს, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მოსწავლის სოციუმში მშობელთა ინტეგრაციას. რაც შეეხება მასწავლებელთან კომუნიკაციას, ამისათვის მშობლებს შეუძლიათ, ელექტრონული ფოსტა ან პორტალი გამოიყენონ. მასწავლებელთან პირისპირ შეხვედრა შეზღუდულია, რადგანაც მიიჩნევა რომ საგაკვეთილო პერიოდში მასწავლებელი მხოლოდ სწავლებისა და მოსწავლეებთან ურთიერთობის საკითხებით უნდა იყოს დაკავებული. დაბოლოს, მშობელს შეუძლია, ნებისმიერ დროს და ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით ჰქონდეს უკუკავშირი, გააჟღეროს საკუთარი პრეტენზიები ან რეკომენდაციები, რისთვისაც სპეციალური ელექტრონული პლატფორმაა შექმნილი.

Leman academy of excellence – ეს სკოლა რეგულარულად აწვდის მშობლებს ანგარიშს მოსწავლის მიღწევების, შედეგების შესახებ. სკოლაში შემუშავებულია მასწავლებლებისა და მშობლების შეხვედრის კალენდარი, რომელიც წლის დასაწყისშივეა მშობლებისთვის ცნობილი. სკოლა მხარს უჭერს მშობლების მოხალისეობრივ საქმიანობას, როგორიცაა კითხვის კლუბებში მონაწილეობა, ექსკურსიებზე დახმარება, საკლასო ოთახში მასწავლებლის დახმარება და ა.შ.

კერძო სკოლები

Phoenix country day school – სკოლაში შექმნილია მშობელთა ასოციაცია, რომელშიც ყველა მშობელია გაერთიანებული. ასოციაციის მიზანია, დაეხმაროს მშობლებს სკოლასთან უკეთეს კომუნიკაციაში, იდეებისა და ინიციატივების გაზიარებასა და განხორციელებაში. ასოციაცია ზრუნავს მშობელსა და სკოლას/მასწავლებელს შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარებაზე, ყველა საჭირო ინფორმაციას აწვდის მშობლებს, რათა მათ წარმატებით შეძლონ მოსწავლეთა მხარდაჭერა საშინაო დავალებებსა თუ სხვა საგანმანათლებლო, სოციალურ აქტივობებში. ასოციაციის დახმარებით, მშობლები მონაწილეობენ სკოლის მართვაშიც.

Arizona cultural academy & college pre – ამ სკოლაში შექმნილია მშობლების ასოციაცია და მოქმედებს მშობელთა მხარდაჭერის პროგრამა. სკოლის მმართველ საბჭოში მშობლებს საკუთარი წარმომადგენლები ჰყავთ. საერთოდაც, სკოლის მიერ მშობლების ჩართულობა მაქსიმალურად არის წახალისებული.

მშობელს მინიმალური ძალისხმევა სჭირდება იმისათვის, რომ მაქსიმალურად ინფორმირებული იყოს საკუთარი შვილის მდგომარეობის/მიღწევების, ასევე, ზოგადად, სასკოლო ცხოვრების შესახებ. კომუნიკაციის საშუალებები მაქსიმალურად მრავალფეროვანია და არც ერთი კატეგორიის მშობელი არ რჩება სიახლეებს მიღმა. აღსანიშნავია, რომ სკოლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მშობელთა დროულ და წინსწრებით ინფორმირებას, რადგანაც ითვალისწინებენ მათი დროის დეფიციტს და საშუალებას აძლევენ, დროის არქონის გამო მათ არ მოუწიოთ

ამა თუ იმ მიმართულებით ჩართულობაზე უარის თქმა. სკოლები ხედავენ, რომ რამდენადაც მრავალფეროვანია მოსწავლეთა კონტინგენტი, იმდენად მრავალფეროვანნი არიან მათი მშობლებიც და ამიტომ მიდგომებიც უნდა განსხვავდებოდეს. სკოლები რეალურად ზრუნავენ და ხელს უწყობენ მშობელთა ინფორმირებისა და ჩართულობის ზრდას, რაც პოზიტიურად მოქმედებს მოსწავლეთა მიღწევებზე.

წყაროები:

- 2016 Arizona Revised Statutes. Title 15 – Education. § 15-102 Parental involvement in the school; definition ; JUSTIA US law https://law.justia.com/codes/arizona/2016/title-15/section-15-102/;
- Arizona Department of Education Parental Rights Handbook; Last Updated: September 10, 2020 https://www.academyoftucson.com/Downloads/Parental%20Rights%20Handbook.pdf
- Arizona Department of Education https://www.azed.gov/
- Arizona PRA http://www.azpta.org/
- Greatschools; Parent power https://www.greatschools.org/gk/parent-power/
- National Association for Gifted Children https://www.nagc.org/

- Arizona Department of Education https://www.azed.gov/
- Arizona PRA http://www.azpta.org/
- Greatschools; Parent power https://www.greatschools.org/gk/parent-power/
- National Association for Gifted Children https://www.nagc.org/

- CATALINA FOOTHILLS SCHOOL DISTRICT https://www.cfsd16.org/;
- Chandler Unified School District https://www.cusd80.com/SaferStronger-Together
- Legacy traditional school – https://legacytraditional.org/
- Leman academy of excellence – https://lemanacademy.com/
- Phoenix country day school – https://www.pcds.org/community/parents-association
- Arizona cultural academy & college pre – https://www.azacademy.org/
- Great schools' portal https://www.greatschools.org/

მშობელთა ჩართულობა გერმანიის სკოლებში

მშობლების ფორმალური უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობა

სკოლისა და მშობლების ურთიერთობას, პირველ რიგში, ბერლინის სკოლის კანონი არეგულირებს, რომელიც ბერლინის სენატმა 2004 წლის 26 იანვარს მიიღო.

კანონის 88, 89 და 121 თავები სკოლებისა და მშობლების ურთიერთობასა და ამ ურთიერთობის ვალდებულებას ეძღვნება.

კანონში წერია, რომ მშობელი ვალდებულია, ჩართული იყოს საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესში და, თავის მხრივ, სკოლამაც უნდა უზრუნველყოს მათი ჩართულობა.

საკლასო შეკრება, არჩევნები

- სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში იკრიბებიან სკოლის ყველა კლასის მშობლები და წარმომადგენლებს ირჩევენ ე. წ. საკლასო შეკრებებისთვის;
- კლასის წარმომადგენელი ორი მშობლის ასარჩევად ფარული კენჭისყრა ტარდება და ხმის ორი მესამედით მშობლები თავიანთ წარმომადგენელს ირჩევენ;
- ორი მშობელი, ვინც არჩევნებში მხარდაჭერას მიიღებს, ავტომატურად წარმოადგენს მათი შვილების კლასის ინტერესებს მშობელთა სასკოლო შეკრებებზე;
- ყველა მშობლებს აქვს ორი ხმა, მათ ნაცვლად ხმის მიცემა ოჯახის სხვა სრულწლოვან წევრსაც შეუძლია მინდობილობის საფუძველზე (აუცილებელი არ არის ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მინდობილობა, საკმარისია ხელმოწერით დამოწმებულიც მინდობილი პირის მიმართ);
- საკლასო შეკრება, რომელსაც მშობლები და, მათი სურვილის შემთხვევაში, მასწავლებლები ან სხვა სტუმრებიც ესწრებიან,

წელიწადში სამჯერ ტარდება: პირველ სემესტრში – ორჯერ, მეორე სემესტრში – ერთხელ;

- საკლასო და სასკოლო შეხვედრებისთვის ყოველ წელს ორი მშობელი ირჩევა. თუკი რომელიმე მშობელს ამავე პოზიციაზე დარჩენის სურვილი აქვს, მხარდაჭერის შემთხვევაში შეუძლია, მომავალ წელსაც იყოს კლასის წარმომადგენელი.

წარმომადგენელი მშობლების უფლებები და მოვალეობები:

- კლასის შეკრებების მომზადება – თარიღის შერჩევა, დღის წესრიგის განსაზღვრა;
- მინიმუმ ორი კვირით ადრე მათ მიერ სხვა მშობლების ინფორმირება შეხვედრის შესახებ;
- სასურველია დღის წესრიგის წინასწარ გაგზავნა სკოლის ადმინისტრაციაში, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მის გავრცელებას, ასევე, დოკუმენტი შეიძლება, ელექტრონულადაც გავრცელდეს;
- შეხვედრაზე მასწავლებლების ან კონკრეტული მასწავლებლის მოწვევა – ამ შემთხვევაში მასწავლებლები ვალდებულნი არიან, დაესწრონ შეხვედრას;
- სპეციალური მასწავლებელის, სოც. მასწავლებლის, ფსიქოლოგის მოწვევა;
- გარე პირის, სტუმრის მოწვევა, მხოლოდ სხვა მშობლებთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ;
- სკოლის კონფერენციების დროს, თანამშრომლობის მიზნით, პარალელური კლასის მშობლების ჩართვა;
- კლასის შეხვედრის წარმართვა;
- შეხვედრის შემაჯამებელი ტექსტის/რეპორტის გაგზავნა სხვა მშობლებთან;
- კლასის წარმომადგენელი იმ შემთხვევაში კარგავს სტატუსსა და ხმის უფლებას, თუ მისი შვილი ტოვებს კლასს, ან თავად აღარ სურს ამ საქმის გაგრძელება;
- სკოლის შეხვედრებში მონაწილეობა;
- თანამშრომლობა სხვა მშობლებთან, მათი მოსმენა, თუკი რომელიმე მათგანს რაიმე პრობლემა ან ინიციატივა აქვს, რომელიც არ უნდა ეხებოდეს უშუალოდ ბავშვის აკადემიურ მოსწრებასა

თუ ქცევის წესების დარღვევას. წარმომადგენელი ვალდებულია, აღნიშნული საკითხი საკლასო/სასკოლო შეხვედრაზე წამოაყენოს;
- იზრუნოს სხვა მშობლების მოტივაციაზე.

სხვა მშობლების მოტივაციაზე ზრუნვა

- ამომწურავი დღის წესრიგის შედგენა;
- გამოწვევებთან ახლოს მყოფი საკითხების წამოჭრა;
- პროცესში მასწავლებლების ჩართულობის გაზრდა;
- სურვილი – მშობლებმა უკეთ გაიცნონ ერთმანეთი;
- ზოგიერთ შემთხვევაში, საინტერესო, მოკლე მოხსენების მომზადება;
- პირად მაგალითზე რაიმე საკითხის წამოწევა;
- სასიამოვნო, მეგობრული ატმოსფეროს შექმნა;
- დროის სწორად მართვა;
- სკოლის მხრიდან: საუკეთესო შემთხვევაში, შეხვედრების დროს ბავშვებზე ზრუნვა. თუკი შესაძლებელია, ერთი ან ორი ადამიანის გამოყოფა, ვინც ბავშვებზე იზრუნებს, როცა მშობლებს კლასის/სკოლის შეხვედრების დროს მათი სახლში დატოვება არ შეუძლიათ.

საკლასო შეკრების ამოცანები და დავალებები

- საკლასო შეკრებების მიზანი, პირველ ყოვლისა, ინფორმაციისა და მოსაზრებების გაცვლაა მშობლებსა და პედაგოგებს შორის, რომლის საშუალებითაც, ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით, ამ პროცესში უნდა გაძლიერდეს მშობელთა ჩართულობა;
- შეკრებების დროს არავის აქვს ე. წ. „იმპერატიული მანდატი," მათ შორის არც მშობლების მიერ არჩეულ წარმომადგენლებს – ეს ნიშნავს, რომ დისკუსია და გადაწყვეტილებების მიღება დემოკრატიულ პრინციპებს ეფუძნება;
- მსჯელობის თემები მრავალფეროვანია. მაგალითად, შეკითხვები შეიძლება, უკავშირდებოდეს: გაკვეთილების გეგმას, დავალებების რაოდენობას, ექსკურსიების დაგეგმვას და ხმის მი-

ცემას, თუ სად შეიძლება მოეწყოს ექსკურსია და ასე შემდეგ;
- მშობლებს შორის, ასევე, მშობლებსა და სკოლას შორის ნდობის განმტკიცება;
- სკოლაში და მის გარეთ სოციალური გარემოს უზრუნველყოფა ბავშვებისათვის.

სასკოლო შეკრების ამოცანები და დავალებები

სასკოლო შეკრება მშობლების ინტერესების გაჟღერებისა და ამ ინტერესების დაცვის საუკეთესო ადგილად/საშუალებად მიიჩნევა. ამ შეკრებაზე განიხილება ზოგადი და კონკრეტული, აქტუალური სასკოლო საკითხები და, შესაბამისად, მას უძღვება და, ამავე დროს, მოპასუხე მხარეა სკოლის დირექტორი.

სასკოლო შეკრება აუცილებელია, წელიწადში მინიმუმ სამჯერ ჩატარდეს. პირველი შეხვედრა სემესტრის დაწყებიდან ექვს კვირაში ანუ სასკოლო წარმომადგენლების არჩევიდან ორი კვირის შემდეგ იმართება.

შეხვედრაზე დასასწრებად სკოლის ადმინისტრაცია, დირექტორის ხელმოწერითა და ამ შეხვედრის დღის წესრიგით, ინფორმაციას აგზავნის კლასის წარმომადგენელ ყველა მშობელთან.

სკოლის ხელმღვანელობას შეუძლია, ამ შეხვედრაზე დაპატიჟოს გარეშე სტუმრებიც, მაგალითად, ადგილობრივი ხელისუფლების ან რომელიმე პარტიის წარმომადგენელი, რომელიც განათლების საკითხებზე მუშაობს, ან აქტუალურ საკითხზე პასუხის გაცემა შეუძლია; ასევე, ექსპერტი ან მასწავლებელთა კავშირის წარმომადგენელი (არა პროფკავშირი, არამედ მასწავლებელთა სახლის).

სასკოლო შეკრებაზე, ძირითადად, მშობლების მიერ დაყენებული საკითხები განიხილება – ის, რაც მათ აინტერესებთ სკოლის ადმინისტრაციისგან ან აქვთ რაიმე ინიციატივა და მის გაზიარება/გაცნობას აპირებენ. თუკი ეს იდეები ლოკალური ხასიათისაა და ფართო განხილვას არ მოითხოვს, სკოლის ადმინისტრაცია იქვე ადასტურებს თავის თანხმობას ინიციატივის შესრულებაზე, ან პასუხობს მშობლების მიერ წამოყენებულ საკითხს ან პრობლემას. ამ შეხვედ-

რაზე ხმის მიცემა არ ხდება და გადაწყვეტილება მიიღება, ან არ მიიღება, ზეპირი მსჯელობის საფუძველზე.

ხოლო თუკი საკითხი მასშტაბურია და ცვლის ან განსაზღვრავს სკოლის განათლების პოლიტიკას, მისი განხილვა სკოლის კონფერენციაზე გადაინაცვლებს.

კონფერენცია

კონფერენცია სასკოლო ცხოვრებაში ყველაზე მაღალი ინსტანციაა, რომელზეც მშობლებისა და სკოლის მიერ დასმული საკითხები არამხოლოდ განიხილება, არამედ წყდება კიდეც ხმის მიცემის საფუძველზე.

ამ შემთხვევაშიც გადაწყვეტილებების მიღება დემოკრატიულ პრინციპს ეფუძნება და სავალდებულოა წელიწადში მისი ოთხჯერ ჩატარება.

კონფერენციაში მონაწილეობენ:

- სკოლის დირექტორი, ოთხი არჩეული მშობელი, რომლებიც ვალდებულნი არიან, ორი წლის განმავლობაში ესწრებოდნენ კონფერენციას და ხმის უფლება გამოიყენონ (მათ ასარჩევად დამატებითი არჩევნები ტარდება), ასევე, ოთხი არჩეული აღმზრდელი ან მასწავლებელი (დამოკიდებულია სკოლის ტიპზე) და ოთხი არჩეული მოსწავლე მეშვიდე კლასის ზემოთ;
- კლასების წარმომადგენელი მშობლები სკოლის ადმინისტრაციიდან.
- გადაწყვეტილება ხმების ორი მესამედით მიიღება. გადასაწყვეტი თემები შეიძლება, იყოს:
- სკოლის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებთან დაკავშირებული თემები;
- აღზრდისა და განათლების შეჯერების საუკეთესო გზების გამოვლენა;
- მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები;
- გადაწყვეტილება დუალური სწავლების შესახებ;

- პედაგოგების სწავლებისა და უნარების შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- საკლასო დავალებების შეფასების კრიტერიუმები;
- უკუკავშირისა და სწავლების შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების სტანდარტის განსაზღვრა;
- სკოლის დამატებითი სახელმძღვანელოების არჩევა ან არსებულზე მსჯელობა;
- სკოლის წესრიგის დადგენა/ გადახედვა;
- სხვა სკოლასთან თანამშრომლობა;
- სკოლის ფართის დროებით სხვისთვის დათმობა/იჯარით გაცემა.

სასკოლო შეხვედრებისგან განსხვავებით, ამ შეხვედრის შესახებ დგება ოქმი და პროტოკოლის შესაბამისად, ყველა ფორმალური წესის დაცვით, კონფერენციის შესახებ ჩანაწერი კეთდება. ეს ჩანაწერი და გადაწყვეტილებები არ რჩება სკოლაში, არამედ იგზავნება სენატში და, შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ცნობილი ხდება სკოლის (რომელიც მშობლებსაც მოიცავს) გადაწყვეტილებები და მოსაზრებები გარკვეულ საკითხებზე, ან ახალ ინიციატივებზე, რომელიც განათლების პოლიტიკის ცვლილებებს უკავშირდება.

მშობლებს კონფერენციაზე დასწრების უფლება არ აქვთ, თუ მსჯელობა ატესტატების, დიპლომების ან მსგავსი ტიპის დოკუმენტების შესახებ მიმდინარეობს (სამწუხაროდ, განმარტებული არ არის, რა ტიპის მსჯელობა შეიძლება, იყოს).

ყველა რესურსისთვის, რომელიც საკლასო, სასკოლო შეხვედრებისთვისა და კონფერენციისთვისაა საჭირო (მაგალითად, ასლების გადაღება, საბუთების გაგზავნა ფოსტით და ასე შემდეგ), ფინანსებს გამოყოფს სკოლა.

შეხვედრების დროს დაუშვებელია

- კონკრეტული ბავშვის, მშობლის, ან მასწავლებლის საკითხის, ქცევის, რეპლიკის განხილვა. საერთო პრობლემის შემთხვევაში საუბარი კონკრეტული პირების დასახელების გარეშე უნდა წარიმართოს;

- დღის წესრიგიდან გადახვევა;
- წინასწარ განსაზღვრული დროის გადაცდენა;
- შეხვედრის ფოტოგრაფირება, გადაღება.

სკოლის კანონი მშობლებსა და სკოლას პირდაპირ ავალდებულებს თანამშრომლობას. კანონის ფარგლებში განსაზღვრულია წესები და ფორმალობები, რომელიც ორივე მხარემ უნდა დაიცვას. ის, რომ თითო კლასიდან ორი მშობელი მუდმივად წარმოდგენილია სასკოლო შეკრებაზე ხმის უფლებით, სკოლის მართვაში მშობლების აქტიურ თანამონაწილეობას ნიშნავს; ამასთან, ლოკალურად კლასებში არჩეული ორი მშობელი ვალდებულია, მუდმივად მიჰყვეს სკოლის გამოწვევებს და საქმის მიმდინარეობა სხვა მშობლებსაც გააცნოს.

ეს არის, ერთი მხრივ, კანონით დადგენილი ნორმები, თუმცა, კანონი არ ზღუდავს სკოლისა და მშობლების თანამშრომლობის სხვა ფორმებსაც. მაგალითად, დამატებით, სხვა ტიპის შეხვედრებს, ონლაინ კონფერენციებს, ან თანამშრომლობის შესახებ რაიმე ხელშეკრულებას. ეს დამოკიდებულია სკოლაზე. ზოგიერთ შემთხვევაში, მშობლები სკოლას ამ ხელშეკრულების არსებობისა და მშობლებთან ურთიერთობის კარგი პრაქტიკის გამოც ირჩევენ, თუმცა, თავის მხრივ, სკოლაც სწორედ ამ გზით „აიძულებს“ მუდმივად თანამშრომლობას მშობელს.

კანონში განმარტებული არ არის, რა საკითხები განიხილება სასკოლო შეხვედრებზე, მაგრამ კონტექსტიდან ჩანს, რომ ეს ლოკალურ თემებს ეხება, მაგალითად: რომელიმე პედაგოგის მიმართ საერთო უკმაყოფილების შემთხვევაში, მშობლების საჩივრის განხილვას; სკოლაში ჩაცმის წესებს; ბავშვების მიერ ტელეფონების გამოყენების ან შენახვის წესებს, სკოლის გამწვანებისა თუ სხვა ღონისძიებებს და ასე შემდეგ.

მშობელთა ჩართულობის რეალური პრაქტიკა

სკოლის მართვაში მშობლის თანამონაწილეობას კანონი განსაზღვრავს, თუმცა, კონკრეტულ სკოლებსა და მშობლებს თანამშრომლობის საკუთარი ფორმა და პრაქტიკა აქვთ.

მშობლებს სკოლაში მხოლოდ რიგით საკითხებზე აქვთ ხმის უფლება, მაგალითად, სკოლის/კლასის აქტივობების დაგეგმვა, სტუმრების შერჩევა და ასე შემდეგ. მშობლები ვერ ჩაერევიან განათლების პოლიტიკის დაგეგმვასა და წარმართვაში, სახელმძღვანელოების არჩევაში, მასწავლებლების არჩევაში, მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ საკითხებში. თუმცა, სკოლა ვალდებულია, თითოეული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ბავშვებს, დროულად აცნობოს მშობლებს და მოისმინოს მათი აზრი.

სკოლაში ბავშვის დარეგისტრირებისთანავე მშობლები საჩუქრად იღებენ კანონს სკოლის შესახებ – ბროშურას, სადაც მათი უფლება-მოვალეობებია გაწერილი; ასევე – სხვა საჭირო დამატებით ინფორმაციას სკოლიდან, დაბეჭდილი და ელექტრონული სახით.

ზოგიერთი სკოლა, რომელსაც საჭირო რესურსი აქვს, ყოველი წლის ბოლოს საერთო ანგარიშს ამზადებს სკოლის შესახებ და უგზავნის მშობლებს. ანგარიშში აღწერილია განვლილი წლის აქტივობები, გადაწყვეტილებები, ადმინისტრაციული და სკოლის გარე ღონისძიებები.

ჰილდეგარდის დაწყებით სკოლას აქვს ცხრილი, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს მშობლებისა და სკოლის ურთიერთობას. მთლიანი დოკუმენტი რამდენიმე ნაწილისგან შედგება.

1) მშობლების უფლებები:

- მშობლების ინფორმირებულობის უფლება;
- მშობლების ჩართულობის უფლება;
- ცხრილი – ერთ მხარეს მშობლების თანამონაწილეობის უფლებებით, ხოლო მეორე მხარეს აღნიშნულია, რისი უფლება არ აქვთ მათ.

2) მშობლების მოვალეობები, მასწავლებლების მოვალეობები;

3) საერთო საორგანიზაციო საკითხები;

4) დათქმა, რომ პრობლემების განხილვა დაუშვებელია კლასის კართან ან დერეფანში.

ამ დოკუმენტს არცერთი მხარე არ აწერს ხელს, მიუხედავად იმისა, რომ წესებს ორივე მხარე იცავს. მათი დარღვევის შემთხვევაში, საკითხის განხილვა კლასის შეკრებაზე გრძელდება.

ცხადია, გერმანიაშიც არიან პასიური მშობლები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ სკოლის კედლებს შორის პროცესი მათ გარეშე უნდა მიმდინარეობდეს, ან მოუცლელობის გამო თითქმის არ თანამშრომლობენ სკოლასთან. ეს რომ პრობლემაა, ამას არაერთი სტატია ადასტურებს მედიაში.

მშობელთა ინიციატივისა და მოხალისეობის პრაქტიკა

სკოლების დიდ ნაწილში გამოყოფილია „მშობლების ოთახი," რომელიც მუდმივად ღიაა. ეს არ არის მოსაცდელი ოთახი, სადაც მშობლები გაკვეთილების დასრულებას და ბავშვებს ელიან. ეს სივრცე არის მათი აქტივობებისა და შეხვედრების დასაგეგმად, რომელსაც სკოლის ადმინისტრაცია არ ესწრება.

მშობლების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების ურთიერთობა მკაცრად საქმიანი, თუმცა, ამავე დროს მეგობრულია. თუკი მშობელს ინდივიდიალურად სურს მასწავლებელთან საუბარი, წინასწარ, რამდენიმე დღით ან კვირით ადრე, უნდა შეუთანხმდეს პედაგოგს, რათა მან თავისი სამუშაო საათებიდან დრო გამოყოს.

მშობლებთან კომუნიკაცია

სკოლაში მშობელთან ურთიერთობას სკოლის სამდივნო აგვარებს. ყველა წინასწარ დაგეგმილი შეხვედრის შესახებ ბავშვების წარმომადგენლები ინფორმაციას იღებენ ადმინისტრაციისგან. ზოგიერთ სკოლაში საგანგებოდაა გამოყოფილი პოზიცია, რომელიც მშობლების წერილებს ან ზარებს პასუხობს.

კონკრეტული მასწავლებელი (არა მხოლოდ კლასის დამრიგებელი) სემესტრის დაწყებისთანავე აქვეყნებს მისი „შეხვედრის საათებს.“ ეს შეიძლება, იყოს, პირობითად, თვეში ორჯერ, ორშაბათს, 15-17 საათამდე. შეხვედრის საათები დამოკიდებულია მოსწავლეთა ასაკსა და რაოდენობაზე. მშობელი ვალდებული არ არის, წინასწარ გააფრთხილოს მასწავლებელი, მაგრამ როგორც წესი, ისინი წინასწარ ელექტრონულად ატყობინებენ.

თუკი მშობელი მისვლას ვერ ახერხებს, შეუძლია, ტელეფონით ესაუბროს მასწავლებელს.

მშობელი მხოლოდ ბავშვის აკადემიურ მოსწრებაზე, მის შეფასებაზე ან პრობლემებზე სასაუბროდ არ მიდის მასწავლებელთან. ძალიან ხშირად მათ სურთ, ინფორმაცია მიაწოდონ მას შვილის პროგრესის, რაიმე უნარის გაუმჯობესების, ინტერესების გამოკვეთის ან ოჯახური მდგომარეობის შესახებ.

რა ფორმებს იყენებს სკოლა მშობელთან დასაკავშირებლად?

მშობლეთან ურთიერთობის ფორმები განსხვავდება მისი საჭიროებიდან გამომდინარე. თუკი სკოლა ყველა მშობელს აწვდის ინფორმაციას, მაშინ მათ საერთო შინაარსის ელექტრონულ წერილს უგზავნის. თუკი ინფორმაცია ადმინისტრაციისგან უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთი კლასის მშობლებს, ასევე, იგზავნება ელ. წერილები, სმს, ან მშობლებთან ურთიერთობის პასუხისმგებელი პირი (თუკი ასეთი პოზიცია არსებობს სკოლაში) რეკავს მშობლებთან.

თუკი მხოლოდ ერთ მასწავლებელს სურს კონკრეტული ბავშვის მშობელთან საუბარი, ის რეკავს და უთანხმდება ვიზიტის დროზე დამრიგებელთან ერთად.

რა შემთხვევებში უკავშირდება სკოლა/მასწავლებელი მშობლებს?

სკოლა დაუყოვნებლივ უკავშირდება მშობელს, როდესაც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებს, მაგალითად, ცვლის გაკვეთილების დაწყების დროს ან სკოლაში დეზინფექციის გამო საგაკვეთილო პროცესი გარკვეული ხნით წყდება. სხვა შემთხვევაში სკოლა მშობელს წინასწარ დაგეგმილ გრაფიკს აძლევს, რომელზეც ჩანიშნულია სასკოლო შეხვედრები, კონფერენცია ან სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიება.

მასწავლებელი მშობელს ინდივიდუალურად უკავშირდება, თუკი ბავშვს რამე შეემთხვევა; მის აკადემიურ მოსწრებაზე საუბარი სურს; ამჩნევს ჩამორჩენას; მიაჩნია, რომ ბავშვს ფსიქოლოგის დახმარება სჭირდება; ან, როცა იკვეთება ბულინგის ნიშნები.

ვის ევალება სკოლაში მშობლებთან ურთიერთობა?

მშობლებთან ურთიერთობა სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელს ევალება. ზოგიერთ შემთხვევაში, ის მხოლოდ ოჯახებთან კომუნიკაციაზეა პასუხისმგებელი, თუმცა, ეს პოზიცია ყველა სკოლაში არ არის. ასეთ შემთხვევაში, ამ საქმეს ადმინისტრაციის რომელიმე თანამშრომელი ითავსებს.

ამიტომ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე მშობლებთან ურთიერთობენ ან ადმინისტრაციის, სამდივნოს წარმომადგენლები ან მასწავლებლები.

არსებობს თუ არა წინასწარ განსაზღვრული კომუნიკაციის გეგმა, რომელიც მშობელმა წლის დასაწყისიდან იცის?

ყველა სკოლას აქვს წინასწარ შედგენილი კომუნიკაციის გეგმა და თარიღები. როგორც წესი, გერმანიისთვის დამახასიათებელია მთე-

ლი წლის მნიშვნელოვანი თარიღების წინასწარ განსაზღვრა. შესაბამისად, მშობლები ამ კალენდარულ გეგმას წინასწარ იღებენ. ეს ეხება არა მხოლოდ კომუნიკაციას, არამედ რაიმე ცვლილებებს. პირობითად, თუკი რომელიმე კლასი იცვლის ოთახს 1 დეკემბერს, ან ბავშვების რაიმე ღონისძიება უნდა ჩატარდეს 1 თებერვალს, ან 1 მარტს დაგეგმილია გამწვანება. აბსოლუტურად ყველა თარიღი, რომელიც სკოლას უკავშირდება, წინასწარაა შეთანხმებული.

ზუსტად ასეთივე პრინციპით იღებს კალენდარულ გეგმას თითოეული კლასიც.

ხომ არ აქვს მშობელს არჩევანის შესაძლებლობა, როდის შეუძლია მასწავლებელთან შეხვედრა ან სხვა ფორმით კომუნიკაცია?

თუკი მშობელი ვერ ახერხებს მასწავლებლის პირადად ნახვას, კომუნიკაციისთვის გამოყოფილ დროს მას შეუძლია დარეკვა და წერილობითი კომუნიკაცია.

ტარდება თუ არა ღია გაკვეთილები მშობლებისთვის და როგორი სახე აქვს მას? ეს ბუნებრივი პროცესია თუ ამ დღისათვის საგანგებოდ ემზადებიან?

სკოლის ნებართვით, მშობელს უფლება აქვს რომელიმე გაკვეთილში მონაწილეობა მიიღოს და ასისტენტობა გაუწიოს მასწავლებელს. ეს ხდება იშვიათად და წინასწარ ძალიან კარგად შეთანხმებული სამუშაო გეგმით. ასისტენტობა შეიძლება, იყოს შინაარსის გაზიარება ან მხოლოდ ფურცლების დარიგებაც კი.

როგორი მზაობა და რეაქცია აქვს სკოლას მშობლის შენიშვნებზე, კრიტიკული აზრის გათვალისწინებაზე?

კანონი სკოლებს მშობლებთან თანამშომლობას ავალდებულებს, რაც ნიშნავს, რომ სკოლა ვალდებულია და მზადაა, მოუსმინოს კრიტიკულ აზრსაც.

ადგენს თუ არა/როგორ ადგენს სკოლა მოსწავლის ოჯახის სპეციფიურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და როგორ რეაგირებს მათზე?

ყველა სკოლას აქვს ოჯახის სპეციფიური საჭიროებების შესახებ ინფორმაცია – მშობელი ვალდებულია, თავად მიაწოდოს სკოლას ეს ინფორმაცია. გერმანიაში სკოლებს საკმაოდ დიდი გამოცდილება დაუგროვდათ მას შემდეგ, რაც ლტოლვილების ნაკადის მიღება დაიწყეს და სკოლებში ლტოლვილი ბავშვებისთვის სხვადასხვა პროექტი შეიქმნა. მათი ინტეგრაციისთვის, განათლებისთვის და სხვა შესაძლებლობებისთვის სკოლების ადმინისტრაციას ინფორმაცია აქვთ ოჯახებისგან ან შესაბამისი საჯარო უწყებებისგან.

კომუნიკაციის ეთიკის/ეტიკეტის რა ნორმებია მიღებული სკოლისა და მშობლის მხრიდან?

თავაზიანობა, თქვენობით საუბარი, ბოდიშის მოხდა, მადლობის გადახდა, მადლობის წერილი – სკოლის ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია.

როგორ ხდება სასკოლო კონფლიქტის გადაჭრა?

პატარა/უმნიშვნელო კონფლიქტის დროს ორივე მხარე, მასწავლებელი/ადმინისტრაციის თანამშრომელი და მშობელი, ვალდებულია, პირდაპირი კომუნიკაციით გადაჭრან ეს პრობლემა და არ გახდეს ის საყოველთაო მსჯელობის საგანი.

თუ კონფლიქტი ამით არ ამოიწურა, პრობლემა სხვებთან ერთად განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კონფლიქტი ბავშვის ინტერესებს აზიანებს ან მისი გადაჭრა ავტომატურად გააუმჯობესებს სკოლაში რაიმე ადმინისტრაციულ თუ შინაარსობრივ საკითხს.

სხვებთან ერთად განხილვა კლასის წარმომადგენელი მშობლებისა და ადმინისტრაციის დასწრებას გულისხმობს, როდესაც ორივე მხარე თავაზიანად, ტაქტიანად გამოხატავს საკუთარ პოზიციას. ამ შემთხვევაში მოდერატორის ფუნქცია აქვთ დამსწრეებს, რომლებმაც მხარეები შეთანხმებამდე უნდა მიიყვანონ.

თუმცა, კონფლიქტების მართვა დამოკიდებულია მის სიმძიმეზე და რადგან მოზარდები არიან ჩართული, მიიჩნევა, რომ ისინი შეთანხმებას შეძლებენ.

მოსწავლეთა შორის კონფლიქტის შემთხვევაში, თითქმის ყველა სკოლაში დაუწერელი წესია, რომ ეს მოსწავლეები საერთო პროექტზე დასაქმდნენ და გარკვეული ხნის განმავლობაში აკეთონ საერთო საქმე, მაგალითად, ორგანიზება გაუწიონ ექსკურსიას და გამოიკითხონ სხვა ბავშვების აზრი, დაეხმარონ სპეციალურ მასწავლებლებს სსსმ ბავშვებთან მუშაობაში, ნამცხვარი გამოაცხონ კლასის საღამოსთვის, თუ ეს დღე დაემთხვევა ამ ამბავს და ასე შემდეგ. ამ ღონისძიებას სასჯელის ფორმა არ აქვს, ის ბავშვებს უხსნის, რომ ერთად გატარებული დრო ერთმანეთის უკეთ გაცნობაში დაეხმარებათ და თან სასარგებლო საქმესაც გააკეთებენ.

ცხადია, ბავშვებს შორის კონფლიქტების შესახებ სკოლა დაუყონებლივ აცნობებს მშობლებს და მათთან ათანხმებს თანმდევ ღონისძიებებს.

წყაროები:

- Schulgesetz für das Land Berlin
- https://www.schulgesetz-berlin.de/berlin/schulgesetz.php
- file:///C:/Users/mike/Downloads/web_leitfaden_elternvertreter.pdf
- https://berliner-elternvideos.de/
- https://www.berlin.de/familie/de/informationen/mitbestimmung-von-eltern-in-der-schule-309
- https://st.hildegard-grundschule.de/1/cms/upload/Elternrechte-.pdf
- https://www.youtube.com/watch?v=M6bJ4wJ546Q&feature=emb_title
- https://st.hildegard-grundschule.de/
- https://www.tagesspiegel.de/wissen/eltern-lehrer-beziehung-wie-die-schule-ein-ort-des-miteinanders-wird/8047024.html
- https://deutsches-schulportal.de/bildungswesen/gruendlich-aufraeumen-bitte/
- file:///C:/Users/mike/Downloads/120501_Kommunikationskonzept_definitiv.pdf

მშობელთა ჩართულობა ესტონეთის სკოლებში

მშობლების ფორმალური უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობა

ესტონეთის საგანმანათლებლო კანონმდებლობა როგორც ქვეყნის, ასევე, რეგიონისა და სკოლის დონეზე განსაზღვრავს სკოლისა და მშობელთა (კანონიერ წარმომადგენელთა) როლს, პასუხისმგებლობებს და ორივე მხარეს შორის აქტიურ კომუნიკაციას. „კანონი საბაზო და საშუალო სკოლების შესახებ“ მშობელთა უფლება-მოვალეობებს არეგულირებს.

სკოლა მოვალეა, ხარისხიანი ზოგადი განათლება მიაწოდოს ყველას, განურჩევლად მათი სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობისა, ეროვნების, გენდერის, საცხოვრებელი ადგილისა თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა. საზოგადოების მოლოდინები ეროვნულ სასწავლო გეგმაშია ასახული, რომლის საფუძველზეც სკოლა თავის აქტივობებს წარმართავს; ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, ასევე, ყურად იღებს მოსწავლეთა და მშობელთა შემოთავაზებებს საცხოვრებელი რეგიონის თავისებურებებთან ერთად.

ამავე კანონის მე-11 მუხლი მშობელთა მოვალეობებს განსაზღვრავს, რომელიც სკოლაში დასწრებას ეხება: 1) მშობელმა სახლსა და სკოლაში უნდა შექმნას სწავლის პროცესში მონაწილეობისთვის აუცილებელი წინაპირობები; 2) მიაწოდოს სკოლას თავისი საკონტაქტო დეტალები და ამასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების შესახებ შეატყობინოს; 3) წაიკითხოს სასკოლო ცხოვრების მარეგულირებელი დოკუმენტაცია; 4) ითანამშრომლოს სკოლასთან მოცემული კანონისა და ზოგადი კანონმდებლობის მიხედვით; 5) გაატაროს სკოლისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის/საცხოვრებელი ქალაქის თვითმმართველობის მიერ შემოთავაზებული ზომები; 6) მიმართოს საკონსულტაციო საბჭოს სკოლის შემოთავაზების საფუძველზე; 7) საჭიროების მიხედვით, მოითხოვოს სკოლისგან და

ადგილობრივი მუნიციპალიტეტის/საცხოვრებელი ქალაქის თვითმმართველობისგან შესაბამისი ზომების გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეს, დაესწროს სკოლის გაკვეთილებს.

თუკი მშობელი ამ მოვალეობებს ვერ შეასრულებს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის/საცხოვრებელი ქალაქის თვითმმართველობას შეუძლია, ბავშვის უფლებების დასაცავად მიიღოს საჭირო ზომები. მუნიციპალიტეტს ან ქალაქს უფლება აქვს: 1) შეიტყოს, რატომ ვერ ახერხებს მოსწავლე სკოლაში დასწრებას; 2) როცა შესაძლებელია, მოაწყოს ტრენინგები იმ მშობლებისთვის, რომელთა შვილებიც ვერ ასრულებენ სწავლისათვის დაკისრებულ მოვალეობებს; 3) არასრულწლოვანთა სანქციების აქტის თანახმად, მიმართოს შესაბამის კომიტეტს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი შემთხვევების განსახილველად.

სწავლის მიზნით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის გამო მშობელი შეიძლება, დაჯარიმდეს 200 ევროს ოდენობით, თუკი მისი შვილი არც ერთ სკოლაში არ აღირიცხება ან გაკვეთილების 20%-ზე მეტი უმიზეზოდ გააცდინა 10 კვირის განმავლობაში. ჯარიმა შეიძლება, შეიცვალოს მშობლის თანხმობის საფუძველზე, საზოგადოებრივი შრომით, საგანმანათლებლო ტრენინგით ან ბავშვთან ერთად ერთობლივი აქტივობით.

სკოლაში მოსწავლეთა მიღება

მშობელს უფლება აქვს აირჩიოს ნებისმიერი სკოლა ბავშვის ჩასარიცხად, თუკი სასურველ სკოლას თავისუფალი ადგილები აქვს მისაღებად.

გაცდენა

გაკვეთილის გაცდენის პირველივე დღესვე მშობელმა უნდა შეატყობინოს სკოლას ამის შესახებ, მიზეზებთან ერთად. თუკი ინფორმირება არ მოხდა, სკოლამ უნდა შეატყობინოს მშობელს არა უგვიანეს

მეორე დღისა. მშობელმა უნდა აცნობოს სკოლას გაცდენის ხანგრძლივობაც. თუკი სკოლის თანამშრომელს გონივრული ეჭვი გაუჩნდა, რომ მცდარი ინფორმაცია მიაწოდეს მოსწავლის არყოფნის შესახებ, სკოლას უფლება აქვს, მოითხოვოს დამატებითი ახსნა-განმარტება მშობლისგან ან მიმართოს მუნიციპალიტეტს/ქალაქის მთავრობას და მათ დაადგინონ გაცდენის რეალური მიზეზები.

მოსწავლეები და მშობლები

მოსწავლეებსა და მათ მშობლებს უფლება აქვთ მიიღონ ინფორმაცია და ახსნა-განმარტება სკოლის მიერ სწავლის ორგანიზებასა და მოსწავლეთა უფლება-მოვალეობებზე. სკოლას მოეთხოვება მშობელს მიაწოდოს ბავშვის სწავლასთან დაკავშირებული, მათ ხელთ არსებული ინფორმაცია, მათ შორის, გაკვეთილების განრიგი, ნიშნები (ელექტრონული, წერილობითი ფორმით).

მშობელთა კრება

სკოლასა და მშობლებს შორის თანამშრომლობის გასაღრმავებლად სკოლის დირექტორს შეუძლია, მოიწვიოს მშობელთა კრება. ამით ყველა მშობელს ეძლევა შესაძლებლობა, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ მაინც დაესწროს შეხვედრას.

სკოლის წესდება სკოლის სახელთან, ადგილმდებარეობასთან, მართვისა და ადმინისტრაციის სხვა კომპონენტებთან ერთად, მოსწავლეთა და მშობელთა უფლება-მოვალეობებს მოიცავს.

საგანმანათლებლო საბჭო

მისი ფუნქციაა მოსწავლეთა, მასწავლებელთა, სკოლის მფლობელის, მოსწავლეთა მშობლების, სკოლადამთავრებულებისა და სკოლის მხარდამჭერი ორგანიზაციების ერთობლივი ღონისძიებების ხელშეწყობა. ნებისმიერ მოსწავლესა და მშობელს უფლება

აქვს, მიმართოს სამეურვეო საბჭოს სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების განსახილველად.

მშობლებისა და სკოლის ზოგიერთი უფლება-მოვალეობების საილუსტრაციოდ, ესტონეთის ერთ-ერთი ქალაქის, კურესაარეს გიმნაზიის წესდებიდან ნაწყვეტები აჩვენებს, რომ მოსწავლის მშობელი სკოლის დღის წესრიგის შესახებ ინფორმაციას ვებ-გვერდის მეშვეობით იღებს; გაკვეთილზე არდასწრების შემთხვევაში, მშობელი იმავე დღეს აცნობებს მასწავლებელს ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით ან სხვა ფორმით; მოსწავლე ვალდებულია, მოუფრთხილდეს სკოლის ქონებას, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მშობელი აანაზღაურებს ზიანს.

მშობელთა ჩართულობის რეალური პრაქტიკა

მშობელი სკოლის მართვაში სამეურვეო საბჭოს მეშვეობით მონაწილეობს, რომელსაც სხვადასხვა მოვალეობა აკისრია, მათ შორის: რეკომენდაციები მისცეს სკოლის მფლობელს, რათა უკეთესად წარმართოს სკოლასთან დაკავშირებული საქმეები; გასცეს უკუკავშირი ბიუჯეტსა და სკოლის სასწავლო გეგმაზე. საბჭო სკოლის განვითარების გეგმის მომზადების პროცესშიც მონაწილეობს.

საარემას გიმნაზიის სამეურვეო საბჭოს წევრები თვეში ერთხელ ან ორ თვეში ერთხელ ხვდებიან ერთმანეთს, წამოჭრილ პრობლემებზე ღიად საუბრობენ და ცდილობენ, გამოსავალი სკოლის დირექტორთან ერთად იპოვონ.

კურესაარეს გიმნაზიის შემთხვევაში, სკოლის სამეურვეო საბჭო წელიწადში ოთხჯერ მართავს შეხვედრას ყველა კლასში, რომლის მოსაწვევს მშობლებს წინასწარ უგზავნიან. შეხვედრას აუცილებლად ესწრებიან საბჭოს წევრი მშობლები, დანარჩენებისთვის დასწრება ნებაყოფლობითია. შეხვედრაზე განიხილავენ სასკოლო საკითხებს, სვამენ შეკითხვებს და კენჭისყრა ხდება ხმის მიცემით რომელიმე წინადადებისთვის. საბჭო სკოლის ვებსაიტის გვერდზე (https://www.oesel.ee/kg/?s=66) შეხვედრის წერილობით ჩანაწერებს ტვირთავს.

მაგალითად, ერთ-ერთ შეხვედრაზე სამეურვეო საბჭოს წევრებმა განიხილეს, როგორ წარმოუდგენიათ სკოლა ორი წლის შემდგომ, რას შეცვლიდნენ და რას დატოვებდნენ. მშობლები სამუშაო ჯგუფებად დაიყვნენ და ერთობლივად მუშაობდნენ იდეებზე.

სკოლაში არსებული პროცესების შესახებ უკუკავშირისა და ნებისმიერ სახის კომენტარის მისაღებად სამეურვეო საბჭო ანონიმურ კითხვარებს აგზავნის ნოემბრის თვეში Google Forms-ის მეშვეობით მშობელთა პერსონალურ ელ. ფოსტაზე. კითხვარის თემები დროდადრო იცვლება, ეხება ცხრილს, კვებას, სასწავლო გარემოს, ინფრასტრუქტურას, ბულინგის თემატიკას, და ასე შემდეგ. კითხვარი 10-მდე ღია ტიპის შეკითხვას მოიცავს. ყოველ გაზაფხულზე სამეურვეო საბჭო მოსწავლეებს უგზავნის კითხვარს, რათა გაარკვიონ რამდენად კმაყოფილები არიან სწავლით, მასწავლებლებით. პედაგოგები პირადად იღებენ უკუკავშირს. კითხვარებით მიღებული ინფორმაცია სკოლის დირექტორთან განიხილება. იმ შემთხვევაში, თუკი კითხვარში რომელიმე საკითხზე უარყოფითი უკუკავშირია, ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიეწოდება დირექტორს და სამეურვეო საბჭო გადამოწმებას სთხოვს. უკუკავშირის შედეგები სკოლის გაზეთშიც იბეჭდება, მას აზიარებენ სკოლის ფეისბუქ გვერდზე, ვებსაიტსა და მშობელთა პერსონალურ მეილებზე.

სკოლის მართვის პროცესში ესტონეთში ამჟამინდელი ბერკეტი სამეურვეო საბჭოა. მნიშვნელოვანია ის, რომ საბჭოს წარმომადგენლები არიან როგორც სკოლის მფლობელი, ამ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი, ასევე, დირექტორი, პედაგოგები, მშობლები (ყოველი კლასიდან თითოეული მშობელი მაინც), მოსწავლეები, სკოლადამთავრებულები და ის ორგანიზაციები, რომლებიც სკოლას ეხმარებიან. ამასთანავე, სკოლის სამეურვეო საბჭოს წარმომადგენლების ნახევარზე მეტი მშობელია და სკოლა მათ ცოდნასა და კომპეტენციას იყენებს.

კურესაარეს გიმნაზიის მაგალითი აჩვენებს, რომ სამეურვეო საბჭოს შეხვედრებში ყველა მშობელს შეუძლია მონაწილეობა და თავისი მოსაზრების დაფიქსირება მიმდინარე საკითხებზე. მათ შეუძლიათ, იპოვონ საკუთარი როლი და ინტერესის მიხედვით აირჩიონ საქ-

მიანობა, რომელშიც ჩაერთვებიან. საბჭოს წევრები მოხალისეობრივად ადგენენ ყოველ ჯერზე ახალ კითხვარებს, აგროვებენ და ამუშავებენ სკოლის მართვისთვის აუცილებელ ინფორმაციას და ამისათვის ნოემბრის თვეს ირჩევენ, რათა მომდევნო სემესტრის განმავლობაში ცვლილებების გატარება მოასწრონ. დირექტორი სრულ ნდობას უცხადებს საბჭოს, უსმენს პედაგოგებსა და მშობლებს, არ ეშინია ექსპერიმენტების და მუდმივად ცდილობს სკოლის სისტემის გაუმჯობესებას.

მშობელთა ინიციატივისა და მოხალისეობის პრაქტიკა

სკოლის მასწავლებლები (ზოგჯერ დირექტორიც) ურეკავენ, ესაუბრებიან მოსწავლეთა მშობლებს. საუბრისას გამოხატავენ პატივისცემას და ცდილობენ, წაახალისონ სკოლის აქტივობებში ჩართულობისკენ, ცხადია, ძალდატანების გარეშე.

მშობელთა მხრიდან ინიციატივების გამოჩენასა და მოხალისეობას ხელს ნდობის ფაქტორიც უწყობს: გამორჩეული სკოლების დირექტორები ცდილობენ, მყარი, ნდობით სავსე ურთიერთობა ჰქონდეთ მოსწავლეთა მშობლებთან. ისინი ახერხებენ დელეგირებასა და მშობელთათვის გადაწყვეტილების მიღების ბერკეტის მიცემას. ეს დირექტორები და პედაგოგები მზად არიან, წინადადებები მიიღონ მშობლებისგან, პირდაპირ აცხადებენ ღიაობას და დაინტერესებას სხვათა მოსაზრებებისადმი, ითვალისწინებენ მშობელთა აზრებს და ეს ყველაფერი ქმედებებში გამოიხატება.

მშობელთა ინიციატივებსა და მოხალისეობას ერაზმუს +_ის პროგრამებიც უწყობს ხელს. ერთ-ერთი მათგანია სკოლის სამეურვეო საბჭოების გაძლიერების პროგრამა.

ზოგიერთ სკოლაში გავრცელებული პრაქტიკაა მშობლების ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც ისინი მასწავლებელთა ნაცვლად ატარებენ გაკვეთილებს: მოსწავლეებს ესაუბრებიან თავიანთ პროფესიაზე, თუ რა სფერო და რატომ აირჩიეს და თავიანთ სამუშაო სივრცეებში იწვევენ.

ესტონეთის რეგიონული სკოლები უფრო გამოირჩევა მშობელთა აქტიურობით. მათ მიერ ინიცირებული ცვლილებები ხშირად სკოლის შენობას ეხება.

მშობელთა ინიციატივებისა და მოხალისეობის მაგალითები სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან:

- ერთ-ერთ სკოლაში მშობელთა ინიციატივით სკოლის სასაწყობე ოთახი აღიწერა. გადაახარისხეს მასში არსებული ნივთები და შემდგომ გადაამუშავეს. მშობლებთან ერთად მოსწავლეებმაც მიიღეს ოთახის დანიშნულების გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობა და სხვადასხვა მოსაზრების წარდგენის შემდგომ, ყოფილი საწყობი ხელოვნების ოთახად აქციეს. თავდაპირველად მათ დაფინანსება მუნიციპალიტეტს სთხოვეს, თუმცა, ვერ მიიღეს. მშობელთა ნაწილი, ამავე დროს, მეწარმეც იყო და მათ თავიანთი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლით გარკვეული თანხა მოაგროვეს, მუნიციპალიტეტს კვლავ სთხოვეს თანადაფინანსება და ერთობლივი ძალებით სკოლაში ხელოვნების ოთახი შეიქმნა.
- სკოლის ბუფეტის გასაუმჯობესებლად მშობელთა სამუშაო ჯგუფებმა ჯანსაღ კვებასთან დაკავშირებული კითხვარი შეადგინეს და შედეგების მიხედვით ბუფეტის მენიუ შეცვალეს.
- მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით მშობლებმა პედაგოგთა ნაცვლად ჩაატარეს გაკვეთილები I-IV კლასისთვის.
- სკოლის ეზოსა და ბაღის მოსაწესრიგებლად მშობლები, მოსწავლეები და მასწავლებლები შეიკრიბნენ.
- მშობლებმა, რომლებიც არასამეწარმეო ორგანიზაციის წევრები არიან, დაწერეს პროექტი, მოაწყვეს სალაშქრო ბილიკი ბავშვებისთვის, გააკეთეს საბავშვო მოედანი და ორგანიზება გაუწიეს სხვა სკოლაში ვიზიტს, ერთმანეთის გამოცდილების გაცვლის მიზნით.

გარდა ამისა, ზოგიერთ სკოლაში გავრცელებული პრაქტიკაა:

- მშობლები პედაგოგებთან და მოსწავლეებთან ერთად აწყობენ თეატრალურ სანახაობებს, სპორტულ და ინტელექტუალურ შე-

ჯიბრებებს; სკოლის ეზოში ზამთრის ბაზარს, სადაც ნივთების გაცვლა და ყიდვა-გაყიდვა შეუძლიათ.

- მშობლები სკოლებში ვიზიტისას მოსწავლეებს უყვებიან სამოტივაციო ისტორიებს და თავიანთ პროფესიაზე ესაუბრებიან, თუ რა სფერო აირჩიეს და რატომ; ბავშვები თავიანთ სამსახურებში მიჰყავთ.
- მშობლები ორგანიზებას უწვევენ სასკოლო წვეულებებს.
- პედაგოგებთან ერთად მშობლები ჩართულები არიან საგანმანათლებლო პროექტებში, ფანდრაიზინგში, ექსკურსიებში, პიკნიკების მოწყობაში, სკოლის სამზარეულოში საერთო სადილების მოწყობაში.

მშობელთა ინიციატივების ზრდას ხელს უწყობს დირექტორისა და მასწავლებელთა დაინტერესება, რომ მშობლები სკოლის მართვის პროცესებში მონაწილეობდნენ. ამ პროცესზე მოქმედი ფაქტორებია: დირექტორის მხრიდან გამოცხადებული ნდობა, თანამშრომლობითი ურთიერთობის გამყარება მშობლებთან, არანაირი ძალდატანება და წნეხი, მშობლების მზაობა, რეალურად გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების შესაძლებლობა.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების სია შეიძლება, გაერთიანდეს გაზიარებული ლიდერობის (Shared Leadership) კონცეფციაში, რომლის მეშვეობითაც ყალიბდება ინკლუზიური სასკოლო გარემო და ხელი ეწყობა პოზიტიური სასკოლო კლიმატის ჩამოყალიბებას. ეს სტრატეგია განსხვავდება სკოლის ტრადიციული მართვის პრინციპისგან, სადაც დირექტორი ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებებს და უკუკავშირს, რჩევას ან სკოლის საზოგადოების წევრებისგან რაიმე სახის ჩართულობას არ მოელის. გაზიარებული ლიდერობა გულისხმობს კომუნიკაციას, ურთიერთშეთანხმებებს სკოლის დირექტორს, მასწავლებლებს, სკოლის ადმინისტრაციას, მშობლებსა და მოსწავლეებს შორის და პასუხისმგებლობის განაწილებას მათი ფუნქციებისა და ცოდნის დონის მიხედვით (NEPC, 2018).

მშობლებთან კომუნიკაცია

ესტონური სკოლები, მეტწილად, ორ ვებ-აპლიკაციას იყენებენ, ესენია: eKool და Stuudium. ამ ინოვაციური ტექნოლოგიების მეშვეობით მშობლები, პედაგოგები და მოსწავლეები ერთმანეთთან თანამშრომლობენ და სწავლა-სწავლებისთვის აუცილებელი ინფორმაციას აორგანიზებენ. ამ აპლიკაციებით მასწავლებელი მშობლებს უგზავნის შეტყობინებებს, რაც მათი შვილების განათლებას ეხება: საშინაო დავალებები, ნიშნები, მოსწავლის ყოფაქცევა, მასწავლებელთა ჩანაწერები და რაც მთავარია, ამგვარად მშობლებს პირდაპირი კავშირი აქვთ პედაგოგებთან. (ekool)

სკოლა უკავშირდება მშობელს, როდესაც საკითხი ეხება სწავლას, ყოფაქცევას, პროექტში ჩართულობას, რაიმე ღონისძიების მოწყობას, საახალწლო-საშობაო საჩუქრებს, ექსკურსიებს. ყოველ გაზაფხულზე სკოლები მართავენ მოსწავლეთა კონცერტებს, რომლებსაც მშობლები აუცილებლად ესწრებიან და ზოგჯერ მონაწილეობენ კიდეც. გარდა ამისა, მასწავლებელი ეკონტაქტება მშობლებს, როდესაც პროექტებში იღებენ მონაწილეობას.

წელიწადში ორჯერ დირექტორი, მოადგილე, ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლები და პედაგოგები ყველა მშობელს ხვდებიან. პირველ შეხვედრაზე ეცნობიან მთელი წლის გეგმას, მეორე შეხვედრაზე კი – როგორ მიმდინარეობს სასკოლო აქტივობები. აწვდიან ყველა საჭირო ინფორმაციას, განიხილავენ პრობლემებს. დამრიგებლები ცალკე ხვდებიან მშობლებს. პირველკლასელების შემთხვევაში კი ეს შეხვედრები აგვისტოს თვეში იმართება.

მაგალითად, საარემას გიმნაზიაში სკოლის დირექციის წარმომადგენლები ყოველთვის ხვდებიან I-III კლასის, შემდგომ IV-VII, VIII-IX და X-XIII კლასების მოსწავლეთა მშობლებს. საინფორმაციო სესიებზე მშობლებს სკოლის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ყველა თემას აცნობენ.

მშობლებს ყოველთვის შეუძლიათ, მისწერონ პედაგოგებს, მივიდნენ სკოლაში. შეხვედრებზე საუბრობენ ბავშვის განვითარებაზე, როგორ მიმდინარეობს სწავლა, რა მოსწონთ და არ მოსწონთ მოსწავლეებს. შეხვედრებს მოსწავლეებიც ესწრებიან.

მშობლებს, მასწავლებლებთან შეთანხმებით, ნებისმიერ დროს შეუძლიათ სკოლაში შესვლა, ასევე, ნებადართულია დაესწრონ გაკვეთილებს და თავადაც მიიღონ მონაწილეობა.

ზოგიერთ სკოლაში არის წინასწარ განსაზღვრული კომუნიკაციის გეგმა. სკოლების ნაწილში მოსწავლეთა უნარების განვითარებასთან დაკავშირებული შეხვედრები წელიწადში ორჯერ იმართება, ზოგან – ოთხჯერ.

სკოლის ბიუჯეტში ყოველთვის არის სემინარებისა და ტრენინგებისთვის გამოყოფილი თანხა, სკოლის/მშობლების მოწვევით ესტონელ მშობელთა ასოციაციაც ატარებს ტრენინგებს ისეთ თემებზე, როგორიცაა მშობელს, ბავშვსა და სკოლას შორის ურთიერთობება, მოსწავლეთა სამომავლო მიზნები და სხვ. რიგ შემთხვევებში სემინარის თანხას მუნიციპალიტეტი ფარავს, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში – თავად მშობლები. მაგალითად, საარემას გიმნაზიაში სკოლა ორგანიზებას უწევს ლექციებს, რომელიც ეხება ბავშვის ზრდა-განვითარებას, სკოლაში მიმდინარე პროცესებს, პირველკლასელთა მშობლების მომზადებას; სკოლის ვებსაიტზეც განთავსებულია მრავალი, უფასო რესურსი (https://www.syg.edu.ee/uus/syg/).

როდესაც სკოლას უწევს, უარყოფითი ხასიათის ინფორმაცია მიაწოდოს მშობელს ბავშვის შესახებ, ცდილობენ არ ისაუბრონ სასჯელზე, არამედ ჩართონ მხარდაჭერის კათედრა (აქ მუშაობენ ლოგოპედები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, შემცვლელი მასწავლებლები, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები და სხვ.). ეს კათედრა უზრუნველყოფს მოსწავლეთა პრობლემების იდენტიფიკაციას. პირველ რიგში, ბავშვს ესაუბრებიან, ხოლო შემდეგ წერენ მშობელს Stuudium-ში ან ურეკავენ.

მიღებულია კომუნიკაციის თავაზიანი და ზრდილობიანი ფორმა, გამოიყენებენ ფრაზებს „ბოდიშს გიხდით“, „თუ არ ვცდები“, „რა შემიძლია, გავაკეთო“, „რისი გაკეთება შეგვიძლია ერთად“.

სკოლის ცხოვრების პირველივე ეტაპებს მშობლები გენერალურ და კლასის შეხვედრებზე ეცნობიან, შემდგომი კომუნიკაციაც მუდმივად ორგანიზებულ ხასიათს ატარებს. კვლევა „მასწავლებელსა და მშობელს შორის არსებული კომუნიკაციის ციფრული არხები – ესტონეთის მაგალითი“(პალცი & კალმუსი, 2015) აჩვენებს, რომ ესტონელი მასწავლებლების ციფრული კომპტენეციები ერთ-ერთ ყველაზე მაღალ საფეხურზეა ევროპულ კონტექსტში, მშობლებთან საკომუნიკაციოდ იყენებენ eKool-ს, იმეილს, მობილურს (შეტყობინება, ზარი). eKool-ის მიმართ მეტწილად დადებითი დამოკიდებულებაა. მშობლები აღნიშნავენ, რომ აპლიკაციაში ეცნობიან სასწავლო მასალებს და ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება გამოსადეგი, როდესაც ბავშვს გაკვეთილის გაცდენა უწევს. გარდა ამისა, eKool-ით თვალყურს ადევნებენ მოსწავლის აკადემიურ პროგრესს და მშობლები შვილებთან განიხილავენ სკოლასთან დაკავშირებულ საკითხებს. მასწავლებელსა და მშობელს შორის დიალოგს იმეილი უწყობს ხელს, მაგალითად, პედაგოგი აცნობს მშობელს, თუ რა აქტივობებით იყო დაკავებული ბავშვი სკოლაში, ხოლო მშობელი წერს ბავშვის საქმიანობაზე სკოლის მიღმა.

სკოლასა და მოსწავლის ოჯახს შორის კომუნიკაცია, მათ შორის ციფრული გზით, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის სოციალიზაციასა და აკადემიურ წარმატებაზე (პალცი & კალმუსი, 2015). კომუნიკაცია, უმთავრესად, დამრიგებლის, მასწავლებლის და ზოგჯერ დირექტორის მხრიდან ხდება. გამოიყენება ელექტრონული დღიური, იმეილები, ზოგიერთი პედაგოგი ურეკავს მშობლებს, ზოგს კი წერილობითი კომუნიკაცია ურჩევნია. მშობელს ყოველთვის აქვს შესაძლებლობა, აირჩიოს შეხვედრის დრო და კომუნიკაციის ქსელი. ეს ურთიერთშეთანხმებაზეა დამოკიდებული. სასწავლო დაწესებულებები მზად არიან უკუკავშირის მისაღებად და შესაბამისი ცვლილებების გასატარებლად. სკოლები ზრუნავენ მშობელთა ცნობიერების ამაღლებაზე, მოსწავლის საჭიროების დადგენა მათი უმთავრესი ამოცანაა.

აღსანიშნავია, რომ მშობლის ურთიერთობა სკოლასთან სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პრედიქტორია ბავშვის კეთილდღეობისთვის როგორც უმცროსი, ასევე უფროსი ასაკის მოსწავლეებისთვისაც, რადგან მათთვის აუცილებელია მშობლის მხრიდან დახმარება და ჩართულობა შვილების სასწავლო ცხოვრებაში; მშობლის ჩართულობაში კი იგულისხმება სკოლასთან კომუნიკაცია და ვიზიტები სკოლაში (რატნიკი & რუუტელი, 2017).

წყაროები:

- https://www.riigiteataja.ee/en/eli/ee/530102013042/consolide
- https://www.oesel.ee/kg/bin/kodukord_2020.pdf
- https://www.oecd-ilibrary.org/docserver/9789264251731-8-en.pdf?expires=1603570186&id=id&accname=guest&checksum=F43935910D4900A026ECB24A59E3FEA0
- http://www.praxis.ee/wp-content/uploads/2018/05/Bravedu_analytical_report.pdf
- https://e-estonia.com/solutions/education/e-school/
- https://files.eric.ed.gov/fulltext/EJ1086652.pdf
- ინტერვიუერი:
  - აივარ ჰალერი, ესტონელ მშობელთა ასოციაციის თავმჯდომარე, ევროპელ მშობელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი
  - ანტონ ტერასი, საარემას გიმნაზიის სამეურვეო საბჭოს წევრი
  - კერსტი კალდმაე, ჰარიუმას რეგიონის მასწავლებელთა პროფკავშირის თავმჯდომარე
  - მარის რებელი, კურესაარეს გიმნაზიის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე
  - კრისტი საარი, პიჰტლას სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრი

თავი VII. კითხვარები მშობელთა ჩართულობის გასაუმჯობესებლად

ზოგიერთი კითხვარის წყარო http://kargiskola.ge/parent/pdf/PE_GUIDE_2015.pdf

კითხვარი პირველკლასელთა მშობლებისთვის

მშობელი ის ადამიანია, ვინც უამრავ ინფორმაციას ფლობს მოსწავლის შესახებ. სწორედ ამიტომ, სასურველია, მასთან საქმიანი ურთიერთობა პედაგოგმა საჭირო ინფორმაციის მოძიებით დაიწყოს. კითხვარი, ერთი მხრივ, მასწავლებელს დაეხმარება მოსწავლის საჭიროებების, მოლოდინებისა და სურვილების დადგენაში; მეორე მხრივ, მშობელს მიაწვდის ინფორმაციას, რომ პედაგოგი მის შვილთან ინდივიდუალურად თანამშრომლობს.

ბავშვის სახელი და გვარი

რა სახელით მიმართავთ მოფერებით?

რა არის მისი საყვარელი სათამაშო?

ვინ არის მისი საყვარელი მულტფილმის გმირი?

თამაშობს თუ არა კომპიუტერულ თამაშებს?
ა) დიახ ბ) არა

რომელია მისი საყვარელი კომპიუტერული თამაში?

როგორია მისი სწავლის მოტივაცია? როგორი მოლოდინი აქვს სკოლისგან?

დადიოდა თუ არა საბავშო ბაღში?
ა) დიახ ბ) ხშირად ავადობდა, თითქმის არ უვლია გ) არ უვლია

გავლილი აქვს თუ არა სასკოლო მზაობის პროგრამა?
ა) დიახ ბ) არა

იცის კითხვა?
ა) დიახ ბ) არა გ) იცის რამდენიმე ასო

იცის წერა?
ა) დიახ ბ) არა

იცის ანგარიში?
ა) არ იცის
ბ) დიახ, იცის 10-ის ფარგლებში
გ) იცის 20-ის ფარგლებში
დ) იცის 100-ის ფარგლებში)

ხომ არ აქვს ბავშვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება?
ა) დიახ ბ) არა

ხომ არ აქვს ბავშვს რაიმე საჭიროება, რომლის შესახებაც გსურთ საქმის კურსში მასწავლებლის ჩაყენება?

დაახასიათეთ თქვენი შვილი

მშობელთა კმაყოფილების კვლევა

კითხვარის გამოყენება შეიძლება მშობლების შთაბეჭდილებების გასაცნობად ეს განსაკუთრებით სასარგებლო იქნება დირექტორებისთვის, რომლებსაც სკოლაში სასწავლო გარემოს გაუმჯობესება სურთ.

1. გთხოვთ, მიუთითოთ, რომელ კლასშია თქვენი ბავშვი:

☐ პირველ კლასში ☐ მე-2 კლასში
☐ მე-3 კლასში ☐ მე- 4 კლასში
☐ მე-5 კლასში ☐ მე-6 კლასში

2. ხართ თუ არა კმაყოფილი სკოლის ფიზიკური მდგომარეობით? გთხოვთ, შესაბამისად უპასუხოთ თითოეულ პუნქტს:

- სისუფთავე დიახ არა ნაწილობრივ
- უსაფრთხოება დიახ არა ნაწილობრივ
- რემონტი დიახ არა ნაწილობრივ
- სველი წერტილები დიახ არა ნაწილობრივ
- გარემო სპორტული აქტივობისთვის დიახ არა ნაწილობრივ

გთხოვთ, კომენტარის ველში მიუთითოთ, რას ფიქრობთ სკოლის ინფრასტრუქტურაზე:

---

3. თქვენი აზრით, არის თუ არა სკოლის ტერიტორიაზე სათანადოდ დაცული უსაფრთხოება, ზედამხედველობა და დისციპლინა?

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

4. ხართ თუ არა კმაყოფილი სკოლაში არსებული კლასგარეშე აქტივობების ზოგადი ხარისხით?

- წრეები სასკოლო სივრცეში დიახ არა ნაწილობრივ
- აქტივობა არდადეგების დროს დიახ არა ნაწილობრივ
- ექსკურსიები დიახ არა ნაწილობრივ

5. აქვს თუ არა თქვენს ბავშვს სკოლაში სიარულთან დაკავშირებული ამა თუ იმ სახის შფოთვა?

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

(დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, კომენტარის სახით დაწეროთ, თქვენი შეფასებით, რა არის შფოთვის საფუძველი

---

6. ფიქრობთ თუ არა, რომ თქვენს შვილს საშინაო დავალებებს სათანადო მოცულობით აძლევენ?

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

7. როგორ ფიქრობთ, არის თუ არა სკოლაში ბავშვებისთვის ჯანსაღი კვების შესაძლებლობა?

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

8. გთხოვთ, შემოხაზოთ ზოგადი სასკოლო პრობლემები, რომლებსაც ჩვენს სკოლაში აწყდებით:
ა) სკოლის ინფრასტრუქტურა
ბ) გადატვირთული სასწავლო პროგრამები
გ) მოძველებული მეთოდებით სწავლება
დ) სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა
ე) ჭარბი საშინაო დავალება
ვ) მცირე საშინაო დავალება
ზ) ბავშვებს შორის ძალადობა (მაგ: ჩაგვრა, ბულინგი, დაცინვა, გარიყვა და სხვა)
თ) ზრდასრულთა მხრიდან ბავშვებზე ძალადობა, შეურაცხყოფა
ი) მასწავლებლის მიერ მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომის დეფიციტი
კ) მოსწავლეთა არაობიექტური შეფასება.

გააკეთეთ ჩანაწერი ამ და სხვა პრობლემების აღსაწერად:

---

9. საკმარისია თუ არა არაფორმალური განათლების ის აქტივობები, რასაც სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს? (ექსკურსია, საკლუბო მუშაობა და ა.შ.)
ა) დიახ, საკმარისია ბ) არ არის საკმარისი

მშობელთა ჩართულობის კვლევა

ეს კითხვარი სკოლის ადმინისტრაციას იმის გაგებაში დაეხმარება, თუ როგორ დააკმაყოფილოს უკეთ მშობელთა საჭიროებები და სურვილები მოსწავლის სწავლისა და კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

1. მე/ჩვენ გვყავს შვილები:

☐ 1-ელ კლასში
☐ მე-2 კლასში
☐ მე-3 კლასში
☐ მე-4 კლასში
☐ მე-5 კლასში
☐ მე-6 კლასში
☐ მე-7 კლასში
☐ მე-8 კლასში
☐ მე-9 კლასში
☐ მე-10 კლასში
☐ მე-11 კლასში
☐ მე-12 კლასში

2. გთხოვთ, მონიშნოთ ყველა აქტივობა, რომელსაც ახორციელებთ

მე/ჩვენ ამჟამად ვმონაწილეობთ სკოლაში:

☐ ჩემი შვილის კლასში/ბიბლიოთეკაში
☐ ვესწრები კლასის ექსკურსიებს/ღონისძიებებს
☐ ვეხმარები სკოლას ღონისძიებების მოწყობაში
☐ ვავარჯიშებ სკოლის გუნდს
☐ ვარ სკოლის კომიტეტის წევრი
☐ ვეხმარები სკოლას დაფინანსების მოზიდვაში
☐ სხვა, გთხოვთ, მიუთითოთ: _____
☐ არაფერში ვმონაწილეობ

3. გთხოვთ, მონიშნოთ ყველა შესაბამისი დებულება

მე/ჩვენ არ ვართ ჩართული სკოლის მუშაობაში იმიტომ, რომ:

☐ დატვირთული ვართ ბავშვის/ების მოვლით
☐ გვიჭირს ქართული ენის გაგება
☐ არაკომფორტულად ვგრძნობ თავს სკოლის გარემოში
☐ ვერ ვგრძნობ გულთბილ დახვედრას სკოლაში
☐ კრებების ჩატარების დრო ჩემს სამუშაო საათებს ემთხვევა
☐ ჩართული ვარ სკოლის სხვა აქტივობებში, რომლებიც იმავე დროს ტარდება
☐ ამ მომენტში ჩართულობა არ მაინტერესებს
☐ სხვა, გთხოვთ მიუთითოთ: _____

4. სკოლა-ოჯახის კომუნიკაცია - გთხოვთ, მიუთითოთ კომუნიკაციის ყველაზე ეფექტური მეთოდი შემდეგი შკალის გამოყენებით:

აქტივობა	4 ყველაზე ეფექტური	3 ეფექტური	2 ნაკლებად ეფექტური	1 არაეფექტური
თქვენი შვილის ხელით წერილის შინ მიღება				
წერილის შინ ფოსტით მიღება				
ელექტრონული ფოსტა				
სატელეფონო ზარი				
პირისპირ შეხვედრა				
სკოლის ვებ-გვერდი				
სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში				
ავტომატური შეტყობინებების სისტემა				
საჯარო აბრა				
სხვა, გთხოვთ, მიუთითოთ:	_____			

აქტივობა	4 ყოველ-თვის	3 ზოგჯერ	2 იშვია-თად	1 არასო-დეს
ვმონაწილეობ სკოლის საბჭოს კრებებში				
ვმონაწილეობ საკლასო აქტივობებში				
წიგნს ვუკითხავ შვილს				
განვიხილავ სასკოლო დღეს ჩემს შვილთან ერთად				
თვალყურს ვადევნებ შვილს გაკვეთილების მომზადებისას				
ვეთამაშები შვილს				
ტელევიზორში სასწავლო პროგრამებს ვუყურებ ჩემს შვილთან ერთად.				
ინტერნეტს ვიყენებ ჩემს შვილთან ერთად				
ბიბლიოთეკაში მიმყავს შვილი				
სხვა მშობლებს ვესაუბრები სკოლისა და სწავლების შესახებ				
პედაგოგებს რეგულარულად ვესაუბრები				
პედაგოგებს მხოლოდ ჩემი შვილის მიღწევებზე ვესაუბრები				
ვესწრები მშობლის/ პედაგოგის ინტერვიუებს				
ვესაუბრები დირექტორს				
ვკითხულობ ყველა სასკოლო შეტყობინებას				
სხვა, გთხოვთ, მიუთი-თოთ:	----------			

6. შინ სწავლების პროცესში რამდენად ხშირად იღებთ ბავშვთან ერთად მონაწილეობას შემდეგ აქტივობებში?

აქტივობა	4 ყოველ-თვის	3 ზოგჯერ	2 იშვია-თად	1 არასო-დეს
დახმარება კითხვის უნარების განვითარებისთვის				
დახმარება წერის უნარების განვითარებისთვის				
დახმარება მათემატიკური უნარების განვითარებისთვის				
გამოცდებისთვის მომზადება				
საშინაო დავალების გაკეთება				
საშინაო დავალების შემოწმება				
ბავშვისთვის მასწავლებლის აყვანა				

7. დავინტერესდებოდი საინფორმაციო სესიებზე დასწრებით შემდეგ თემებზე:

☐ სასკოლო შეფასება და მშობლის როლი
☐ როგორ შევაყვარო შვილს წიგნის კითხვა
☐ მშობელთა ჩართულობა სკოლაში
☐ მშობელთა უფლება-მოვალეობები სკოლაში
☐ რთული ქცევის მართვა
☐ ბავშვების ციფრული უსაფრთხოება
☐ ბულინგი და მშობლის როლი
☐ სხვა, გთხოვთ, მიუთითოთ: _____

8. რომელი დრო იქნება საუკეთესო საინფორმაციო სესიებისთვის:
☐ 09:00 ☐ 10:00 ☐ შუადღე ☐ 16:00 ☐ 18:00
☐ სხვა, გთხოვთ, მიუთითოთ: _____

სწავლა-სწავლების ხარისხით მშობელთა კმაყოფილების კვლევა

გამოკითხვა საშუალებას მისცემს სკოლის დირექტორს, შეაფასოს მასწავლებლების შრომის ეფექტიანობა; მშობლების ზოგადი განწყობა სასწავლო პროცესის მიმართ; გამოავლინოს შესაძლო ხარვეზები და მათ აღმოსაფხვრელად შესაბამისი ნაბიჯები დაგეგმოს.

1. გთხოვთ, მიუთითოთ, რომელ კლასშია თქვენი შვილი:

☐ პირველ კლასში
☐ მე-2 კლასში
☐ მე-3 კლასში
☐ მე- 4 კლასში
☐ მე-5 კლასში
☐ მე-6 კლასში
☐ მე-7 კლასში
☐ მე-8 კლასში
☐ მე- 9 კლასში
☐ მე-10 კლასში
☐ მე-11 კლასში
☐ მე-12 კლასში

2. რომელი საგნები უყვარს თქვენს შვილს ყველაზე მეტად?

ა) ----------
ბ) ----------
გ) ----------

3. რომელი საგნები არ უყვარს თქვენს შვილს ყველაზე მეტად?

ა) ----------
ბ) ----------
გ) ----------

4. რამდენ და რომელ საგანში ამზადებთ ბავშვს რეპეტიტორთან?

ა) არც ერთ საგანში მომზადება არ სჭირდება

ბ) ერთ საგანში

გ) ორ საგანში

დ) სამ ან მეტ საგანში

ე) მომზადება სჭირდება შემდეგ საგნებში:

მაგრამ არ/ვერ ვამზადებ.

5. გთხოვთ, შემოხაზოთ ყველა ის მიზეზი, თუ რატომ ამზადებთ ბავშვს კერძო მასწავლებელთან:

ა) გაკვეთილზე ახსნილი მასალა არ ესმის.
ბ) ჩამორჩება სხვა მოსწავლეებს და მინდა, დაეწიოს.
გ) ვამზადებ იმისთვის, რომ უფრო მაღალი ქულები მიიღოს.
დ) რეპეტიტორი ამზადებინებს საშინაო დავალებას.
ე) აბიტურიენტია და გამოცდებისთვის ემზადება
ვ) სხვა მიზეზი მაქვს, კერძოდ

---

6. საშუალოდ რამდენ დროს ანდომებს ბავშვი სახლში საშინაო დავალების შესრულებას?

ა. 60 წუთამდე
ბ. 1-დან 2 საათამდე
გ. სამ საათს
დ. 4 საათს ან მეტს

7. დაახლოებით, რამდენი თავისუფალი დრო რჩება თქვენს შვილს, საგაკვეთილო პროცესის დასრულებისა და საშინაო დავალების მომზადების შემდეგ?

ა. 1 საათი
ბ. 2 საათამდე
გ. 2 საათი და მეტი
დ. უმეტესად, არ რჩება თავისუფალი დრო.

8. რა სიხშირით სჭირდება თქვენს შვილს დახმარება საშინაო დავალების შესრულების პროცესში?

ა. ყოველთვის
ბ. არასდროს
გ. უმეტესად
დ. იშვიათად

9. ვინ ეხმარება თქვენს შვილს საშინაო დავალების მომზადებაში?

ა. მშობლები ან ოჯახის სხვა წევრები
ბ. არავინ
გ. რეპეტიტორები
დ. ოჯახის წევრები და რეპეტიტორები

10. თქვენი შვილი საშინაო დავალებას უმეტესად:

ა. ხალისით ასრულებს
ბ. იძულებით მეცადინეობს

11. აუხსნია თუ არა მასწავლებელს თქვენთვის, რა მეთოდით უნდა დაეხმაროთ ბავშვს საშინაო დავალების მომზადებაში?

ა. დიახ, თავისი ინიციატივით
ბ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეკითხვით მივმართე
გ. არასდროს
დ. წესებს მხოლოდ ზოგიერთი მასწავლებელი გვიხსნის

12. როგორ შეაფასებთ სწავლის ზოგად დონეს სკოლაში?

ა. დადებითად
ბ. უარყოფითად
გ. გაუმჯობესებას საჭიროებს

13. რას შეცვლიდით, თქვენ რომ დირექტორი იყოთ?

„მშობლები განათლებისთვის“ შესახებ

ააიპ „მშობლები განათლებისთვის“ მშობლების პირველი ღირებულებითი გაერთიანებაა საქართველოში. წევრობაზე დაფუძნებული ასოციაცია 2018 წლის იანვარში შეიქმნა. ორგანიზაცია აერთიანებს ნამდვილ და მხარდამჭერ წევრ მშობლებს; ასევე, მართავს მუნიციპალური კოორდინატორი მშობლების ქსელს ქვეყნის 9 რეგიონში.

მიზანი

ასოციაციის მიზანია განათლების სისტემაში დემოკრატიული ღირებულებების გაძლიერება მშობელთა შესაძლებლობების განვითარებით და მათი ჩართულობის ხელშეწყობით.

ამოცანები

- მშობელთა და ბავშვთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.
- მშობელთა განათლება და დემოკრატიული ცნობიერების ამაღლება.
- განათლების პოლიტიკაში ბავშვების საუკეთესო ინტერესების ადვოკატირება.
- განათლების მართვაში მშობელთა მონაწილეობის ხელშეწყობა.

მისია

ორგანიზაციის მისიაა, შექმნას საგანმანათლებლო სივრცეში მშობელთა აქტიური მონაწილეობისთვის საუკეთესო დემოკრატიული გარემო, სადაც თავისუფალი, პასუხისმგებლიანი, კრიტიკულად მოაზროვნე, თანასწორუფლებიანი საზოგადოება გავლენას მოახდენს მომავალი თაობის განათლებაზე საქართველოში.

საკონტაქტო ინფორმაცია

მოსწავლესთან და სკოლასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინდივიდუალური კონსულტაციისთვის მიმართეთ მშობელთა ასოციაციის სატელეფონო მომსახურების ცენტრს – 0322196080

მშობელთა ასოციაციის საქმიანობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად:

- ეწვიეთ ორგანიზაციის ვებგვერდს www.mshobeltaskola.ge
- გამოიწერეთ facebook გვერდი: მშობლები განათლებისთვის Parents for Education
- გამოიწერეთ Youtube არხი @MshoblebiGanatlebistvis
- E-mail – georgianp4e@gmail.com

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST · WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

P4E
მგზავლები
განათლებისთვის